# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორ[...]ბით ბურთის გატანა ყველ[...] უკადრისობაზე უსაძაგლესია.

...რა, 15 აგვისტო, 2004 წელი. №189 (4918) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, აღდგენილია 1990 წელს. * ფასი 50 თეთრი



საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა


ათენი - 2004

## რის პირველი მედალი!



ათენის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი ძიუდოისტი ნესტორ ხერგიანი (მარცხნივ). ტელეფოტო.

...თალია, ის ვერცხლისაა, მაგ... წინა ოლიმპიადასთან შედა...ბით აშკარა წინსვლაა – მაშინ ...მ მხოლოდ „ბრინჯაოთი“ დავ...ყოფილდით.

...უშინ ათენში, ოლიმპიურ თა...ებზე ძიუდოისტთა ასპარეზო... ბოლო წამებამდე გვწამდა, რომ ...ტორ ხერგიანი ოქროს მედლით გაგვახარებდა, მაგრამ ფინალში ისეთი მრავალნაცადი მეტოქე შეხვდა ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის, იაპონელი ნამურას სახით, რომ ჩვენებურს ნამდვილად გაუჭირდა მისი ძლევა. თუმცა, ნესტორ ხერგიანისადმი მადლობის მეტი რა გვეთქმის, მან ოლიმპიადის პირველსავე ასპარეზობაზე მოუპოვა დამოუკიდებელ საქართველოს პირველი ვერცხლის მედალი. იმედია, ეს კარგი სტიმული იქნება ჩვენი დანარჩენი ოლიმპიელებისთვისაც. ღმერთმა ხელი მოუმართოთ!

**ვაჟა დანელია,**
**ჩვენი სპეც. კორესპონდენტი ოლიმპიურ თამაშებზე.**

უცხო თვალით

## ...აქართველო მსოფლიო ორბიტაზე

...ართველო მარტო არ არის. ყველა ...ავს, რომ მართალია თავისი მიწა...ის გაერთიანების საქმეში და ...ტომაც არ არის მარტო, ამიტომაც ...ვნებს თვალს მთელი მსოფლიო ... გაფაციცებით საქართველოში ...დინარე ამჟამინდელ მოვლენებს. ...ნი ქვეყნის თანადგომასა და მხარ...ჭერაზე აშკარად მეტყველებს ის ...ველდღიური ყურადღება, რასაც ...ოური მასმედია იჩენს „ქართული ...ობლემების“ მიმართ. სწორედ ამის ...ლსაჩინო ნიმუშია ქვემოთ გა...ქვეყნებული უცხოური თვალით ...ნახული და უცხოურივე „ცხელ...ლი“ ნააზრევი.

იხ. მე-2-3 გვ.

ეუთო

## ...შფოთებულნი არიან

...ოპის უშიშროების და თანამე...რობის ორგანიზაცია სერიოზუ...დ არის შეშფოთებული ქართულ...ური კონფლიქტის ესკალაციით, ...აცხადა ეუთოს მოქმედმა თავ...დომარემ სოლომონ პასიმ.

...უშინ, ვენაში ეუთოს სამდივნოს ...რ გამოქვეყნებულ განცხადება...კერძოდ, ნათქვამია, რომ ქარ...ლ-ოსური კონფლიქტის ზონაში, ...მარი მოქმედებების ესკალაცია ...ადამიანების დაღუპვა მკაცრად ...ა დაიგმოს.

კონფლიქტის ზონა

## ორ გადაწყვეტილებას უკვე მიაღწიეს

**ერგნეთის საგუშაგოსთან გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა ორ გადაწყვეტილებას უკვე მიაღწიეს. შეხვედრიდან გამოსულმა საქართველოს შს მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა მიღწეულ შეთანხმებებზე კომენტარი გააკეთა.**

მისი განცხადებით, მხარეები შეთანხმდნენ ცეცხლის გაუხსნელობაზე, მაგრამ ირაკლი ოქრუაშვილის თქმით, იმ შემთხვევაში, თუ ოსური მხარე ამ შეთანხმებას კვლავ დაარღვევს და ქართული მხარის მიმართულებით ცეცხლს გახსნის, შს მინისტრი შურს იძიებს ოსი სეპარატისტების ნებისმიერ ჯარისკაცზე.

ჯერჯერობით არ ხმაურდება ინფორმაცია ქვანია-კოკოითის შეხვედრის თაობაზე. ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით, მას ოსურ მხარესთან კონკრეტულად ამ საკითხზე არ უმსჯელია.

**ინტერ-პრესი.**

აფხაზეთის ომი




ცოტნეობა

## „...აღმსარებელი მცნებისა ღვთისა“

**ყორანი** მართლაც რომ არ გათეთრდება და მგელი მგლობას არ მოიშლის, ამაში ახლახანაც დავრწმუნდით, როცა „დიდგორობის“ და „ცოტნეობის“ დღესასწაულზე ლამის თავზე არ დაგვამხეს ქვეყანა. სამწუხაროდ, ერთხელ კიდევ დასტურდება ჭეშმარიტება – შეუძლებელია ომით წართმეულის უომრად დაბრუნება (ისე, ღმერთმა ქნას, ეს სასწაულიც აგვიხდეს), მანამ კი სინანული არ გასვენებს – ერიც და ბერიც ერთმანეთისა და სამშობლოს სიყვარულით რომ გავერთიანებულიყავით, კორუფციისთვის (პირადი ბედნიერებისთვის) არ შეგვეწირა ქვეყანა, ვერავინ წაგვართმევდა იმ მიწას, რომელზეც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ამას წინათ თქვა: იგი წინაპრებმა შემოგვინახეს და ჩვენ უნდა მივბაძოთო მათ.

მისაბაძი მართლაც ბევრი რამ არის, არაერთი ძეგლი დაუდგა ქართველმა ხალხმა მისთვის თავგანწირულთა რაინდული სულის უკვდავებას, რამეთუ ერი, რომელიც პატივს არ მიაგებს ღირსეულთ, კვდება. იშვიათია ქვეყანა, რომელსაც წარსულში ამდენი წმინდანი, მეფე, დიდოფალი თუ მოღვაწე ჰყავდეს. მათი თავდადებისა და ბრძოლის მაგალითები მთელ მსოფლიოს ეყოფოდა. სწორედ, დღეს ყველაზე უფრო გვჭირდება მათი სულიერი სიმაღლე და შემართება, მათი მაგალითის განმეორება თუ არა, მიბაძვის სურვილი მაინც.

12 აგვისტოს, დილაუთენია „ფაზისის“ საერთო აკადემიის წევრებმა, მისი ვიცე-პრეზიდენტის ნუგზარ ნადარაიას ხელმძღვანელობით გვირგვინით შეამკეს ქ. ფოთში, სამეგრელოს მოედანზე აღმართული ცოტნე დადიანის ძეგლი. ზეციური გადასახედიდან თავს დაგვყურებდა საქართველოს უკვდავების მხედარი, მისი მარადიული ჭირისუფალი და სამშობლოს ბედ-იღბალზე გვაფიქრებდა, რომლის სიყვარულზეც გადის უკვდავების გზა.

იქიდან დელეგაცია ხობში მიგვიპატიჟეს, სადაც ტრადიციულად, დღესასწაულის ეპიცენტრია, რამეთუ ხობი და ცოტნე დადიანი ისტორიულად თანხვედრილია – მისი ღვიძლი შვილია.

იხ. მე-4 გვ.

ხმა ღვთისა

## ერთმანეთს მეგობრობის ხელი გავუწოდოთ

**ცხინვალის** რეგიონში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე შეშფოთებას გამოთქვამს. მან გუშინ საქართველოს მოსახლეობას – ქართველი და ოსი ეროვნების მოქალაქეებს მიმართა.

ერთი რამ ყველამ უნდა გააცნობიეროს – დღეს თუ ხვალ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აუცილებლად აღდგება და ჩვენ კვლავ ერთად მოგვიწევს ცხოვრება. ღვთისა და ჩვენი მომავლის წინაშე ვალდებულნი ვართ, რომ ერთმანეთს მეგობრობის ხელი გავუწოდოთ და რაც უფრო მალე მოხდება ეს, მით უფრო უკეთესი იქნება ორივე მხარისათვის, – განაცხადა პატრიარქმა.

დღეს სიონის საკათედრო ტაძარში ილია მეორე სამშვიდობო პარაკლისს გადაიხდის. პატრიარქი ქართველებსა და ოსებს და ასევე საქართველოში მცხოვრებ ყველა მართლმადიდებელ მოუწოდებს, ერთობლივად აღავლინონ ლოცვა მშვიდობისთვის, ქვეყნის მთლიანობისა და კეთილდღეობისთვის.

**ინტერ-პრესი.**



## მათი ხსოვნა უკვდავია

**საქართველოს** ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტისა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებმა 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში დაწყებული საომარი მოქმედებების 12 წლისთავის აღსანიშნავად გუშინ ყვავილებითა და გვირგვინებით შეამკეს გმირთა მოედანზე მდებარე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა მემორიალი.

1992-93 წლებში დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პარაკლისი ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის ეპისკოპოსმა მეუფე დანიელმა და მამა ილიამ გადაიხადეს. აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყების 12 წლისთავთან დაკავშირებით, დაღუპულთა მემორიალურ დაფასთან დაღუპულთა დედები, ოჯახის წევრები და თანამებრძოლები შეიკრიბნენ.

1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში დაწყებული ომის შედეგად 12 ათასი მოქალაქე დაიღუპა, ხოლო აფხაზეთის ტერიტორია 300 ათასზე მეტმა ქართველმა დატოვა და დევნილად იქცა.

სოხუმის ხელისუფლების მონაცემებით, 1992-93 წლებში, აფხაზეთში მიმდინარე საომარ მოქმედებებში აფხაზთა მხრიდან მონაწილეობა 12 ათასმა მოქალაქემ მიიღო, რომელთაგან 2700 დაიღუპა და 7000 დაიჭრა.

**ინტერ-პრესი.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 189. კვირა. 15 აგვისტო, 2004 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინფორმაცია

იმერეთი

### ოსეთში მცხოვრები ბავშვების ახალი ნაკადი მიიღეს

იმერეთში გუშინ ქართულ - ოსური კონფლიქტის ზონიდან გამოსლი ბავშვების კიდევ ერთი ნაკადი მიიღეს, რომლებიც რეგიონის სხვადასხვა კურორტებზე ჩაასახლეს.

გადაწყვეტილი გვაქვს, დაახლოებით 100 ბავშვი, ვინც ზღვაზე არ არის ნამყოფი, ქობულეთში დავასვენოთ, – განუცხადა „ინტერ-პრესს" იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილემ შალვა დათუაძემ.

ამჟამად, იმერეთში უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში გადმოსული 350-მდე ბავშვი ცხოვრობს. სამხარეო ადმინისტრაცია მზად არის, თუ ამის საჭიროება მოითხოვს, კიდევ მიიღოს დამატებითი ნაკადი.

პოლიცია

### სპეცოპერაცია კახეთში

შინაგან საქმეთა კახეთის მთავარმა სამმართველომ კახეთის ორ რაიონში – დედოფლისწყაროსა და ახმეტაში, გუშინ გამთენიისას მორიგი სპეცოპერაცია ჩაატარა, რომელშიც 100-მდე პოლიციის თანამშრომელი მონაწილეობდა.

აღნიშნულ რაიონებში დაკავებულია სხვადასხვა დანაშაულებებში ეჭვმიტანილი 10 პიროვნება, მათ შორის ნარკოტიკების რეალიზაციის მოხმარებისთვის ერთი ქალი. ბინების ჩხრეკისას ამოღებულია სხვადასხვა სახის ცეცხლსასროლი იარაღი, ხელყუმბარა, ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი, დეტონატორი და ვაზნები.

შინაგან საქმეთა კახეთის მთავარმა სამმართველომ პარალელურად საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე, სოფელ ერისიმედის ტერიტორიაზე კონტრაბანდული დიზელის საწვავით სავსე „გაზ-53" და „კამაზის" მარკის ავტომანქანები დააკავა.

აღნიშნულ კონტრაბანდაზე საქმე მოსაკვლევად ფინანსურ პოლიციას გადაეგზავნა.

ინტერ-პრესი.

## საქართველო მსოფლიო ორბიტაზე

VOA NEWS.com Голос Америки

რადიო „ამერიკის ხმა"
*(აშშ), 14 აგვისტო*
დევიდ გოლასტი

### აშშ მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას

ამერიკის შეერთებული შტატები კონსულტაციებს აწარმოებს საქართველოსთან და რუსეთთან, სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული სიტუაციის განმუხტვისათვის, სადაც ბოლო დღეებში ქართულ ჯარებსა და სეპარატისტებს შორის ინტენსიური სროლები მიმდინარეობს. შეიარაღებული შეტაკებების შედეგად უკვე არიან დაღუპულები და დაჭრილები. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ნოტები გაუგზავნა თბილისში საქართველოს მთავრობას და აშშ-ის საელჩოს მოსკოვში, რუსეთის მთავრობისთვის გადასაცემად.

სამხრეთ ოსეთს თავისი კვაზიდამოუკიდებელი სტატუსი 1990-იანი წლების დასაწყისიდან აქვს. საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დაიფიცა, რომ დაიბრუნებს როგორც სამხრეთ ოსეთს, ასევე სეპარატისტულ აფხაზეთსაც.

ვაშინგტონი რადიკალურად უჭერს მხარს მიხეილ სააკაშვილს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის საკითხში. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა უკვე მიუსამძიმრა საქართველოს მთავრობას იმ დაღუპული ჯარისკაცებისთვის, რომლებიც საქართველოს არმიამ სამხრეთ ოსეთში დაკარგა. იმავდროულად ვაშინგტონმა მოსკოვსა და თბილისს მოუწოდა, გამწვავებული კონფლიქტი ერთობლივად მოაგვარონ. **„ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს, რომ არ დაუშვას სამხედრო მოქმედებათა ესკალაცია, იმავდროულად ვთხოვთ რუსეთს, სრულად გამოიყენოს თავისი გავლენა სამხრეთ ოსეთზე, რათა დაუყოვნებლივ ბოლო მოუღოს სისხლისღვრას"**, – განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ადამ ერელიმ.

1992 წელს მიღწეული ზავის თანახმად, რუსეთმა რეგიონში თავის სამშვიდობო კონტინგენტი შეიყვანა, რომლის რაოდენობას საქართველო ზედმეტად და არასასურველად მიიჩნევს. სამხრეთ ოსეთი ბოლო მოვლენებს საქართველოს მიერ კარგად დაგეგმილ აგრესიად აფასებს, თბილისი კი სამხედრო მოქმედებების თავისი მხრიდან დაწყებას უარყოფს და ცხინვალს ქართული სოფლების დაბომბვაში ადანაშაულებს.

ერთი კვირის წინათ სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან დაკავშირებულ სიტუაციაზე ვაშინგტონში შეხვედრისას მიხეილ სააკაშვილმა და კოლინ პაუელმა იმსჯელეს. შეერთებულმა შტატებმა კონფლიქტების მოგვარებაში დახმარებისთვის მზადყოფნა გამოხატა.

FINANCIAL TIMES

„ფაინენშელ თაიმსი"
*(დიდი ბრიტანეთი), 14 აგვისტო*
ტომ უორნერი ერედვიდან

### ქართველების ევაკუირება სამხრეთ ოსეთიდან

**საქართველოს ხელისუფლებამ გუშინ სამხრეთ ოსეთის ქართული სოფლებიდან 1000-მდე მცხოვრები, ძირითადად, ქალები და ბავშვები გამოიყვანა. მათ სახლებს ოსმა სეპარატისტებმა ცეცხლი გაუხსნეს. როგორც ოსები მიიჩნევენ, ქართველები ომისთვის ემზადებოდნენ. სამხრეთ ოსეთის ქართული სოფლების მოსახლეობა საქართველოს სხვადასხვა კურორტებზე ავტობუსებით გადაიყვანეს.**

რეგიონში არსებული კრიზისული ვითარება განსაკუთრებით გამწვავდა ხუთშაბათს, როცა ოსმა სნაიპერმა ქართველი მაცხოვრებელი მოკლა, მოგვიანებით კი ოსების მიერ დაწყებული სროლების შედეგად კიდევ სამი ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა. საქართველოს მთავრობამ ამ ორიოდე თვის წინათ კონტრაბანდის მნიშვნელოვანი წყაროს ლიკვიდირება მოახდინა. თბილისის აზრით, ასეთი მდგომარეობა საზიანო იყო საქართველოს ეკონომიკისთვის.

გუშინ სოფელ ერედვს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ეწვია, რათა ადგილობრივ სიტუაციას თვითონვე გასცნობოდა და იმ მცხოვრებლებთან ესაუბრა, რომლებიც იარაღს მოითხოვდნენ. **„ქართველები მშვიდობისმოყვარე ხალხი ვართ, მაგრამ მათ (ოსებმა) არ იციან, რომ როცა გავბრაზდებით, ჩეჩნებზე ნაკლებად არ ვიბრძოლებთ"**, – ამბობს ნიკო ბერუაშვილი, 52 წლის ერედველი გლეხი. აღსანიშნავია, რომ ერედვის შემოგარენი საარტილერიო ცეცხლის ქვეშ უკვე ორი კვირაა იმყოფება.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თბილისში უცხოელ ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ იგი ყველა ზომას გამოიყენებს კონფლიქტის განმუხტვისთვის. როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, მას რუსული სამშვიდობო ძალების იმედი არ აქვს, რადგან ისინი ოს სეპარატისტებს ეხმარებიან, მაგრამ რეგიონში სამშვიდობო მოლაპარაკებებს მაინც გააგრძელებს.

პარალელურად საქართველოს პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც რეგიონიდან რუსული სამშვიდობო ძალების გაყვანას ითვალისწინებს. როგორც ცნობილია, სამმხრივი (რუსულ-ქართულ-ოსური) შერეული სამშვიდობო ბატალიონები სამხრეთ ოსეთში 1991-92 სისხლიანი კონფლიქტის შესაწყვეტად შეიყვანეს.



INTERNATIONAL Herald Tribune

„ინტერნეიშენელ ჰერალდ ტრიბიუნ"
*(აშშ), 14 აგვისტო*
სი-ჯეი ჩივერსი

### აფხაზების აზრით, საქართველოსთან კონფლიქტი ახლოვდება, ამიტომ მათ მოსკოვის დახმარების იმედი აქვთ

**სოხუმში, შავი ზღვის ნაპირას შეკრებილმა მამაკაცებმა თავიანთი მოქალაქეობა გამაცნეს. ერთ-ერთმა, რომელსაც გარეგნობა სლავურს არაფრით არ მიუგავდა, მითხრა, რომ იგი რუსი იყო. იგივე თქვა მეორემ, მესამემ, მეოთხემ კი რუსულღერბიანი ახალი პასპორტი მაჩვენა: „მეც რუსეთის მოქალაქე ვარ", – თქვა მან. ისინი, სხვა სოხუმელების მსგავსად, ოლეანდრებისა და პალმების ქვეშ ყავას სვამდნენ. ასეა ყველგან მთელ სოხუმში, თვითგამოცხადებული სახელმწიფოს დედაქალაქში.**

„აქ, ვისაც კი შეეკითხებით, ყველა რუსეთის ფედერაციის პასპორტს გიჩვენებს", – მეუბნება აპოლონ შინქუბა, ოფიციალურად არარსებული აფხაზეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გადამდგარი გენერალი. ამ რამდენიმე თვის წინათ აფხაზეთს, საქართველოსგან განდგომილ რესპუბლიკას, ქაღალდის რევოლუცია მოედო. საქართველოსთან ახალი სამოქალაქო ომის დაწყების შიშით მოსახლეობამ – ათეულ ათასობით ადამიანმა რუსეთის მოქალაქეობა მიიღო. ისინი იმედოვნებენ, რომ ომის დაწყების შემთხვევაში მათ რუსეთი დაიცავს. ეს პოლიტიკა ნებაყოფლობით ანექსიას ჩამოჰგავს – აფხაზეთის მოსახლეობამ თავისივე სურვილით, თუმცა რეფერენდუმის გარეშე, მეზობელი სახელმწიფოს მოქალაქეობა მასობრივად მიიღო. მათ იმ რუსული კანონით ისარგებლეს, რომელიც ყოფილ საბჭოთა ტერიტორიაზე მცხოვრებთ რუსეთის მოქალაქეობას გარკვეული გარემოებების შედეგად ანიჭებს.

„რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი რუსეთის მოქალაქეების დაცვის გარანტია, მათი საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად", – ამბობს აფხაზეთის ვიცე-პრეზიდენტი ვალერი არშბა, რომელიც



## საქართველო მსოფლიო ორბიტაზე

ალერი არშბას თქმით, დღეისთვის აფხაზეთის 320 ათასი ოვრებიდან 170 ათასმა უკვე ეთის მოქალაქეობა მიიღო, დარჩენ 70 ათასს კი შესაბამისი ცხადება დაწერილი აქვთ. რუის მოქალაქეობის მისაღებად ტენდენტი 16 წლისა უნდა იყოს. ლედ, აფხაზეთის რუსიფიცირე- უკვე სახეზეა... ის სამხედრო ავა, რომლის იმედიც ამ ხალხს ს, მაინც და მაინც დიდად სარუნო არ უნდა იყოს, რადგან მოს- ვი არ აკონკრეტებს: ამას წი- რუსეთის თავდაცვის მინის- მა სერგეი ივანოვმა განაცხა- , რომ „რუსეთის მოქალაქეთა ერესების დაცვა აფხაზეთსა და ხრეთ ოსეთში პოლიტიკური და პლომატიური მეთოდებით განრციელდება".

ABC Television
Australian Broadcasting Corporation

ავსტრალიის
ტელესამაუწყებლო კომპანია
„ეი-ბი-სი ტელევიჟენ",
*15 აგვისტო, კვირა*
ჰამიშ რობერტსონი
*ემა გრიფიტი*

## საქართველოს ახალი პრეზიდენტი განდგომილ პროვინციაზე კონტროლის აღდგენას ცდილობს

**ჰამიშ რობერტსონი:** „ამერიკა რაყში შიიტების აჯანყების ჩაქრობას ცდილობს, თუმცა, ამის მიუხედავად, ვაშინგტონს მშვიდობის დამყარება მსოფლიოს კიდევ ერთ არასტაბილურ ნაწილში სურს. ეს ება ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკა – საქართველოს, რომელიც კავკასიაში, რუსეთს, თურქეთსა და ავ ზღვას შორის მდებარეობს. ეს ქვეყანა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ხიდის როლს ასრულებს, რომელიც კასპიის ზღვის ნავთობ და გაზსადენების პროექტების განხორციელებით გამოიხატება. საქართველოს ამ მილსადენებით დიდი მოგება ექნება თავისი ეკონომიკის ასაღორძინებლად და მოსახლეობის სოციალური დონის ასამაღლებლად, მაგრამ, იმავდროულად, აღნიშნული მილსადენების პროექტის რეალიზებასა და მთლიანად საქართველოს მომავალს შეიძლოა კონფლიქტებმა საფრთხე შეუქმნას. საქართველოს ახალმა პრეზიდენტმა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ენერგიულად დაიწყო. მას ახლა ორი რეგიონის – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნება სურს, რომლებსაც რუსეთთან მჭიდრო კავშირები აქვთ.

სამხრეთ ოსეთში მიმდინარე დაპირისპირებამ არამარტო მოსკოვი, არამედ საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი მოკავშირე ამერიკის შეერთებული შტატებიც შეაშფოთა....

მოვუსმინოთ ჩვენს მოსკოველ კორესპონდენტს **ემა გრიფიტს:**

**ემა გრიფიტი:** „რამდენიმე კვირაა საქართველოს სეპარატისტული ტერიტორიის – სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას ტანსაცმლით სძინავს – ისინი მზად არიან გაიქცნენ, როცა სროლა მათ სახლებს მიუახლოვდება ხოლმე. საერთოდ, საქართველოს ამ ნაწილში ბოლო ათითორმეტი წლის მანძილზე არასტაბილური მდგომარეობაა. 90-იანი წლების დასაწყისში შექმნილი დაძაბული ვითარება თანდათანობით ჩიხურ მდგომარეობაში გადაიზარდა, რადგან მსოფლიოს არც ერთ სახელმწიფოს სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა არ უღიარებია. ამასთან, სამხრეთ ოსეთს მჭიდრო კავშირები აქვს რუსეთთან, მისი მოსახლეობის თითქმის 60% რუსეთის მოქალაქეა, ოსებს რუსული პასპორტი აქვთ და რუსული რუბლია მიმოქცევაში.

საქართველოს ახალ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განდგომილი ოლქის ტერიტორია ისევ თავისი ქვეყნის საზღვრებში მოაქციოს. ასეთმა განზრახვამ სეპარატისტები შეაშფოთა – მათსა და ქართულ ჯარებს შორის სროლა დაიწყო. ამას წინათ ვაშინგტონში ყოფნისას მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ სიტუაცია არც ისე საშიშია და რომ მას სამოქალაქო ომის დაწყება არ სურს".

**მიხეილ სააკაშვილი:** „ჩვენ მშვიდად უნდა ვიყოთ, ჩვენი პოლიტიკა ნათელია – ჩვენ გვინდა რეგიონის დემილიტარიზება. ჩვენ სიტუაციის განმუხტვა, რეგიონის დემოკრატიზაცია გვსურს... ჩვენ გვინდა დიალოგი, მათ შორის რუსებთანაც, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. ზოგიერთმა რუსმა პოლიტიკოსმა აბსურდული და აღმაშფოთებელი განცხადებები გააკეთა, თითქოსდა საქართველო მათი სუვერენიტეტის დარღვევას ცდილობს... როდის აქეთაა, რომ საქართველოს ნაწილი რუსეთის შემადგენლობაშია?"

**ემა გრიფიტი:** „მიხეილ სააკაშვილი აშშ-ის სახელმწიფო მდივანს კოლინ პაუელს ესაუბრა...

**კოლინ პაუელი:** „ჩვენ სიტუაციის მოწესრიგებას ვცდილობთ. ჩვენ გვსურს, ვითარება დამშვიდდეს, არ იყოს პროვოკაციები, გვინდა, რომ მხარეები დიალოგს დაუბრუნდნენ. პრეზიდენტმაც სწორედ ეს განაცხადა.

**ემა გრიფიტი:** „ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს დახმარება გაუზარდა, ამ ქვეყანაში არიან ამერიკელი ინსტრუქტორები, რომლებიც ქართულ არმიას წვრთნიან. რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნება აუცილებელია, უპირველესად ეს საჭიროა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის უსაფრთხოებისთვის, რომელიც ნავთობს კასპიის ზღვიდან, საქართველოს ტერიტორიის გავლით, თურქეთის პორტ ჯეიჰანამდე გადაქაჩავს. თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ რუსეთში მიხეილ სააკაშვილის მოქმედებას სხვაგვარად აფასებენ".

**ბორის მაკარენკო, მოსკოვის პოლიტიკური ტექნოლოგიების ცენტრის თანამშრომელი:** „ცხადია, ამერიკელები რეგიონში არსებული სიტუაციით ძალიან არიან დაინტერესებულნი... კოლინ პაუელის განცხადებაც ამას მოწმობს... ჩემი აზრით, ამერიკელებს საქართველოს ლიდერისადმი მხარდაჭერა დიდ თავის ტკივილს გაუჩენს...".

**ემა გრიფიტი:** „მიხეილ სააკაშვილმა უკვე მიაღწია წარმატებას საქართველოს ერთ-ერთ რეგიონზე კონტროლის აღდგენის საქმეში, ახლა მან ყურადღება სამხრეთ ოსეთზე გადაიტანა და მის დაბრუნებას ცდილობს.... საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებლობა გამოაცხადა აფხაზეთმაც, რომელიც შავი ზღვის პირას მდებარეობს. სამხრეთ ოსეთის მსგავსად, აქაც სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა, რომელმაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ძველი მტრობა ჯერ კიდევ შენარჩუნებულია".

**ბორის მაკარენკო:** „გასულ კვირას ძალზე შემაშფოთებელი ინციდენტი მოხდა – საქართველოს ლიდერმა განაცხადა, რომ ქართული ხომალდები ცეცხლს გაუხსნიდნენ იმ რუსულ ტურისტულ გემებს, რომლებიც აფხაზეთში დამსვენებლების გადაყვანით არიან დაკავებულნი და რომლებიც აფხაზეთის პორტებში შევიდოდნენ. ბევრი რუსი აფხაზეთის კურორტებზე იმიტომ მიდის, რომ იქ დასვენება შედარებით იაფია, ასეთი მუქარები კი დაუშვებელია".

**ემა გრიფიტი:** „საქართველოს სანაპირო დაცვა მზადაა, პრეზიდენტის დავალება შეასრულოს. გასულ კვირას ქართულმა ხომალდებმა ორ რუსულ სატვირთო გემს, რომლებიც აფხაზეთის პორტში შესვლას ცდილობდნენ, ცეცხლი გაუხსნეს.... კონფლიქტმა აფხაზების შემოსავალთა ერთადერთ წყაროს – ტურიზმს უარყოფითი კვალი დაატყო. შავი ზღვის კურორტები ხომ ოდესღაც რუსების საყვარელი დასასვენებელი ადგილი იყო... ახლა აფხაზეთიც და სამხრეთ ოსეთიც პრომოსკოვურად არიან განწყობილნი. საქართველოს მცდელობებმა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში მისი ჩრდილოელი მეზობლის – რუსეთის განრისხება გამოიწვია. მოსკოვში მიმდინარე ორი ქვეყნის თავდაცვის მინისტრების მოლაპარაკება სამხრეთ ოსეთში გამწვავებული ვითარების ფონზე მიმდინარეობდა – ბოლო მონაცემებით, დაიღუპა სამი ქართველი, ოსებმა საავადმყოფო დაბომბეს...

რუსეთი აცხადებს, რომ მას კონფლიქტის მოგვარება სურს, თუმცა მისი ინტერესები საკმაოდ რთულია. ამასთან, მოსკოვის მცდელობების მიუხედავად, საქართველო თავის ბედს, როგორც ჩანს, თვითონვე გადაწყვეტს".





DER STANDARD
„დერ შტანდარდ"
*(ავსტრია), 14 აგვისტო*

## ოსური ჩიხი

**ავსტრიულ გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიაში საქართველოში არსებული ვითარებაა კომენტირებული:**

„საქართველოს ხელისუფლების სურვილი – დაიბრუნოს განდგომილი სამხრეთ ოსეთის რეგიონი – სრულიად კანონიერია. როგორც აფხაზეთი, ასევე სამხრეთ ოსეთი ერთგვარ „შავ ხვრელებს" წარმოადგენენ, რომლებშიც კონტრაბანდული საწვავი, ნარკოტიკები, იარაღი, პროდუქტები და სხვა საქონელი მიედინება. თბილისისათვის ეს გადასახადების გადახდის პერმანენტულ დეფიციტსა და კრიმინალურ სიტუაციას ნიშნავდა. ადრე, 12 წლის განმავლობაში, ედუარდ შევარდნაძის მთავრობა ამ პრობლემას შემრიგებლური თვალით უყურებდა, რადგან მაშინდელი მინისტრები და მაღალჩინოსნები კონტრაბანდასა და უკანონო საქონელბრუნვაზე დიდ ფულს აკეთებდნენ. ახალმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან, გადაწყვიტა, რომ ასეთ ვითარებას ბოლო მოუღოს. ახალგაზრდა ლიდერმა ერის გამთლიანება ივალდებულა და ფიქრობს, რომ ეს ის მთავარი იდეაა, რომლის ირგვლივაც მოსახლეობა უნდა გაერთიანდეს, შემდეგ კი ეკონომიკური წინსვლაც განხორციელდება.

სამხრეთ ოსეთის ლიდერის ედუარდ კოკოითის რეჟიმი მთლიანად ფინანსდება კონტრაბანდისგან მიღებული შემოსავლებით, მაგრამ უკანონო საქონელბრუნვას ოფიციალურმა თბილისმა მტკიცე ბარიერი შეუქმნა. რუსეთის ხელისუფლება მხარს უჭერს ედუარდ კოკოითს და რეგიონში დისლოცირებულ თავის სამხედრო ქვედანაყოფებსაც კონტრაბანდაზე ფულის კეთების ნებას აძლევს.

კრემლმა შეუძლებელი უნდა შეძლოს, რათა სიტუაცია მშვიდობიანი მეთოდით გადაწყვიტოს. ლოგიკის მიხედვით, მოსკოვს კავკასიაში კიდევ ერთი კონფლიქტის გაღვივება არ უნდა სჭირდებოდეს".

**მოამზადა ჩვენმა საერთაშორისო მიმომხილველმა სიმონ კილაძემ.**

## ინფორმაცია

<u>კანონმდებლები</u>

### კომისიის სხდომა 16 აგვისტოს გაიმართება

**ტერიტორიული** მთლიანობის აღდგენის საპარლამენტო კომისიის პირველი სხდომა 16 აგვისტოს გაიმართება. მანამდე კი პარლამენტმა ამ კომისიის შემადგენლობა დაამტკიცა.

კომისიაში სულ 15 დეპუტატს უნდა ემუშავა, თუმცა დეპუტატთა დაჟინებული მოთხოვნით პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ კომისიის შემადგენლობა 23 კაცამდე გაზარდა.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომისია აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საკითხებზე იმუშავებს.

<u>დედაქალაქი</u>

### თბილისის ცენტრში ქუჩები განიტვირთება

**თბილისის** მთავრობის გადაწყვეტილებით, უახლოეს დღეებში, დედაქალაქის ცენტრალურ ნაწილში სატრანსპორტო მოძრაობის მიმართულებები შეიცვლება. ქალაქის ხელმძღვანელობისა და შესაბამისი სამსახურების ერთობლივი მუშაობით ცალმხრივი მოძრაობისათვის ე.წ. „სამკუთხედი" შეიქმნა, რომელიც კოსტავას, მელიქიშვილის ქუჩებისა და ვარაზისხევის განტვირთვას ითვალისწინებს. გუშინ მერიაში სწორედ „სამკუთხედის" გეგმის პრეზენტაცია მოეწყო.

წარმოდგენილი სქემის თანახმად, ვარაზისხევში ავტოტრანსპორტის მოძრაობა ცალმხრივი



გახდება. მანქანები გმირთა მოედნიდან ზევით იმოძრავებენ. ავტოტრანსპორტით გადაადგილება შესაძლებელი იქნება როგორც მარჯვნივ – ვაკის მიმართულებით, ისე მარცხნივ – მელიქიშვილის გამზირისკენ.

ვაკიდან რუსთაველის გამზირის მიმართულებით მოძრავი ტრანსპორტი შეუერთდება ვარაზისხევიდან მელიქიშვილის გამზირისკენ მოძრავ ნაკადს. ვაკიდან გმირთა მოედნისკენ მიმავალი ტრანსპორტი გაივლის მელიქიშვილის ქუჩას, ფილარმონიასთან მარცხნივ მოხვევის შემდეგ, კოსტავას ქუჩით მოხვდება მოედანზე. რუსთაველის პროსპექტიდან ვაკეში მიმავალი ნაკადი კოსტავას ქუჩის გავლით მოხვდება გმირთა მოედანზე დადგმული სპეციალური „კუნძულის" შემოვლის შემდეგ.

სანაპიროდან, საბურთალოდან ან თამარ მეფის გამზირიდან მიმავალი ტრანსპორტი, რომელიც რუსთაველისკენ მიემართება, იმოძრავებს ვარაზისხევით.

ინტერ-პრესი.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 189, კვირა, 15 აგვისტო, 2004 წელ[ი]

◉ დოკუმენტი

# ზვიად გამსახურდიას მიმართ შეწყდა სისხლის სამართლის საქმე და სისხლისსამართლებრივი დევნა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1995 წლის 20 ივნისის განაჩენით ვალტერ შურღაიასა და გოჩა ოთხოზორიას მიმართ, ასევე არ იქნა გაზიარებული ხსენებულ პირთა მიერ ზვიად გამსახურდიას მიერ ორგანიზებული ბანდიტური ჯგუფის შემადგენლობაში მათ მიმართ შერაცხულ დანაშაულობათა ჩადენა.

ამასთან, ზვიად გამსახურდიას, ვახტანგ ქობალიას და ზაურ ქობალიას ბრალდების მტკიცებულებად გამოყენებული იქნა მათ შორის გროზნოსა და ზუგდიდს შორის რადიოჩანაწერის გაშიფრული ტექსტი. ხსენებულ ტექსტთან ერთად საქართველოს საინფორმაციო ცენტრმა, საქმეზე მიმოწერის თანახმად, გამოძიებას მოაწოდა ამ საუბრების ამსახველი ორი რადიომაგნიტური კასეტაც. მოწოდებული ტექსტის რეალობის დადასტურებაზე გამოძიების მიერ არ ჩატარებულა ფონოსკოპიური ექსპერტიზა, არ შემოწმებულა ფირების მთლიანობა და კასეტები ნივთმტკიცებად ცნობილი და საქმეს დართული არ ყოფილა.

საქმეზე წარმოების განახლების შემდეგ რადიოკასეტების მიკვლევა და მათი რეალურად არსებობის დადგენა შეუძლებელი შეიქმნა.

ტ. 105, ს. ფ. 1-434;

ტ. 113, ს. ფ. 163-232.

9. ასევე დადასტურებას ვერ პოულობს ზ. გამსახურდიას სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის დადგენილების ის ნაწილი, რომლის თანახმადაც იგი ცდილობდა თავისი ხელისუფლების აღდგენის მიზნით შემოეყვანა უცხო ქვეყნის შეიარაღებული ფორმირებანი; აგრეთვე, აფხაზეთში საომარ მოქმედებებში დამარცხების გზით მიეღწია კანონიერი ხელისუფლების აღდგენისთვის. საქმეს დართული საგაზეთო პუბლიკაციებითა და ვიდეოკასეტების რეპროდუქციის ოქმებით გამორკვეული და უტყუარად დადასტურებულია, რომ 1990 წლის 28 ოქტომბერს კანონიერი გზით არჩეული ხელისუფლების მხარდამჭერი ეროვნული გვარდიის ნაწილები და მოსახლეობის დიდი ნაწილი, როცა 1993 წლის ოქტომბრის დასაწყისისთვის თითქმის მთლიანად აკონტროლებდნენ დასავლეთ საქართველოს, ზ. გამსახურდია მიმართავდა მოსახლეობას, რომ მიტინგებით, გაფიცვებითა და სხვა მშვიდობიანი ფორმებით ახლოვდებოდა ახალი ხელისუფლების გადადგომა და კანონიერი ხელისუფლების აღდგენა, კერძოდ:



1993 წლის 2 ოქტომბერს „ჭყონდიდლობის" დღესასწაულზე, მარტვილში ზვიად გამსახურდიამ სიტყვით მიმართა მიტინგზე შეკრებილ ათასობით მხარდამჭერს და განაცხადა, რომ ხელისუფლების მიერ განაწამებმა ხალხმა ვერ აიტანა ხოცვა, ძარცვა, შევიწროება და ფოთში აღადგინა კანონიერი ხელისუფლება, ხოლო იარაღით მოსულ ხელისუფლებას, რომელმაც აფხაზეთი მტერს ჩააბარა, ამ და სხვა დანაშაულებისთვის ქართველი ერი პასუხს მოსთხოვდა, თუ იგი არ გადადგებოდა, მას ხალხი გადააყენებდა და მთლიანად საქართველოში მალე აღადგენდა კანონიერ ხელისუფლებას.

მომდევნო დღეს, 3 ოქტომბერს, ქ. ფოთსა და აბაშაში გამართულ მხარდამჭერთა მრავალათასიან მიტინგებზე ზვიად გამსახურდიამ მიმართა მიტინგის მონაწილეებს და განაცხადა, რომ იარაღით მოსულმა ხელისუფლებამ განახორციელა კრიმინალური გადატრიალება, მსოფლიოს წინაშე კი თავს ასაღებდა დემოკრატიულ ხელისუფლებად. მიუხედავად ამისა, მას მალე ამხელდნენ მსოფლიოს იმ ნაწილის თვალში, რომელიც ამ ფაქტზე თვალებს იბრმავებდა. თვითონ და მისი მომხრეები მსოფლიოს გასაგონად აცხადებდნენ, რომ აქეთ მშვიდობიანი წინადადებები ქვეყნის ჩიხიდან გამოსაყვანად და ეს დანაშაულებრივ ხელისუფლებას ყურად უნდა ეღო, წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხი მას მშვიდობიანი პოლიტიკური მეთოდებით გადააყენებდა.

იმავე დღეს ზ. გამსახურდიამ მამაპაპისეულ სახლში, სოფელ ძველ აბაშაში ინტერვიუ მისცა უცხოეთის ერთ-ერთი სააგენტოს ჟურნალისტს და განაცხადა, რომ იარაღით მოსულმა ხელისუფლებამ ყველგან ტანკი და არტილერია დააყენა, რის გამოც იგი თავის სამშობლოში თავისუფლად ვერ გადაადგილებულა. მას და კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერ ადამიანებს არ სურდათ სისხლისღვრა. თბილისში ის დანაშაულებრივ ხელისუფლებას მისცემდა წინადადებას გადადგომის შესახებ, რის შემდეგაც დაინიშნებოდა და ჩატარდებოდა დემოკრატიული საპარლამენტო არჩევნები. რაც შეეხება არსებულ ხელისუფლებას და მის მომხრეებს, საფრთხე არ ემუქრებოდათ და შეეძლოთ მიეღოთ მონაწილეობა არჩევნებში.

ამრიგად, მიმოხილული და გაანალიზებული მტკიცებულებებით უტყუარადაა დადასტურებული, რომ შესაბამის მტკიცებულებათა გარეშე ზვიად გამსახურდიას უსაფუძვლოდ შეერაცხა სამშობლოს ღალატი და საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობა, რის გამოც ხსენებულ ეპიზოდშიც მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე და სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს წარმოებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით – არ არის რა ქმედება მართლსაწინააღმდეგო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვიხელმძღვანელე რა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით და

**დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:**

**1. ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდიას, დაბადებულის 1939 წლის 31 მარტს, ქართველის, უმაღლესი განათლებით, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, აწ განსვენებულის მიმართ, – შეწყდეს სისხლის სამართლის საქმე და სისხლისსამართლებრივი დევნა, ვინაიდან ცალკეულ ეპიზოდებში არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება, ხოლო ზოგიერთ ეპიზოდში არ არის ქმედება მართლსაწინააღმდეგო;**

**2. ზვიად გამსახურდიას მიმართ სისხლის სამართლის საქმისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ ეუწყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოს.**

**საქართველოს გენერალური პროკურატურის**
**საგამოძიებო ნაწილის უფროსი პროკურორი რ. ზარანდია.**

**დასასრული. დასაწყისი**
**იხ. „სრ" № 161-166, 168-176, 178-188.**

◉ „ცოტნეობა"–200[4]

## „...ღმსარებელი მცნებისა უფლისა

(პირველი გვერდიდან)

ხობშიც გადაუღებლად წვიმს, ...
გვლივ დიდებული ბუნებაა, მგ...
დივით შეფრენილა უძველესი ...
ნასტერი მთის კორტოხზე, საიდა...
ქართული საგალობლები ეფინ...
არემარეს. ცოტნე აღმსარებლის ...
ხელზე წირვა-ლოცვას აღავლე...
ფოთის ეპარქიის მთავარი ეპ...
კოპოსი, მეუფე გრიგოლი. მან მ...
თლაც ფასდაუდებელი ღვაწლი ...
დო სულიერების აღორძინებას ...
მხარეში და არა მარტო აქ.

მართალს ბრძანებდა დღესას...
ელზე ნამოსული ბატონი ოტია იო...
ლიანი – „აქ მთელი საქართველ...
უნდა ამოსულიყოო" და ისიც ...
შიშველა, რათა უფრო ძალუმად ...
რძნოსო მიწის სითბო და სიყვარუ...

ბატონი ოტია, ცხადია, აქ მ...
ლი საქართველოს ფიზიკურ ამ...
ვლას არ გულისხმობდა მხოლ...
– ერი უნდა გაერთიანდეს ერ...
რწმენისა და დროშის ქვეშ და ...
რადულზე მაღლა დააყენოს სა...
შობლოს ინტერესები, იყოს ისე...
როგორიც იყო ცოტნე დადიანი...
კოხტასთავის ეპოპეის გმირი ...
„დამთმობი სულისა თვისისა და ა...



მსარებელი მცნებისა უფლისა", ის...
თი, როგორიც ახსოვს ფრესკას ...
ეკლესიის კედლებზე.

ქართველთა სულის მარადის...
ბაში თვლემს ცოტნე, რომლის გმ...
რობა, ყაენმაც კი დააფასა, ჩვ...
კი რატომ გვავიწყდება ღირსეუ...
წინაპართა პატივცემა?

**ზურაბ აბრალავა[...]**
„სრ". კორ[...]

◉ წუთისოფელი

# ცხოვრება გვანჯი ჩიქოვანისა

**ჩაწერილი ექიმ დავით კვიტაიშვილის მიერ თბილისის მეორე კოლონიაში, ორთაჭალაში, 1948 წელს**

## ომში წასვლა

თავდაპირველად სოხუმში ჩავედი და იჯარით ავიღე სოხუმის პოლკის ხორცით მომარაგება – ხელი მოვკიდე იმ საქმეს, რაც კარგად ვიცოდი. სოხუმის პოლკს უნდა გავყოლოდი რუსეთ-გერმანიის ფრონტზე და ყოველდღიურად 100 ფუთი ახალი ხორცი მიმეწოდებინა. წინასწარ შემატანინეს საწინდარი – 3000 მანეთი. თუ ჩემს მიერ ნაკისრ ვალდებულებას ვერ შევასრულებდი, ეს ფული იკარგებოდა. სოხუმის პოლკი მალე გაემგზავრა პოლონეთისკენ – ქალაქ სუვალკაში უნდა ჩავსულიყავით. გამოვეთხოვე ოჯახს, ახლობლებს და გავყევი ამ პოლკს. ერთხანს კიევში მოგვიხდა გაჩერება. კიევშივე დავიწყე მომარაგება. ვიყიდე 100 ფუთი შაქარი და წავიღეთ ეშელონით. ჩავედით სუვალკაში. მე მომცეს შვიდი ფურგონი და დამიქვემდებარეს ოცდაოთხი ჯარისკაცი. გავიცანი ადგილობრივი კომისიონერები და ყოველდღე ვყიდულობდი 100 ფუთ საუკეთესო ხორცს და სხვა საჭირო პროდუქტებს. პოლკის უფროსს ძალიან მოსწონდა ჩემი აკურატული მუშაობა და რამდენჯერმე ბრძანებით მადლობა გამომიცხადა.

1914 წლის 22 სექტემბერს სუვალკის ახლოს მოხდა მძიმე ბრძოლები, გერმანიის ჯარებთან ამ შეტაკების დროს სასტიკად დამარცხდა ჩვენი სოხუმის პოლკი. დიდი დანაკლისი გვქონდა. პოლკის მეთაურმა კუდინკომ უმაღლესი მთავარსარდლისგან მიიღო საყვედური, რის გამოც მეორე დღეს თავი მოიკლა. სამი დღის განმაველობაში ისევ შეივსო სოხუმის პოლკი. პოლკის უფროსად დაინიშნა კუდინკოს მოადგილე პოლკოვნიკი კოწია შერვაშიძე. ორი კვირის შემდეგ კიდევ მოხდა დიდი შეტაკება გერმანელებთან და ჩვენ მოგვივიდა ცნობა, რომ ამ ბრძოლაში პოლკის ახალი მეთაური კოწია შერვაშიძე დაიღუპა. ეს სამწუხარო ამბავი ჩვენ კოწიას დენშჩიკმა შეგვატყობინა. ამ დროს ჩემთან იყო კოწიას ნათესავი მიხა ელიზბარის ძე მხეიძე. ჩვენ გული მოგვიკლა ამ საშინელმა ცნობამ და დაუყოვნებლივ გავყევით დენშჩიკს, რათა კოწიას ცხედარი როგორმე ბრძოლის ველიდან გამოგვეტანა. ფრთხილად მივედით ბრძოლის ადგილას. ისმის გამაყრუებელი სროლა და ქვემეხების გრიალი. ჩვენ მუცელზე ხოხვით მივიწევთ წინ. ცოტა მანძილი რომ გავიარეთ, ვხედავთ: ძუკუ დგებუაძეს ორთვალაზე დაუდია კოწიას ცხედარი და თავგანწირვის ფასად მოაქვს. ჩვენმა დანახვამ ძალიან გაახარა. წავეშველეთ და გათენებისას, როგორც იქნა, მშვიდობიანად ჩამოვაღწიეთ სუვალკაში. კოწიას ცხედრის გამოტანამ ერთგვარად დაგვამშვიდა იქ მყოფი ქართველები. ძუკუ დგებუაძე სასწრაფოდ გაბრუნდა ბრძოლის ველზე, რადგანაც უნებართვოდ იყო წამოსული.



**კონსტანტინე გრიგოლის ძე შერვაშიძე. დაიღუპა პირველ მსოფლიო ომში, 1914 წელს.**

ჩვენ მივედით ქალაქის კომენდანტთან, პოდპოლკოვნიკთან. პირადად ვთხოვე, სანამ ჭირისუფლები, ნათესავები ჩამოვიდნენ, მიცვალებულის დასასვენებელი ბინა. ამ უსულგულო კაცმა უკმეხად, ცივად გამომისტუმრა, თავი დამანებეთ, რა დროს მიცვალებულიაო, ასე მითხრა. სასტიკად გულმოსული და შეურაცხყოფილი გამოვტრიალდი და მიხასთან ერთად მ[...] ვედი ერთი ნაცნობი ებრაელ[...] ოჯახში, რომელმაც ჩვენი გასაჭ[...] რისთვის ოთახი მოგვაქირავა. ცხ[...] დარი იქ დავტოვეთ და მე და მ[...] ხა სასწრაფოდ გავექანეთ ჰოსპ[...] ლის მთავარ ექიმთან იასონ მუჯი[...] თან. იასონს ვუთხარით, რა გაჭ[...] ვებაც გვადგა. იგი ძალიან შეწუხ[...] და დაგვამშვიდა – ნუ შფოთავ[...] ყველაფერს გავაკეთებო. მართლ[...] მან გასცა ბრძანება, მაშინვე გ[...] მოჰყო ცხედრისთვის ერთი პატ[...] რა ოთახი. სასწრაფოდ მოვიტანე[...] ცხედარი. იასონის მითითებითვე დ[...] ასვენეს მიცვალებული პროზექტ[...] რაში. მთავარმა ექიმმა დაუძა[...] ფერშლებს – ტუხუ პატარაიას დ[...] ბესარიონ ჩხოტუას. მე და მიხა[...] სპირტი გვაშოვნინა, გაუკეთეს გვ[...] ბალზამირება და მერე იასონმ[...] გვითხრა – აწი, თუ საჭირო იქნ[...] ცხედარი ოც დღეს შეიძლება [...] იყოს შენახულიო. მე და მიხამ სა[...] წრაფოდ გავაგზავნეთ დეპეშა კ[...] წიას დისწულთან, კუჭიკო გელ[...] ვანთან, რომელიც იყო სახელმწიფ[...] სათათბიროს წევრი. დეპეშაში ად[...] რესატს ვატყობინებდით: სასწრ[...] ფოდ ჩამოდით. კოწია მოკლეს. გვ[...] ჯი და მიხა.

(გაგრძელება იქნება).

**გაგრძელება. დასაწყისი**
**იხ. „სრ" № 147-151, 153-166, 168, 170, 173, 174, 176-179, 181-188.**

## ⊙ ინფორმაცია

დახმარება

### ჰუმანიტარული ტვირთი – ჯარისკაცებს

ოსეთის საზღვართან მყოფი ქართველი ჯარისკაცებისთვის ქუთაისიდან იმერეთის სახელით დიდი რაოდენობით ჰუმანიტარული ტვირთი გაიგზავნა. დახმარებას საჩხერის რაიონიდან პერევის ქართულ საგუშაგოზე მიიტანენ. ორი მიკროავტობუსით ძირითადად სურსათი და სიგარეტი იგზავნება.

ეს აქცია უკვე მეორედ ტარდება და იმერეთის სამხარეო ადმინისტრაცია მომავალშიც აპირებს დაეხმაროს პერევის საგუშაგოს, რომელიც საჩხერის რაიონიდან იმერეთს ესაზღვრება.

ქუთაისი

### „პიკასოს ბიჭების" აქცია გადაიდო

უამინდობის გამო ქუთაისში ჩაიშალა აქცია, რომლის დროსაც ათეულობით მოხალისე მდინარე რიონში თეთრი ხიდიდან უნდა გადამხტარიყო. ამით ქუთაისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურს ცნობილი ქართული ფილმის „არაჩვეულებრივი გამოფენის" სახეების გაცოცხლება ჰქონდა დაგეგმილი.

"ქუთაისელი პიკასოს ბიჭები მზად არიან მოდიდებულ მდინარეშიც გადაეშვან, თუმცა ჩვენ ვარჩიეთ აქცია რამდენიმე დღით გადაგვედო," – განუცხადა „ინტერ-პრესს" იმერეთის გუბერნატორმა დავით მუმლაძემ.

## პოეზია უპირველეს ყოვლისა

### ედეა კახიძე

# ხალი რკეულიდან

ოეტებს არ უყვართ ნიღბები
ილაბს მარჯვედ ირგებს მოლაყბე,
ოეტი სიყვარულით ილევება
ა სიტყვით ამარცხებს მოალყეს.
ს არის ბრძოლაში ნაცადი
რეული სახელდიდი გრმების,
ოსანს სძულს მხდალი
და ბაცაცა,
სხარის ჩაჩი და გრიმები.
ოეტი, განწმენდილი ემბაზში,
მართლეს ჩაჰყვება ლდინამდე,
ოსანი ვერ იქცევა ჯამბაზად,
უნდ ირგელივ
სამყარო ბლდვინავდეს.
ოეტს სძულს შარაგზის ყაჩაღი,
ულებში მხოლოდ მზეს აჩაღებს,
ოეტი სიყვარულად ილევება,
ოეტს სძულს გრიმი და ნიღბები!
* * *
ულის ძილით უკვე აღარ მძინავს,
ლარ ვეძებ ლობე-ლობე კენკარს.
ერ ვპოულობ იებს
ბუჩქის ძირას,
მის ბულბულებს
კონა-კონა ვერ ვკრავ!
როგორც, ზღვას ვერ
შემოავლებ დამბებს,
როგორც სხივს ვერ
მოიხელთებ სადმე,
ერ დააბამ ნიავს ტყეში ნარბენს,
ერც მე ვაცხობ ჩემი
გულის ნადებს,
სინამდვილე თვალებს
ავად ბრეცავს,
ბორგნეულ სისხლს ეკიდება ობი.
გინდ დავყრუვდე,
გადავიქცე ბეცად,
არ გავხდები
საქართველოს მთმობი,
სადაც დარჩა ჩემი ნატერფლები,
იქ მოვკვდები, იქვე
გავმტვერდები!
* * *
ზოგჯერ მივლის
სიყვარულის ბნედა,
ველარ ვარჩევ მზაკვარსა
და მართალს,
საიდანაც ამომგლიჯე, ბედო,
წამიღე და იმ მიწაზე დამფალ!
წუთისოფელს ავი თვალი ურევს,
ვერ ვთვისტომობ
სხვათა ზაფხულ-ზამთრებს,
სიკვდილიც და დაბადებაც თურმე
ყველას თავის
ქვეყანაში მართებს.
შენკენ გეზი, კვლავ
მიჭირავს მზირად,
ჯავრიანი ჩავდგომივარ
შენს კვალს,
ჯვარედინზე უმეგზუროდ ვზივარ,
შენი ნახვის ნატვრის სურვილს
ვერ ვკლავ!
ვერ ვახერხებ –
მხნედ შემოვკრა
ფრთა-ფრთას,
ვერ დავხსნივარ
ბედის მწერლის თვალთვალს,
საიდანაც ამომგლიჯე, ბედო,
წამიღე და იმ მიწაზე დამფალ!
* * *
სულის ფუძე-საყრდენი,
ღვთისეული საყდრები –
იყალთო და ხახული,
სიმწრით შემონახული.
არც არავის მვნებელი,
კეთილმსასოებელი.
ნიშ-ტაძრების წირვები,
ლოცვით, მსხვერპლშეწირვებით.
მიწა ნასათუთარი,
ჩემი გულის უფალი.
ალაგ-ალაგ ნახნავი,
ნაჭირნავაგლახარი.
...შენი მეკვლე გულწმინდა,
ვარ, ვიყავი უწინაც,
შენი კუთხე, ხე-ველის
კაბის კალთის მთხვეველი!
* * *
ნელ-ნელ უცნაურობს დრო
შეგვლმუის გვცემს ლომის ტორს,
ილაჯწართმეული ბრბო
ერთმანეთს ჩუმჩუმად მტრობს.
დრო იცვლის იერს და ფერს,
სინათლის სისწრაფით ფრენს,
ეჭვის ბლანდს ქსოვს ათასკეცს,
გრძელ მანძილს საფრენად კეცს.
ავრცელებს ცილსა და ჭორს,
კაცი კი თავისთვის ბჭობს!
შეგვლმუის გვცემს ლომის ტორს
დრო, მოუხელთავი დრო!
* * *
იმედი ნატვრის თვალია
თვალებს მაცდურად აცეცებს,
ხან უშვებს შხამის საცეცებს
ხან გვჩუქნის შუქის ნამცეცებს.
იმედი ნატვრის წიგნია,
მთელი სიცოცხლე დაეძებთ,
და მაინც ვერ მიგვიგნია
ცისა და მიწის განედზე!
* * *
ციცინათელები ღამეს
ღლედ ართავენ
ჩირაღდნით უვლიან
მთა და ველს,
ღამით მზის სხივებით იცნობენ,
ღლისით ჭია-ღუად ნათლავენ,
ციცინათელების სიცოცხლეს
სინათლის წყარო აქვს სათავედ!
* * *
ხრამებს მათრახს სცემს ისევე,
ნახტომ შეშლილი ქორივით,
ქარი მთებს გადმოქროლილი.
მხარმიჯრით დგანან წიწვები
გზის გასწვრივ ზვრები იწყება,
ღრუბლების ყურთბალიშებზე
წვიმა თვლემს თავდავიწყებით.
გადასახედის გადაღმა
გადასახედი იხსნება.
როგორმე ავალ თავალმართის
თუკი იქნება ღვთის ნება
ამოვათავებ სავალ გზას
ავყვები ხევის დინებას,
გზის ანგელოზმა კვლავადაც
თუ მფარველობა ინება.
* * *
დარდი ყელში გადამცდა
როგორც პურის ნაწილი,
სულის მოთქმის სანაცვლოდ
წავილეკე ქარ-წვიმით.
დავრჩი შენი ნატრული,
თავში მჯილის მცემარე,
დილამ ჩემდა საწოლად
აღარ გაისისხამა.
სიხარულმა მიხამა,
...ხელი ვერ წარმემართა
რაც წახველი მას უკან,
აწ დიდ წყლულად ნაქცევ გულს,
ვერც ვერავინ განკურნავს!

## თბილისური ესკიზები

# მერაბი უღლის დასადგმელად ემზადება

ნად მომიწია რუსთაველზე, ემიის კიბეებთან გავლამ. აქ, ებზე, ხომ უკვე რამდენიმე წე- ა, ყოველდღე ცოცხალი გა- ფენაა მოწყობილი.

ანტიკუნტად მოდიოდნენ იქაური ვიდრნი". ხსნიდნენ ჩანთებს, ხის თებს, თავიანთ ადგილს იკავებ- ნ და საფეხურებზე ფრთხილად ობდნენ ნახატებს, ჯამ-ჭურჭელს, არ-ხანჯლებს, ხმლებს, ნაირფერ ლსაბამებს, ხატებს, ჯვრებს..

რიგს ჩავუყევი, თან გამოფენილ ონელს ვაკვირდებოდი. თით- ს ბოლომდე გავედი – მეცნი- ებათა აკადემიის სადარბაზომ- პატარა ხის ყუთში ჩაწყობილ, არნაგზე აყუდებულ ხის ჯვრებს ვაკვირდი. გამყიდველი არ ჩან- , მერე უკან გავიხედე – პარა- ზე საშუალო ასაკის მამაკაცი მომჯდარიყო და თავჩაღუნული ლაცას ამუშავებდა.

ივესალმე.

ღმერთმა გადღეგრძელოთო", ამომეპასუხა.

ავესაუბრე.

მერაბი ვარ, ალდგომელაშვი- ო, – მიპასუხა შეკითხვაზე, თეთ- წყაროს რაიონის სოფელ ერ- იდან.

**– თქვენია ეს ნახელავი?**

– შევეკითხე ზრდილობისთვის.

– ჩემია, მაშ!

**– ძირითადად ჯვრებს აკეთებთ?**

– დიახ. სხვადასხვა ზომისას, ლზე ჩამოსაკიდებელსაც, მაგრამ ლაფერი ხისაა. კიდევ პატარ- ტარა სამახსოვრო ჩონგურებ- ვთლი.

ელაპარაკება, თან სამუშაოს ვს არ ანებებს – ფრთხილად, ნით ამუშავებს ხის ყავისფერ არს.

– თქვენ ვინ ბრძანდებით? მყიდ- ლი? – აქეთ შემომიბრუნა მე- კითხვა.

**– არა, ჟურნალისტი ვარ, თქვენ- მინდა დავწერო რამე.**

ხლალა აიღო თავი, ულვაშებ- ჩაიღიმა.

– კი მაგრამ, რაღა ჩემზე, აბა, ერთი გახედე, რამდენია ჩემნაირი.

**– აბა, რა გითხრათ, გუმანმა ასე მიკარნახა! დიდი ხანია, აქ დგახართ?**

– დაახლოებით თორმეტი წელიწადია, ამ ადგილს არ მოვშორებივარ, გავაწყობ ჩემს ნაშრომს გამოყოფილ ორმოცსანტიმეტრიან „ადგილ-მამულზე" და ვარ ასე. აქედან ფეხი არ მომიცვლია. ამ მონაკვეთში ცამეტი სვეტია, ჩემი ბოლოა, მეცამეტე.

შევატყვე, „გამეხსნა" მერაბი, გულახდილი საუბარი გამიბა.

– იცით, ჩემი გვარი საიდან მოდის? – ოთხი ბერი ყოფილა ქრისტეს საფლავის მსახური... აქედან ერთი – ალდგომელაშვილი. მართალია თუ არა, ვერაფერს გეტყვით, მაგრამ მე კი მეამაყება და...

**– ადრე სად მუშაობდით?**

– თბომეურნეობაში, ხომ გაგიგიათ, იყო საბჭოთა პერიოდში ასეთი დაწესებულება.

**– მაშინაც გიტაცებდათ ეს ხელობა?**

– კი, მოყვარულის დონეზე; ახლობლებს, ნათესავ-ამხანაგებს ვჩუქნიდი დაბადების დღეებზე, დღესასწაულებზე. ახლა კი ჩემი პროფესიაა, საარსებო წყარო. მე არ მეთაკილება აქ დგომა, პირიქით, მგონი, სასიკეთო საქმეს ვაკეთებ, ჯვარი ხომ ქართველი კაცის რწმენის სიმბოლოა, ჩონგური კი, როგორც დიდი აკაკი ბრძანებს, – საქართველოა. მეამაყება, რომ ქართულ ოჯახებში ჩემი ნახელავია დასვენებული, ბევრ ქართველსაც მკერდზე ჰკიდია. ათასამდე ჯვარი მაქვს გაკეთებული. ფანდური კი, ალბათ, ოთხი ათასამდე გამოვთალე და მათი უმრავლესობა, უცხოეთშია გატანილი.



ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს და, რაც მთავარია, სიყვარულს ემსახუროს. სიყვარული და საქმე – ეს უკვე წინსვლაა.

**– შემოსავლით თუ ხართ კმაყოფილი?**

– აბა, რა გითხრათ, პურის ფულად მყოფნის, ყველისთვის – არა (იცინის).

**– როგორც ვხედავ, საკმაოდ მძიმეა თქვენი შრომა.**

– ძნელია, მაგრამ – სასიამოვნო. სხვადასხვა ხეს თავისი სპეციფიკა აქვს, ყველას თავისებური მიდგომა უნდა, დანა და ხე ერთმანეთს უნდა შეაგუო. ეს ბრძოლაა ხესთან, ჩვენი ცხოვრება ყოველდღიური ბრძოლაა, ჩემი ბრძოლა კი სიკეთითა და უსისხლოდ მთავრდება.

**– ყოველდღე დგახართ ამ ადგილას?**

– თითქმის. ხანდახან, როცა ჭირია, მტრისას იყოს, ან ქორწილი, აუცილებელ მისასვლელს ვესწრები. ისე, ქორწილებს ვერიდები, ხარჯიანია (იცინის).

**– რამდენი წლის ბრძანდებით?**

– 56-ისა. 22 ივნისს ვარ დაბადებული, წელიწადის ყველაზე გრძელ დღეს, მაშ. მეუღლე მყავს და ერთი ვაჟიშვილი, 28 წლის. უმუშევარია ამჟამად. როგორც დღეს მოდაშია – შემცირებაში მოაყოლეს ორი ვაჟის მამა. ორი შვილიშვილი მყავს. უფროსი – საბა, სკოლაში დადის, მეორე – გიორგი კი სამი თვისაა. თვალები უციმციმებს.

მაგათ შემოვევლე, ამას წინათ საბა მეკითხება: ბაბუ, მე ხომ გაზივარ ხოლმე ხშირად კისერზე, გიორგი რომ გაიზრდება, იმისთვის რომ აღარ გვექნება ადგილიო?

– რამეს მოვიფიქრებთ, ბაბუ, რაღაცას გამოვთლი უღელივით და ორივეს ზედ შეგსხამთ-მეთქი, – გულიანად ეცინება.

**– ესე იგი, თქვენ არჩენთ ოჯახს?**

– ჯერჯერობით ასეა. მადლობა ღმერთს, სხვისი ხელების შემყურენი არა ვართ.

ისევ სამუშაოს მიუბრუნდა.

**– როგორც ვხედავ, გამუდმებულ შრომაში ხართ.**

– ასეა. ამ დუხჭირ და მოუსვენარ ცხოვრებაში, თუ მომეცემა ხოლმე წამოწოლის საშუალება, ყველაფერ გასაჭირზე ვფიქრობ, მაგრამ მერე ვაჟას, გალაკტიონის, ლადო ასათიანის ლექსებს ვიხსენებ და ვმშვიდდები, ვწყნარდები. პოეზია ზედმიწევნით მიყვარს. ბევრი მეგობარიც მყავდა მწერალი, დღესაც მყავანან.

**– თქვენც ხომ არ თხზავთ ლექსებს?**

ულვაშებში ეღიმება.

– ხანდახან!

**– იქნებ გაიხსენოთ რომელიმე.**

– ხომ არ გამაქილიკებთ?

**– რასა ბრძანებთ, ჩემო მერაბ!**

ხმადაბლა კითხულობს:

„რაღაც წაგვიკითხავს,
რაღაც გაგვიგია,
რაღაც მოგვიჭრია,
რაღაც დაგვირგია,
რაღაც გვინგრევია,
რაღაც აგვიგია,
დღემდის მეგზურობა
ვინც, რომ გაგვიწია,
იმათ საფლავებზე ქვაც
არ დაგვიდია,
ღვინით სავსე თასი
ბევრი დაგვიღვრია,
ერთმა მტერი ჩვენი
უკან გააქცია,
ვიღაცა მტკვარს
გაჰყვა სიტყვა დააწია,
უკან დააბრუნა,
სისხლი დააქცია,
დედაბოძი მოსჭრა,
კერა გააცია,
მაინც რა ერი ვართ? –
ვერა გამიგია!

– ეეე, ჩემო ბატონო, ერთმანეთის გაუტანლობა დაგვღუპავს. თუ ეს დავძლიეთ, ჩვენი მომრევი არავინაა. ქართველებს ერთი გამოთქმა გვაქვს: ყველას არ უნდა ენდო თოკით ჭაში ჩაშვებაშიო. ცოტა გადავუხვიე, ჯვრებმა მოიწყინეს, ღმერთმა დაგვიფაროს!

ერთმანეთს ძლიერად ვართმევთ ხელს, მერაბი მადლობას მიხდის – აუცილებლად შევხვდებითო, – იმედიანობს.

მერე კი მაინც ლექსით მემშვიდობება:

**საქართველოს დროშას ვფიცავ,**
**მტრის წინაშე არ დახრილსა,**
**ჩვენითა გვჭირს,**
**ჩვენგნითა გვჭირს,**
**ჩვენ, ქართველებს, რაცა გვჭირსა.**

იქნებ, მართალია ჯვრის მთლელი მერაბი?!

გურამ გომართელი.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 189, კვირა, 15 აგვისტო, 2004 წე

# ფლორიდას თავს დაატყდა ტროპიკული გრიგალი „ჩარლი“

**გრიგალი „ჩარლი“, რომელიც კარიბის ზღვის მხრიდან შემოიჭრა, ბობოქრობს ფლორიდის ნახევარკუნძულზე. გრიგალი ახლა ფლორიდის ჩრდილოეთისკენ მიიწევს, თან გზაზე ანგრევს ყველაფერს: სახლებს მოხადა სახურავები, ძირფესვიანად ამოთხარა ხეები, გაწყვიტა ელექტროგადამცემი ხაზები, გვაცნობა „საქართველოს რესპუბლიკის“ საკუთარმა კორესპონდენტმა აშშ-ში ჯუმბერ ჯიშკარიანმა.**

ხუთშაბათს „ჩარლიმ“ გვერდი აუარა იამაიკას, ოდნავ გამოსდო ფრთა ბრიტანეთის კაიმანის კუნძულებს და შეინარჩუნა ძალა საიმისოდ, რომ პარასკევს დილით 5-მეტრიანი ტალღების სახით დასტეხოდა თავს კუბის დასავლეთ სანაპიროს, საიდანაც გამოხიზნეს 215 ათასი ადგილობრივი მცხოვრები და 2 ათასი ტურისტი. წინასწარი მონაცემებით, დაღუპულია სამი ადამიანი.

ნაშუადღევს „ჩარლი“ უკვე ფლორიდის დასავლეთ სანაპიროზე ბობოქრობდა, სადაც გამოაცხადეს ევაკუაცია.

ამერიკის ყველა საინფორმაციო საშუალებანი იტყობინებოდა, რომ ფლორიდის ნახევარკუნძულზე მეტად სერიოზული ვითარება იყო შექმნილი. მოახლოებული გრიგალის სიჩქარე საათში 100 მილს აღწევდა. სპეციალისტთა პროგნოზით, წყლის დონე მნიშვნელოვნად მოიმატებდა მექსიკის ყურეში.

გრიგალის მეორე კერა კი თვით მექსიკის ყურეშია, ტამპის დასავლეთით. მას „ბონი“ უწოდეს.



„ბონი“ ფლორიდის ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთის გაელით გადაუვლის სამხრეთ და ჩრდილოეთ კაროლინის შტატებს, რის შემდეგაც მისი ძალა შესუსტდება, თუმცა „ბონი“ განაგრძობს თავის გზას ატლანტის ოკეანისკენ.

მდგომარეობა იმდენად სერიოზულია, რომ ფლორიდის შტატის გუბერნატორმა ჯები ბუშმა გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა. სანაპირო რაიონებიდან (პინელასის, კლივოტერის, ლარბოს, სარასოტას მიდამოებში) ევაკუირებულია 390 ათასი კაცი.

სინოპტიკოსების პროგნოზით, „ჩარლი“ თავისი ძალით შეიძლება შევადაროთ გრიგალს „ენდრიუს“, რომელმაც ძლიერი ნგრევა გამოიწვია მაიამის გარეუბნებში 12 წლის წინათ. მაშინ სტიქიის შემოტევას ემსხვერპლა 15 კაცი, უამრავი ადამიანი უსახლკაროდ დარჩა, ზარალმა კი 22 მილიარდი დოლარი შეადგინა. ახლაც, სავარაუდო ზარალი სულ ცოტა 15 მილიარდ დოლარადაა შეფასებული.

ფლორიდას ასეთი ძლიერი ტროპიკული გრიგალი დაატყდა თავს 75 წლის წინათაც – 1929 წელს, რომელმაც დიდად დააზარალა პინელასის რაიონი.

ასეთივე ძლიერი იყო გრიგალი „დონა“, რომელიც 1960 წელს მძვინვარებდა.

საინტერესოა, რომ გამანადგურებელ გრიგალს ქალის ნაზ სახელს არქმევენ...

# რამსფელდი პეტერბურგს ეწვია

**ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი დონალდ რამსფელდი სანკტ-პეტერბურგში შეხვდება თავის რუს კოლეგას სერგეი ივანოვს. მხარეები განიხილავენ ირანის ირგვლივ შექმნილ ვითარებას, იმსჯელებენ სარაკეტო თავდაცვის სისტემებთან დაკავშირებულ საკითხებზე და რუსეთ-ნატოს ურთიერთობაზე.**

რამსფელდის წინა ვიზიტი რუსეთში 2002 წლის მაისში შედგა. მაშინ ამერიკის შეერთებული შტატები აპირებდა გამოსვლას სარაკეტო თავდაცვის შესახებ ხელშეკრულებიდან, რადგან ეს უშლიდა მას ხელს საკუთარი სარაკეტო სისტემის შექმნის გეგმების განხორციელებაში, რაც რუსეთის დიდ გაღიზიანებას იწვევდა.

მას შემდეგ ამ დისკუსიამ, გარკვეულწილად, დაკარგა აქტუალურობა. ივანოვთან მოლაპარაკების დროს, ალბათ, ამ სფეროში ორი ქვეყნის ტექნიკური თანამშრომლობის საკითხებზე უფრო იმსჯელებენ. მაგრამ რუსეთის მხარე ეცდება მოიპოვოს დამატებითი გარანტიები მანამ, სანამ ვაშინგტონი გააკეთებდეს განცხადებას სარაკეტო სისტემის პირველი სტადიის მზადყოფნის შესახებ.

აუცილებლად წამოტივტივდება ირანის თემაც. უკვე ამჟამინდელი ტურნეს ფარგლებში რამსფელდმა გამოთქვა შეშფოთება ბირთვულ სფეროში ირანის მთავრობის საქმიანობის შესახებ. როგორც ცნობილია, რუსეთი მონაწილეობს ამ ქვეყნის ბირთვულ პროგრამაში, თუმცა ირწმუნება, რომ ეს საერთაშორისო წესების დარღვევით არ ხდება.



ამერიკელები ეცდებიან, აგრეთვე, გააღრმავონ რუსეთ-ნატოს თანამშრომლობა, რათა მეტ-ნაკლებად აღმოიფხვრას ის დაპირისპირება, რომელიც წარმოიქმნა აღმოსავლეთის მიმართულებით ალიანსის გაფართოებასთან დაკავშირებით.

ამერიკელები, ასევე დაინტერესდებიან შეიტყონ, თუ რა ცვლილებები მოხდა რუსეთის სამხედრო სტრუქტურაში და ისინი მიესალმებიან ყველა იმ ნაბიჯს, რომელიც შეუწყობს ხელს სამხედროებზე სამოქალაქო ხელისუფლების უფრო მეტი კონტროლის დამყარებას.

საერთოდ კი, რამსფელდის ვიზიტი მიმდინარეობს რუსეთის პოლიტიკასა და ეკონომიკაში დასახული მთელი რიგი შემაშფოთებელი ტენდენციების ფონზე.

# ისრაელი, „შესაძლოა, წავიდეს ჰოლანიდან“

**ისრაელის არმიის მაღალი თანამდებობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სირიასთან მომავალი სამშვიდობო ხელშეკრულების ფარგლებში ისრაელმა, შესაძლოა, გამოიყვანოს ჯარები ჰოლანის მაღლობებიდან.**



ისრაელის არმიის მეთაურმა, გენერალმა მოშე იაალონმა აღნიშნა, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმით არ შეექმნება საფრთხე ისრაელის უშიშროებას.

ჰოლანის მაღლობები ისრაელმა 1967 წელს წაართვა სირიას. ებრაელი სამხედროები ამტკიცებენ, რომ ეს ტერიტორია ისრაელს სჭირდებოდა „უშიშროების ბუფერის“ სახით. მაგრამ, როგორც გენერალმა იაალონმა თქვა, არმიას შეუძლია დაიცვას ისრაელის საზღვრები იმ შემთხვევაშიც კი, თუ მიღებული იქნება პოლიტიკური გადაწყვეტილება სირიისათვის ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რაიონის გადაცემის შესახებ.

2003 წელს სირიამ შესთავაზა ისრაელს განეახლებინათ მოლაპარაკება ჰოლანის მაღლობების საკითხზე. მოლაპარაკება ჩიხში მოექცა 2000 წელს, როცა ისრაელის მთავრობამ, რომელსაც იმ დროს ეჰუდ ბარაქი ხელმძღვანელობდა, განაცხადა, რომ სირიას გადაეცემოდა ჰოლანის მაღლობები, მაგრამ ისრაელი შეინარჩუნებდა ტერიტორიას ტივერიადის ტბის გასწვრივ. დამასკო ამ წინადადებას არ დაეთანხმა.



# ნეჯეფში სიმშვიდე სუფევს

**დროებითი ზავი ჯერჯერობით შენარჩუნებულია ერაყელთათვის წმინდა ქალაქ ნეჯეფში.**

შიიტთა რადიკალურმა ლიდერმა მოჰქთადა სადრმა წამოაყენა მთელი რიგი პირობები შეიარაღებული დაპირისპირების შეწყვეტისთვის. სადრი, კერძოდ, მოითხოვს: ამერიკელებმა უნდა დატოვონ ქალაქი ნეჯეფი; შიიტთათვის წმინდა ადგილებს რელიგიური ლიდერები უნდა მართავდნენ; ტყვედაყვანილი მოთარეშეები უნდა გაათავისუფლონ, სადრის მომხრეთა მიმართ კი გამოაცხადონ ამნისტია; ნეჯეფში უნდა აღდგეს ძირითადი სამსახურების მუშაობა.

სადრის მომხრეები აცხადებენ, რომ იგი დაჭრილია, თუმცა, მთავრობის წარმომადგენლები უარყოფენ ამ ინფორმაციას.

ამერიკელთა და ერაყელთა ძალების მიერ ნეჯეფში განხორციელებულმა ერთობლივმა ოპერაციამ მოჰქთადა სადრს უამრავი მხარდამჭერი გაუჩინა ერაყის მთელ რიგ ქალაქებში. საპროტესტო დემონსტრაციები გაიმართა ბაღდადში, ქუფაში, სამარაში, მოსულში, ფალუჯასა და დივანიაში. მოჰქთადა სადრის ზოგიერთი მომხრე მოითხოვს ერაყის პრემიერ-მინისტრის აიად ალავის გადადგომას

ამერიკელთა ჯარების გამოყვა

ნეჯეფიდან.

თვით ნეჯეფში ამჟამად სიმშვი

იშვიათად ისმის თითო-ოროლა

როლის ხმა. როგორც ვარაუდობ

სადრმა და მისმა მომხრეებმა

შეაფარეს იმამ ალის მავზოლე

რომელთანაც მისვლის ნება და

„სასწრაფო დახმარების“ რამდენ

მანქანას, რადგან საჭირო იყო

რილების გამოყვანა.

ამერიკელთა სამხედრო წარმ

მადგენლების თქმით, ჯარ

უბრძანეს შეაჩერონ ხუთშაბა

დაწყებული ოპერაცია.

ერაყის მთავრობის წარმომად

ლები აღნიშნავენ, რომ ამჟამად

დინარეობს მოლაპარაკება მოჰქ

და სადრის თანაშემწეებთან გა

ნურებული კრიზისის მოგვარებ

მიზნით. ერაყის შინაგან საქმეთა

ნისტრმა ფალაჰ ნაქიბმა „როიტერ

სააგენტოსთვის მიცემულ ინტერვ

ში განაცხადა, რომ სადრის „ხელ

არ ახლებენ“, თუ იგი მშვიდობიან

დატოვებს მავზოლეუმს. „ჩვენ ვებ

კრიმინალ ელემენტებს, რომლებმ

შეაღწიეს სადრის მოძრაობაში“,

თქვა მან.

# ნავთობის ფასმა რეკორდულ ნიშნულს მიაღწი

**ნიუ-იორკში ნავთობის ფასმა მიაღწია ახალ ისტორიულ მაქსიმუმს – 1 ბარელი ნავთობის ღირებულებამ გადააჭარბა 46-დოლარიან ნიშნულს.**

ვი ოქროს“ ფასების შემდგომი ზრ

და 1 ბარელი ნავთობის ღირებ

ლებამ, სავსებით დასაშვებია, რ

50-დოლარიან ზღვარსაც მიაღწ

ლონდონში „ბრენტის“ ტიპის ნა



ძირითადი მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს ფასების მკვეთრი მატება, გახდა შეერთებულ შტატებში „ბრიტიშ პეტროლეუმის“ ნავთობგადამმუშავებელ საწარმოებში მომხდარი აფეთქებები და ხანძარი, არასტაბილური ვითარებაა ვენესუელაში, რომელიც მსოფლიოში ნავთობის ერთ-ერთი ძირითადი ექსპორტიორია, და ერაყის ნავთობსადენებზე განხორციელებული დივერსიები.

1 ბარელი მსუბუქი ამერიკული ნავთობის ფასი 46,5 დოლარის დონეზე დაფიქსირდა და ერთი დოლარით გაძვირდა. საჯარო ვაჭრობის დროს ამ ნედლეულის ფასმა 46,65 დოლარსაც კი მიაღწია.

თითქმის ყველა ანალიტიკოსი გამოთქვამს პროგნოზს იმის თაობაზე, რომ კვლავ მოსალოდნელია „შა

თობი 1,56 დოლარით გაძვირ

და ახლა 1 ბარელის ფასმა 43,

დოლარი შეადგინა.

„შავ ოქროზე“ მოთხოვნილებ

ზრდას მნიშვნელოვანწილად გ

ნაპირობებენ ინდოეთი და ჩინ

თი, რომლებიც ახლა ეკონომიკ

ბუმს განიცდიან, აგრეთვე შეე

თებული შტატები, სადაც მიმდი

რეობს ეკონომიკის გამოცოცხლე

მაგალითად, ივლისის დამლევ

სათვის ნავთობის იმპორტი ჩინე

ში გაიზარდა 40 პროცენტით გ

სული წლის ანალოგიურ პერიოდ

თან შედარებით.

**უცხოეთის სააგენტოების და ჟურნალ-გაზეთების მიხე დვით მოამზადა**

**ზაზა ბეჟანიძე**

GCF

7
(75)

საქართველოს ჭადრაკის
ფედერაციისა და გაზეთ
„საქართველოს რესპუბლიკის"
ერთობლივი ყოველთვიური გამოცემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფედერაციაში

# ოლიმპიადისთვის სამზადისი დაწყებულია




**ოქტომბერს ესპანეთის კუნძულ ...იორკაზე გაიხსნება ვაჟთა და ...ლთა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმ...ადა – წლევანდელი წლის მთავარი საჭადრაკო ფორუმი. უკვე ცნობილია საქართველოს ვაჟთა და ქალთა ოლიმპიური გუნდის შემადგენლობა.**

ქალთა ნაკრებს, ისევე როგორც წინა ოლიმპიადებზე, **მაია ჩიბურდანიძე** წარუძღვება. მას მხარში ამოუდგებიან **ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი** და **მაია ლომინეიშვილი**. ეს ოლიმპიადა სამივე მათგანისთვის დებიუტი იქნება. გუნდის მწვრთნელია დიდოსტატი **ლაშა ჯანჯღავა**.

ორი წლის წინათ სლოვენიაში საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა უაღრესად საპატიო მეოთხე ადგილი დაიკავა. **ზურაბ აზმაიფარაშვილი** და ახალგაზრდა დიდოსტატები – **ბაადურ ჯობავა, გიგა ყაჭეიშვილი, მერაბ გაგუნაშვილი, ზვიად იზორია, თამაზ გელაშვილი** ამ შედეგის გაუმჯობესებას შეეცდებიან. გუნდის მწვრთნელია საერთაშორისო ოსტატი **ხვიჩა სუპატაშვილი**, კაპიტანი დიდოსტატი **თამაზ გიორგაძე**. ოლიმპიადაზე საქართველოს მოჭადრაკეთა დელეგაციას ფედერაციის პრეზიდენტი **კახი ჩიგოგიძე** უხელმძღვანელებს.

როგორც ფედერაციის პრეზიდენტმა განაცხადა, სექტემბრის შუა რიცხვებიდან ნაკრები ლიკანში შეიკრიბება და საწვრთნელ შეკრებას გაივლის. მანამდე კი ისინი ინდივიდუალურად ემზადებიან, სხვადასხვა ტურნირში ასპარეზობენ.

ოლიმპიადაზე ჩვენი მსაჯიც გვეყოლება. არბიტრთა კორპუსში **ევგენი მელიქსეთ-ბეგი** იქნება წარმოდგენილი.

ტურნირები

# ...ათი ქალბატონის მონაწილეობით

**...ლის პატარა ქალაქი კრასნოტუ...სკი ბოლო წლებში ხშირად მას...ძლობს სხვადასხვა საჭადრაკო ...რნირს. ეს ანდრეი სელივანოვის ...მსახურებაა, რომელიც წლების ...მავლობაში რუსეთის სათათბი...ს წევრი და რუსეთის ჭადრაკის ...დერაციის პრეზიდენტი გახლდათ. ...ასნოტურინსკი მისი მშობლიური ...ლაქია.**

...24 ივლისიდან 1 აგვისტომდე აქ გა...ართა „ჩრდილოეთ ურალის თასი ...2004"-ის გათამაშება. ტურნირი უაღ...ესად წარმომადგენლობითი იყო, ...ში 10 ძლიერი მოჭადრაკე ქალი ...ნაწილეობდა.

...ინიშთან პირველი საფრანგეთის სახელით მოასპარეზე ელმირა სკრიპჩენკო მივიდა – 6 ქულა, **მაია ჩიბურდანიძე** 5,5 ქულით მეორე ადგილზეა.



მაიამ სამი პარტია მოიგო, ხუთი ყაიმით დაამთავრა და მხოლოდ ტურნირის გამარჯვებულთან დათმო შეხვედრა. მომდევნო ადგილები დაიკავეს III. ეკატერინა კოვალევსკაია – 5,5; IV. ნატალია ჟუკოვა – 5. მხოლოდ მეხუთე პოზიციაზეა მსოფლიოს ჩემპიონი ბულგარელი ანტუანეტა სტეფანოვა – 5 ქულა. VI. ირინა კრაში (აშშ) – 4,5; VII. ალისა გალიამოვა – 4,5; VIII. ეკატერინა პოლოვნიკოვა – 4. IX. სვეტლანა მატვეევა – 3,5. X. მარია კურსოვა – 1,5.

# ესპანეთში... ესპანეთამდე

**...ართველოს ქალთა ოლიმპიური ...ნდის წევრი ლელა ჯავახიშვილი და ანა მათნაძე ესპანეთში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობენ.**



ლელა ჯავახიშვილი.

ისინი ჯერ მარინის IV საერთაშორისო ტურნირში ჩაებნენ, რომელშიც 70 მოჭადრაკე მონაწილეობდა. 21 ივლისს ტურნირის ფინიშზე გაირკვა, რომ ლელა ჯავახიშვილს, ესპანელ პაბლო გარსია კასტროს და ალჟირელ აიმენ რიზოუკს ერთნაირი მაჩვენებელი – 6,5-6,5 ქულა ჰქონდათ. უკეთესი კოეფიციენტი ლელას აღმოაჩნდა და მას პირველი პრიზი მიეკუთვნა.

22 ივლისიდან ლელამ და ანამ სხვა 56 მოჭადრაკესთან ერთად ალბარინოს XX პირველობაში აიღეს სტარტი. ეს ტურნირი 7 ქულით 9 შესაძლებლიდან ბულგარელმა ვლადიმრ პეტკოვმა მოიგო. მეორე ადგილზე ამდენივე ქულით რუმინელი დანიელ მოლდოვანოა. მესამე პრიზიორი გახდა მაიკლ გონგორა რეისი (კუბა) – 6,5 ქულა. მოჭადრაკე ვაჟებთან პაექრობაში იგივე მაჩვენებელი ჰქონდათ ლელასაც და ანასაც. მათ შესაბამისად მეოთხე და მეხუთე ადგილები დაიკავეს.

12 აგვისტოს ვილა გარსიაში დამთავრებულ ტურნირში 7 ქულით კუბელმა ფერნარდესმა გაიმარჯვა. ლელა ჯავახიშვილი ბოლო ტურამდე ლიდერთა შორის იყო, მაგრამ მე-9 ტურში დამარცხდა და 6 ქულით მე-6-10 ადგილები გაიყო. ანა მათნაძემ ტურნირი 5,5 ქულით დაამთავრა.

ლელა ჯავახიშვილი და ანა მათნაძე კიდევ რამდენიმე ტურნირში იასპარეზებენ და სამშობლოში სექტემბრის პირველ დეკადაში დაბრუნდებიან.

# ტურნირიდან – ტურნირზე

**...ეს ჰოლანდიის ქალაქ ვლისინგენში ...მთავრდება საერთაშორისო ტურნი..., რომლის 250 მონაწილეს შორის ...ოფლიოს ჩემპიონი უზბეკი რუსტამ ...სიმჟანოვიცაა. ექვსი ტურის შემდეგ ...ოფლიო ჩემპიონს 5 ქულა აქვს. ის ...ევარი ქულით ჩამორჩება ახალგაზ...და ქართველ დიდოსტატს მერაბ გა...ნაშვილს, რომელიც ორ მოჭადრა...სთან ერთად ჯერჯერობით ლიდე...ობს.**

...ამ ასპარეზობამდე მერაბმა ოთხ ...ა ტურნირში თამაში მოასწრო. ...ლენში და ჰელმონდში სწრაფი ...დრაკი ითამაშეს. ჰარლენში გაგუ...შვილმა იანსენთან და ეპიშინთან ...თად I-III ადგილები გაიყო და კოე...იენტით მეორე აღმოჩნდა, ჰელ...ონდში კი პირველი პრიზი მიიღო. ...ამას მოჰყვა ამსტერდამის დიდი სა...თაშორისო ტურნირი, რომელშიც ...-მდე მოჭადრაკე მონაწილეობდა.



მერაბ გაგუნაშვილი.

გაიმარჯვა ცნობილმა ჰოლანდიელმა დიდოსტატმა ვან ვილმა. მერაბმა 9 პარტიაში 6 ქულა დააგროვა და მე-11-15 ადგილები გაიყო მიხეილ მჭედლიშვილთან ერთად.

ორივე ქართველმა დიდოსტატმა ამსტერდამიდან ლეუვარდენში გადაინაცვლა. ეს ტურნირი დიდოსტატ ტივიაკოვის გამარჯვებით დამთავრდა. **გაგუნაშვილმა** 6,5 ქულით 9 შესაძლებლიდან III პრიზი დაიმსახურა. **მჭედლიშვილის** აქტივში 5,5 ქულაა.

**თამაზ გელაშვილი** წლეულს მეორედ ითამაშებს საქართველოს ვაჟთა ოლიმპიურ ნაკრებში. ის სერიოზულად ემზადება ამ მნიშვნელოვანი გამოცდისთვის. ივლისში მან საბერძნეთის საკლუბო ჩემპიონატში ითამაშა, სადაც თავისი კლუბის შემადგენლობაში პირველ დაფაზე 9 პარტიაში 5,5 ქულა მოაგროვა. მის მეტოქეთა საშუალო რეიტინგი საკმაოდ მაღალი – 2580 იყო.

შემდეგ მან ითამაშა კავალაში, 9 ტურში 7 ქულა დააგროვა და III-XI ადგილები გაიყო.

თაობა

# ევროპული მედლების ქართული გეოგრაფია

## თბილისი – ბათუმი – ქუთაისი – სამტრედია – ზუგდიდი – რუსთავი – გურჯაანი

1992 წელს საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია ფიდეს წევრი გახდა. იმავე წლიდან ქართველი მოჭადრაკეები სისტემატურად ასპარეზობენ ევროპის და მსოფლიოს ასაკობრივ ჩემპიონატებში. ამ ტურნირებში 10, 12, 14, 16, 18 და 20 წლის მოჭადრაკეები მონაწილეობენ.

1992 წლამდე საბჭოთა კავშირის სახელით გამოსვლისას მედლების არცთუ ურიგო კოლექცია გვქონდა, ჩვენი დღევანდელი სტატისტიკა კი მხოლოდ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის პერიოდში მოპოვებულ წარმატებებს ასახავს.

დღეისათვის ევროპის ასაკობრივ ჩემპიონატებში მოპოვებულია 61 მედალი, მათ შორის 22 ოქროს, 21 ვერცხლის და 18 ბრინჯაოსი. მსოფლიო ჩემპიონატებში შედეგი ოდნავ მოკრძალებულია – 47 მედალი (21, 12, 14), მაგრამ წლეულს მათი რაოდენობა მოსალოდნელია, რომ გაიზარდოს. წლის მიწურულს საბერძნეთში 10-18 წლის მოჭადრაკეთა ჩემპიონატია დაგეგმილი, ინდოეთი კი 20 წლიანებს უმასპინძლებს.

8 აგვისტოს თურქეთში დამთავრებული ევროპის ჩემპიონატის შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ქართველმა მოჭადრაკეებმა მედლების არნახული მოსავალი მოიმკეს: 3 ოქროს, 2 ვერცხლის და 3 ბრინჯაოს ჯილდო. მედლები საქართველოს შვიდ ქალაქზე ნაწილდება, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ჭადრაკი საქართველოში ყველგან ვითარდება...

კაბადოკიაში 10-18 წლის ევროპის ჩემპიონატმა 660 ახალგაზრდას მოუყარა თავი. საქართველოს მოჭადრაკეთა დელეგაციის ხელმძღვანელმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა გიორგი მაჭარაშვილმა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში აღნიშნა, რომ საერთო გუნდური პირველი ადგილი მოჭადრაკეთა, მწვრთნელთა და ფუნქციონერთა შრომის ადეკვატური შედეგია.

გთავაზობთ ასაკების მიხედვით ჩემპიონატის მოკლე მიმოხილვას.



ნათია ჯალაბაძე და მერი არაბიძე მესამე პრიზიორთან ერთად.

### ტექნიკური შედეგები

**10 წ. გოგონები. 48 მონაწილე**

სტარტზე მარიამ დანელია დაწინაურდა, თუმცა შემდეგ მას სამტრედიელმა მერი არაბიძემ და თბილისელმა ნათია ჯალაბაძემ გაუსწრეს.

**მერი არაბიძემ** 8 ქულით 9 შესაძლებლიდან ჩემპიონობა მოიპოვა. **ნათია ჯალაბაძე** მას ქულით ჩამორჩა და ვერცხლის მედალს დაეუფლა. **მარიამ დანელია** 6 ქულით მეშვიდე ადგილზე დარჩა. მერვე პოზიციაზეა ფოთელი **ნინო ანაკიძე** – 6 ქულა.

**10 წ. ჭაბუკები 102 მონაწილე**

ტურნირში სომეხმა **რობერტ აგხასარიანმა** – (7,5 ქულა) გაიმარჯვა. ქართველებიდან ათეულში **ნოდარ ლორთქიფანიძე** მოხვდა. მან 7 ქულით მე-4-6 ადგილები გაიყო და კოეფიციენტმა მე-6 ადგილი მიუჩინა ცხრილში. რვა წლის **ირაკლი ბერაძე** 6 ქულით მეცამეტეა. **გიგა ბენიძეს** 5,5 ქულა აქვს.

**12 წ. გოგონები. 64 მონაწილე**

ევროპის შარშანდელ ჩემპიონს **ნაზი პაიკიძეს** ბედმა არ გაუღიმა. მან 6,5 ქულა მოაგროვა და II-VIII ადგილები გაიყო. საბოლოოდ კოეფიციენტმა მას მე-4 პოზიცია არგუნა. ნაზის ბოლო ტურში პარტია რომ არ წაეგო, მაშინ ის ჩემპიონს – ხორვატიელ ლარა სტოკს დაეწეოდა.

იხ. მე-8 გვ.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 189, კვირა, 15 აგვისტო, 2004 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

⊙ თაოგა

# ევროპული მედლების ქართული გეოგრაფია

EUROPEAN YOUTH CHESS CHAMPIONSHIP
CAPPADOCIA
2004



გიორგი მარგველაშვილი, ლუკა პაიჭაძე, დავით ბენიძე და მადონა ბოკუჩავა.

**16 წ. ჭაბუკები. 70 მონაწილე**

7,5 ქულით ჩემპიონი გახდა აზერბაიჯანელი რაუფ მამედოვი. სამტრედიელი დავით ჯოჯუა 6,5 ქულით მეხუთე ადგილზეა, თორნიკე სანიკიძემ 6 ქულით მე-6-12 ადგილები გაიყო. შოთა აზალაძემ 5,5 ქულა მოაგროვა.

**18 წ. გოგონები 41 მონაწილე**

ბათუმელმა სალომე მელიამ ოქროს მედლით გაგვახარა (7,5 ქულა). მეორე ბათუმელი გოგონა ნინო ბაციაშვილი ბოლო ტურში დამარცხდა სალომესთან და 6 ქულით მეოთხე ადგილზე დარჩა. თბილისელი ანა გავაშელი 5,5 ქულით მე-8 ადგილზეა. სამწუხაროდ, ანაც ბოლო პარტიაში დამარცხდა.

**18 წ. ჭაბუკები. 58 მონაწილე.**

მედლების ბედი აქაც კოეფიციენტმა გადაწყვიტა. ოთხმა მოჭადრაკემ, მათ შორის თბილისელმა საერთაშორისო ოსტატმა ლევან ფანცულაიამ 6,5-6,5 ქულა მოაგროვეს და II-V ადგილები გაიყვეს. ლევანი უარესი კოეფიციენტის გამო მეხუთე აღმოჩნდა. მალხაზ სულაშვილმა და დავით მალალაშვილმა (გორი) 5,5-5,5 ქულა მოაგროვეს.

(მეშვიდე გვერდიდან)

**12 წ. ჭაბუკები. 107 მონაწილე**

აქაც კოეფიციენტმა დაგვაზარალა. ლევან ბრეგაძემ 7 ქულა მოაგროვა. მესამე-მეხუთე ადგილები გაიყო და მეხუთეზე დარჩა.

**14 წ. გოგონები. 47 მონაწილე**

ზუგდიდელმა მადონა ბოკუჩავამ მეორედ მოიპოვა ევროპული სინჯის მედალი. მან 6,5 ქულას მოუყარა თავი. ნახევარი ქულით ნაკლები აქვს ანა ბუცხრიკიძეს. ანამ მეხუთე ადგილი დაიკავა, მერი ქორქოლიანმა 5,5 ქულით მე-8-12 ადგილები გაიყო. სოფიკო გურამიშვილს 5 ქულა აქვს.

**14 წ. ჭაბუკები. 69 მონაწილე**

სამივე მედალი ერთ ქვეყანაში — საქართველოში გამოემგზავრა, რაც იშვიათად ხდება.

თბილისელმა გიორგი მარგველაშვილმა 7,5 ქულით ჩემპიონობა მოიპოვა. რუსთაველი ლუკა პაიჭაძე 7 ქულით ვერცხლის მედალს, ხოლო ქუთაისელი დავით ბენიძე ამდენივე ქულით ბრინჯაოს მედალს დაეპატრონა.

მეორე რუსთაველი გეგა მაისურაძე 6 ქულით მე-8 ადგილზეა.

**16 წ. გოგონები. 54 მონაწილე**

ისევე, როგორც შარშან, წლეულსაც გურჯაანელი მაკა ფურცელაძე პრიზიორთა შორისაა. ამ ასაკში პირველია რუსი ვალენტინა გუნინა. 7 ქულა აქვს რუმინელ საბინა ფოიშორს, ამდენივე — მაკა ფურცელაძეს. ბათუმელი მირანდა მიქაძე ექვსი ქულით მეექვსეა, თეონა ღურჭუმალიძემ 5,5 ქულით VIII-XVIII ადგილები გაიყო.



მაკა ფურცელაძე.



სალომე მელია.

⊙ ნაბიჯი წინ

# ოსტატობის მესამე ბალ[ი]

საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტმა ლევან აროშიძემ წარმატებით იასპარეზა საბერძნეთის ქალაქ კავალაში გამართულ საერთაშორისო ტურნირში, სადაც 200-ზე მეტი მოჭადრაკე მონაწილეობდა. 9 ტურის შემდეგ 7,5-7,5 ქულით ფინიშის სწორზე თანაბრად მივიდნენ დიდოსტატი ვლადიმირ ბელოვი (რუსეთი) და ლასლო საბო (უნგრეთი). ლევანმა 6,5 ქულით მე-12 პოზიცია დაიკავა. ამავე დროს ეს შედეგი საუკეთ[ესო] იყო 20 წლის მოჭადრაკეთა შ[ო]რის, რაც სპეციალური პრიზ[ით] აღინიშნა. ამავე დროს აროშიძ[ემ] შეასრულა საერთაშორისო ოს[ტა]ტის ბალი. ეს ლევანისთვის მეს[ამე] მსგავსი წარმატებაა და ფიდე ნ[ო]ემბერში ესპანეთში გამართ[ულ] კონგრესზე მას ამ წოდებას ოფ[ი]ციალურად მიანიჭებს.

კობა დავითაი[ა]

⊙ კომპოზიცია

# უნივერსალური მანევრი

„ხელოვანი იდეათა სასახლეს აგებს, თვითონ [კი] ქოხში ცხოვრობს. ეს ქოხი თვითონაა".

ჟან-პოლ სარტრ[ი]

1921 წელს დიდოსტატმა რეტიმ გამოაქვეყნა ფორმითა და შინაარსით სრულყოფილი ეტიუდი, რომელმაც მსოფლიო საჭადრაკო პრესა შემოიარა. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ აღნიშნულმა ეტიუდმა საფუძველი დაუდო პაიკთა ენდშპილის თეორიას. მრავალი ეტიუდისტი დაინტერესდა მასში გატარებული იდეით და მიმბაძველებიც გამოუჩნდა. ამ იდეაზე შექმნილმა ნაწარმოებებმა სარეკორდო რიცხვს მიაღწია. თანამედროვე ეტიუდისტებიც ცდილობენ ამ იდეის გამდიდრებას ახალი ნიუანსებით.

რეტის ეტიუდში გატარებულ იდეას ხშირად გადმოსცემენ პაიკების მასალაზე დაყრდნობით, მაგრამ ეს იდეა იმდენად უნივერსალურია, რომ შემდგომი თაობის კომპოზიტორებმა იგი სხვადასხვა საჭადრაკო მასალის საშუალებით წარმოადგინეს.

დღეს ჩვენ გაგაცნობთ ამ იდეის რამდენიმე საინტერესო ვარიაციას.

**რ. რეტი, 1921 წ.**



**ყაიმი.**

1.♔g7 h4 2.♔f6 ♔b6
3.♔e5 ♔xc6 [3...h3 4.♔d6 h2
5.c7 ♔b7 6.♔d7] 4.♔f4 h3
5.♔g3 და თეთრი მეფე პაიკის კვადრატშია.

გავეცნოთ ეტიუდს, რომელშიც რეტის იდეა ავტორებმა პარადოქსულად წარმოგვიდგინეს — იდეისა და ანტიიდეის სახით.

**ა. და კ. სარიჩევები, 1928 წ.**



**ყაიმი**

1.♔c8 b5 2.♔d7 b4
3.♔d6 ♗f5 4.♔e5 ♗c8
5.♔d4 b3 6.♔c3 და მოულოდნელ[ად] მეფე დაეწია გამხსნელ პაიკს.

მიუხედავად კამერული ქღერ[...]ლობისა, ნაწარმოები დიდი სიმძა[...]რით გამოირჩევა. იგი რეტის იდე[ის] ნოვატორული დამუშავებაა.

შემდგომში საჭადრაკო კომპ[ო]ზიციის ისტორიკოსებმა აღმოა[ჩი]ნეს, რომ რეტის ეტიუდს გააჩნ[და] საკმაოდ ძლიერი წინამორბე[დი] ჰორვიცის ეტიუდის სახით.

**ბ. ჰორვიცი, 1879 წ.**



**თეთრები იგებენ**

1.♔e7 a2 2.♔d6 e4 3.♔c5 e3
4.♔b4 e2 5.♖e7 a1♕ 6.♖xe2+ ♔[...]
7.♖e1+ ♔b2 8.♖xa1 ♔xa1
9.♔c3 და თეთრები იგებენ პაიკ[ის] ენდშპილს.

და ბოლოს, გთავაზობთ ამ იდე[ის] კიდევ ერთ ვარიაციას, რომელ[იც] პირველად იბეჭდება.

**ვ. კალანდაძე, 2003 წ.**



**ყაიმი**

1.♔c7 b5 2.♔d6 b4 3.♔e5 b3
4.♔f4 ♔h3 5.♔f3 ♔h2
6.♖d2+ ♔g1 7.♖d1+ ♔h2
8.♖d2+ ♔h3 9.♖d1 და პოზიციუ[რი] ყაიმი შამათის მუდმივი მუქარით.

ამ ეტიუდში რეტის იდეას ერწ[ყმის] მის მუდმივი ქიშისა და მუდმი[ვი] შამათის მუქარა.

როგორც ვხედავთ, საეტიუდ[ო] იდეები ერთმანეთისგან მოწყვეტ[ი]ლად არ არსებობენ. ისინი ერთ[...] მანეთთან ღრმა კავშირში არია[ნ].

ველიმირ კალანდაძ[ე]

⊙ ისტამბეგა

# ახალი ნომერი




ახალი სასწავლო წლის დასაწყისში ხელისმომწერნი მიიღებენ „სკოლა-ჭადრაკის" ახალ ნომერს. ეს თექვსმეტგვერდიანი გაზეთი მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

სპეციალური წერილი ეძღვნება მსოფლიოს IX ჩემპიონის ტიგრან პეტროსიანის 75 წლისთავის იუბილეს. აქვე დაბეჭდილია ნაწყვეტი ვიქტორ ვასილიევის წიგნიდან „სიკეთის მთესველი", რომელიც გამოჩენილ ქართველ საჭადრაკო პედაგოგს ვახტანგ ქარსელაძეს ეხება. წლეულს ბატონი ვახტანგიც 75 წლის გახდებოდა.

წერილში „ასე გვასწავლის კაპაბლანკა" გაეცნობით დიდი კუბელი მოჭადრაკის შეხედულებებს დებიუტის, შუა თამაშის და დაბოლოებებში თამაშის ზოგიერთ თავისებურებაზე.

გაზეთი მკითხველებს სთავაზობს 24 მინიატურული ფორმის ორსვლიანი ამოცანის ამოხსნას.

ტრადიციულ რუბრიკაში „კიდევაც დაიზრდებიან" კიდევ ორ ნიჭიერ მოჭადრაკეს — სალომე სირაძეს და სანდრო ებრალიძეს გაეცნობით.

მათ, ვისაც სურვილი აქვს გამოიწეროს „სკოლა-ჭადრაკი", ვაცნობებთ, რომ ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ტელეფონით: 93-50-84.

GCF ლიდ ზიფრი
სარედაქციო კოლეგია: დავით გურგენიძე (რედაქტორი), კახი ჩიგოგიძე, ზურაბ აზმაიფარაშვილი, ნანა ალექსანდრია, ანზორ ბასილაია, გივი გამრეკელი, ნონა გაფრინდაშვილი, თენგიზ გიორგაძე, ბუხუტი გურგენიძე, ნინო გურიელი, ველიმირ კალანდაძე, გიორგი მახარაძე.

# სპორტი

◉ ჭიდაობა

## ვეტერანებიც ემზადებიან

**ზაფხულის პაპანაქების მიუხედავად, დიდი გამოცოცხლებაა თბილისის ფალავანთა კლუბში, სადაც სასწავლო-საწვრთნელ შეკრებას ატარებენ თავისუფალი სტილით მოჭიდავე ოლიმპიელები. ოფლში გაწუწული ელდარ კურტანიძე თავს არ ზოგავს და სხვებსაც აქტიური ვარჯიშისკენ მოუწოდებს.** ერთ-ერთ ხალიჩაზე ჩოქბჯენში ილეთს ასრულყოფს გურჯაანელი რევაზ მინდორაშვილი, აქვეა მძიმეწონოსანი ალექსანდრე მოდებაძე და ჩვენი ნაკრების სხვა წევრებიც...

დღის მეორე ნახევრიდან ფალავანთა კლუბის ხალიჩებზე ვეტერან მოჭიდავეებს ვხედავთ. თმაშევერცხლილი ფალავნები აქ გასართობად ან წონის დასაკლებად როდი მოდიან. საქმე ისაა, რომ 23-26 სექტემბერს ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკთან ახლოს გაიმართება მსოფლიოს 2004 წლის ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ვეტერანთა შორის, რომელსაც ფილა ყოველწლიურად მართავს. ტურნირში, ტრადიციულად, საქართველოს წარმომადგენლებიც მონაწილეობენ და საკმაო წარმატებებსაც აღწევენ. ასე, მაგალითად, შარშან ოდესაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ესტატე ბოგლიჩიძემ ვერცხლის მედალი დაისაკუთრა, ბრინჯაოს მედლებით დაიმშვენეს მკერდი თეიმურაზ ნიკურმა, ომარ მელაშვილმა, შალვა ჭუფრინდაშვილმა, ვაჟა ლობჟანიძემ და დავით თოდრიამ.

ოდნავ მოგვიანებით მოვარჯიშეთა ჯგუფს საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი, საკმაოდ ცნობილი მოჭიდავე, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ომარ ეგაძე შემოუერთდა (სულ ახლახან მას დაბადების 65 წელი შეუსრულდა). იუბილარი დავიმარტოხელე და ფინეთის მოახლოებულ მსოფლიოს ჩემპიონატის მზადებაზე გავესაუბრე.



— ფინეთის ჭიდაობის ფედერაციის სახელზე ახლახან ფაქსი გავაგზავნეთ და საქართველოს ვეტერანთა ნაკრების მონაწილეობის სურვილი დავადასტურეთ. ჩვენი ვეტერანი ფალავნები მთელი ათითერთმეტი თვეა ემზადებიან ამ ასპარეზობისთვის — ვაწყობთ მძლეოსნურ კროსებს კუს ტბაზე, ვთამაშობთ ფეხბურთს, კალათბურთს, ფრენბურთს. დიდ ყურადღებას ვუთმობთ საერთო ფიზიკურ მომზადებას, ძალოსნობას და სხვა. ტრადიციულად, პრობლემა გახლავთ უსახსრობა. საქმე ეხება ნაკრები გუნდის მსოფლიოს ჩემპიონატის გამართვის ადგილზე გამგზავრებას. არასოდეს გადაწყვეტილა ეს საკითხი დროულად და ნერვების აუშლელად, ჩვენი გუნდის თითოეული მოჭიდავე თვითონ არის საკუთარი სპონსორი. ხან ვის ვთხოვთ დახმარებას და ხან — ვის. თუმცა, მსოფლიოს ჩემპიონატებიდან უმედლებოდ არასოდეს დავბრუნებულვართ. ალბათ ურიგო არ იქნება, თუ საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია და მისი ყოვლისშემძლე პრეზიდენტი, ბატონი გოჩა ძასოხოვი ათენის ოლიმპიადაზე წარმატების შემდეგ, იმედია, ჩვენც მოგვაქცევს ყურადღებას.

**შალვა ძორიძე.**
**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**

◉ ოლიმპიურ ტალღაზე



## ვისი ოლიმპიადაა?

**ძალაუნებურად ასეთი კითხვა დაგებადებათ, როცა შეიტყობთ, რომ შეერთებულმა შტატებმა ათენში, ოლიმპიურ თამაშებზე სპორტსმენებზე მეტი უსაფრთხოების დამცველები გააგზავნა.**

თავად განსაჯეთ, აშშ ეროვნულ გუნდში 530 სპორტსმენია, ვინც სხვადასხვა შეჯიბრებაში მიიღებს მონაწილეობას, მცველთა „ნაკრებში" კი — 600 სამხედრო, პროფესიონალი კონტრმზვერავი და სამართლდამცავი ორგანოების აგენტი. მათ შორის, ბევრი სახელმწიფო დეპარტამენტისა და ეროვნული უშიშროების სამინისტროს გამოძიების ფედერალური ბიუროს, დიპლომატიური უშიშროების სამსახურების — თანამშრომელი.

ამას გარდა, როგორც ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის წარმომადგენლებიდან გახდა ცნობილი, ხმელთაშუაზღვის ახლომახლო ქვეყნებში იმორიგევებს 400 ამერიკელი სპეცრაზმელი, რათა საჭიროების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ გადაისროლონ საბერძნეთში.

როდესაც ლაპარაკობენ უშიშროების ასეთ ზომებზე, ერთსაც არ ივიწყებენ, თამაშების ირგვლივ ნამდვილად საშიში ვითარება რომ იყოს შექმნილი, მაშინ აშშ პრეზიდენტი ბუში საბერძნეთში თავის მამასა და ქალიშვილებს არ გაუშვებდაო.

## ებრაელთან რა მაჭიდავებსო...

**ექსპერტების აზრით, ძიუდოში 66 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ოლიმპიური „ოქროს" ერთ-ერთი მთავარი კანდიდატი მსოფლიო ჩემპიონი, 23 წლის ირანელი არაშ მირესმაილი იყო. მაგრამ ირანის სპორტული დელეგაციის მეთაურმა მოულოდნელად უარი განაცხადა ტატამზე გამოსვლაზე, რადგან კენჭისყრით მას ძიუდოისტთა ტურნირის პირველ რაუნდში ისრაელელ მოჭიდავესთან ეხუდ ვაკსთან ორთაბრძოლა უწევდა.**

როგორც არაშმა განაცხადა, ასეთი გადაწყვეტილება პალესტინელებთან სოლიდარობის გამო მიიღო და ამაყობს კიდევაც ამით.

შეგახსენებთ, რომ ირანის მთავრობა მომხრეა ისრაელის მიმართ მკაცრი სანქციებისა, ის კი კრძალავს რაიმე კონტაქტებს ამ ქვეყნის მოქალაქეებთან.

ეს პირველი შემთხვევა როდია, როდესაც ირანელი ძიუდოისტები უარს ამბობენ ისრაელელ სპორტსმენებთან ორთაბრძოლაზე — 2001 წელს ძიუდოში მსოფლიო ჩემპიონატზე ირანელმა მაჰედ მალეკმოჰამედმა უარი თქვა იოელ რაზვოზოვთან შერკინებაზე, იმავე წელს აზიის ჩემპიონმა მასუდ ჰაჯი აკჰუნზადემ თავი აარიდა ცვი შაფრანთან ჭიდაობას.

## მაინც ირბენს

**ძალზე მოეცარა ხელი აშშ მძლეოსანთა წინასაოლიმპიადო შესარჩევ ტურნირზე სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს მერიონ ჯონსს. ის ნაკრებში ვერ მოხვდა 100 და 200 მეტრზე სირბილის შედეგების მიხედვით, ათენის საგზური კი მხოლოდ სიგრძეზე ხტომაში გამარჯვებით მოიპოვა.**

მაგრამ ახლა ცნობილი გახდა, რომ მერიონი მაინც აისრულებს სურვილს და ოლიმპიადაზე ირბენს ესტაფეტაში 4X100 მ. ამერიკელთა მწვრთნელმა სიუ ჰემფრიმ ის გუნდში შეიყვანა ტორი ედვარდსის დისკვალიფიკაციის შემდეგ. გუნდში მორბენლები ეტაპების მიხედვით ახლა ასე განლაგდებიან — ენჯელა უილიამსი, მერიონ ჯონსი, ლორინდ უილიამსი და ლატაშა კალანდერი. ამ შემადგენლობით მათ ადრე უკვე იასპარეზეს, მათი შედეგი 41,37 მხოლოდ 0,3 წამით ჩამორჩებოდა მსოფლიო რეკორდს.

ასე რომ, მერიონ ჯონსი ათენში უკვე ორი „ოქროსათვის" იბრძოლებს.

## სენსაცია სტადიონებზე

**ასე მიიჩნევენ ფეხბურთის სპეციალისტებიც და გულშემატკივრებიც ათენში ოლიმპიური ნაკრებების ზოგირთი მატჩის შედეგს. თუმცა, ალბათ თავად განსჯით ამას, როცა მათ ანგარიშებს გაეცნობით.**

**პარაგვაი — იაპონია** — 4:3. იაპონელებმა ორი ბურთი თერთმეტმეტრიანებით გაქვითეს.

**განა — იტალია** — 2:2. პირველი ტაიმი განელებმა მოიგეს (2:0), იტალიელები მდევრების როლში იყვნენ.

**კოსტა-რიკა — მაროკო — 0:0.**

**ერაყი-პორტუგალია — 4:2.** ერაყელებმა მე-13 [illegible] ბურთი საკუთარ კარში გაიტანეს, შემდეგ ოთხი [illegible] პორტუგალიელებმა თავად მხოლოდ ერთი ბურთი გაქვითეს.

## „პლეიბოის" ოლიმპიადა

**მამაკაცებში ძალზე პოპულარული ჟურნალის „პლეიბოის" გერმანულმა რედაქციამ ათენის ოლიმპიური თამაშების წინ მშვენიერი საჩუქარი მიუძღვნა თავის მკითხველებს: აგვისტოს ნომრის ფურცლებზე გამოაქვეყნა გერმანიის ოლიმპიური ნაკრების სამი, ჟურნალისტების ვერსიით, ყველაზე სექსუალური სპორტსმენი ქალის ფოტოსურათი. უნდა ითქვას, რომ ყველაზე სექსუალურებისა მათ შორის, ვინც დათანხმდა ჟურნალისთვის გაშიშვლებას.**

ფოტოსერიის კონცეფცია ის იყო, რომ ლამაზმანები წარმოედგინათ, როგორც თავისებური ანტიკური ქალღმერთები, რომლებიც საბერძნეთში მიემგზავრებიან თავიანთი ქვეყნის ღირსების დასაცავად. „პირადად მე სულაც არ მრცხვენია, — თქვა ბალახის ჰოკეიში გერმანიის ნაკრების ლიდერმა, 24 წლის ფანი რინემ, — პირიქით, მეამაყება კიდეც, რომ მთელი ქვეყანა მიხილავს. საიდუმლო როდია, რომ სპორტის ჩვენი სახეობა ჯერჯერობით ძალზე პოპულარული არაა, ეს აქცია ჩვენდამი ყურადღებას აამაღლებს".

ლამაზმან სპორტსმენ ქალებს მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდნენ: „იმის ნაცვლად, რომ თამაშებისთვის მომზადებულიყვნენ, ისინი სხვადასხვა საეჭვო ჟურნალებში დაწანწალებდნენ, — განაცხადა ადგილობრივი ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, — რაო, ფული აკლიათ? მჯერა, რომ ასეთი საქციელი ნაკრებს იმიჯს შეულახავს".




◉ ათლეტიზმი

**ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების წყალბურთის სპეციალიზებული სკოლის აღსაზრდელები სპორტის საყვარელ სახეობას კარგად უთავსებენ დამხმარე ვარჯიშებს.** განსაკუთრებით აღსანიშნავია ჭაბუკ წყალბურთელთა გატაცება ათლეტიზმით. თუ გავითვალისწინებთ სპორტკომპლექს „ქართმხალას" ათლეტიზმის სექციის მწვრთნელის, საქართველოს ათლეტიზმის ფედერაციის ვიცეპრეზიდენტის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ქალბატონ ნაზი გოგიშვილის პედაგოგიურ ალღოს, მის პროფესიონალიზმსა და მდიდარ გამოცდილებას, ნათელი გახდება წყალბურთელთა, მოჩაგბეთა, ფეხბურთელთა თუ სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენელთა დაინტერესება ათლეტიზმით.

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

## შტანგით და ჰანტელებით

დღეს — ჩვენი რუბრიკის დასკვნით გამოშვებაში გთავაზობთ რამდენიმე ვარჯიშს ჭაბუკი წყალბურთელის გივი ენდელაძის შესრულებით.

**მკერდის კუნთებისთვის**

**1. წოლჭიმი უარყოფითი დახრილობის დაფნიდან (სურ. 1).** სრულდება 8 მისვლა 6-6 გამეორებით.

**მხრის კუნთებისთვის**

**2. აჭიმვა მკერდიდან ჰანტელებით (სურ. 2).** სრულდება 6 მისვლა 10-10 გამეორებით.

**მხრის ორთავა კუნთებისთვის (ბიცეპსებისთვის).**

**3. დახრილ დაფაზე ფიქსირებული იდაყვებით წონის აწევა (სურ. 3).** სრულდება 6 მისვლა 12-12 გამეორებით.

**4. იდაყვის ბარძაყზე დაყრდნობით ერთი ხელით ჰანტელის აწევა (სურ. 4)** შემდეგ ხელის შეცვლით. თითოეული ხელისთვის სრულდება 8-8 მისვლა 12-12 გამეორებით.

**ზურაბ ჟავჟანიძე.**
**ნაზი გოგიშვილის ფოტო.**

ლევან ჭელიშვილი.


1


2


3


4

◉ რა არ ხდება

## სექსი გამარჯვების წამალი ყოფილა

**გინდ დაიჯერეთ და გინდ არა, მაგრამ ამტკიცებენ, რომ დიდი შეჯიბრებების წის სექსი ძალზე დადებითად მოქმედებს სპორტულ შედეგებზეო. თუმცა ერთი რამ არ გამოგრჩეთ — ეს მხოლოდ ქალებს ეხება!**

დიახ, სპეციალისტთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ სასიყვარულო ურთიერთობანი სასარგებლოა მხოლოდ ქალი სპორტსმენებისთვის, განსაკუთრებით — მძლეოსნებისთვის — მორბენლებისა და მხტომელებისთვის. როგორც ცნობილი ისრაელელი ექიმი ალექსანდრე ოლშანსკი მიიჩნევს (ის კი 1996 წლიდან მუშაობს სპორტის და სექსის შეთავსების პრობლემებზე), რაც უფრო ძლიერია ეს ურთიერთობა, იმდენად მეტია საუკეთესო შედეგის ჩვენების შანსი.

მამაკაცებისთვის საქმე უფრო რთული ყოფილა. აქ მეტი ინდივიდუალურობაა. მაგალითად, ფეხბურთის მწვრთნელები თავიანთ მოთამაშეებს უკრძალავენ დიდი მატჩის წინ ყოველგვარ სექსს.

და მაინც, ათენში ამისათვის სათანადოდ მოემზადნენ — აქ თამაშების მონაწილეებს 130 000 პრეზერვატივი დაახვედრეს(?!).

# რა მოჰყვება გლობალურ დათბობას?

**სერ დევიდ კინგმა, ტონი ბლერის და დიდი ბრიტანეთის მთავრობის წამყვანმა მრჩეველმა სამეცნიერო საკითხებში, მეცნიერთა შორის მოიპოვა გლობალური დათბობის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი პროპაგანდისტის რეპუტაცია. სერ დევიდის აზრით, ეს კლიმატური პროცესი გაცილებით უფრო საშიშია, ვიდრე საერთაშორისო ტერორიზმი. და დროულად თუ არ მივიღებთ ზომებს, პლანეტას მალე წალეკავს გვალვების, წყალდიდობებისა და სხვა კატაკლიზმების ტალღა. ევროპაში მოსახლეობა ამოწყდება მალარიისგან, ზღვისპირა ქალაქებს წყალი შთანთქავს, XXI საუკუნის დამლევისათვის კი დედამიწაზე საცხოვრებლად ვარგისი ერთადერთი ადგილი იქნება მხოლოდ ანტარქტიდა. გთავაზობთ ამ მეცნიერის საუბარს გაზეთ „არგუმენტი ი ფაქტის“ კორესპონდენტთან.**

## გაყინულობა უკან იხევს

**– დიდ ვნებათაღელვას იწვევს გლობალური დათბობის თემებზე მსჯელობა. ერთნი ამბობენ: დამნაშავეა ადამიანი, ეგრეთ წოდებული ანთროპოგენური ფაქტორი. მეორენი ამტკიცებენ: დათბობა კანონზომიერია, ასეთი რამ წინათაც ხდებოდა, მთელი ეს სკანდალი კი ანგარიჟებულმა მეცნიერებმა ატეხეს. რუსმა სპეციალისტებმა კი თავიანთი ვერდიქტი გამოიტანეს: კიოტოს ოქმი ჩვენი დროის გრანდიოზული ფალსიფიკაციაა. არანაირი სამეცნიერო დასაბუთება მას არ გააჩნია და ამ დოკუმენტით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება არაეფექტიანია.**

– ეს ასე არ არის. საერთაშორისო სამეცნიერო გაერთიანებებმა უკვე კარგა ხანია გამოიტანეს ერთიანი დასკვნა: ნახშირორჟანგა გაზის შემცველობის თავისთავადი ზრდა ატმოსფეროში (სწორედ მისი წყალობით წარმოიქმნება ეგრეთ წოდებული სათბურის ეფექტი) სათბობის წვის შედეგია. გაზის გაჯერებულობის ამჟამინდელი დონე ყველაზე მაღალია მთელი ისტორიის მანძილზე. თავად განსაჯეთ. როცა დასრულდა უკანასკნელი გამყინვარების პერიოდი (დაახლოებით 12 ათასი წლის წინათ), $CO_2$-ის კონცენტრაცია შეადგენდა 200 მოლეკულას ჰაერის მილიონ მოლეკულაზე გაანგარიშებით. ამის შემდეგ დაიწყო ამ მაჩვენებლის თანდათანობით ზრდა. 12 ათასი წლის განმავლობაში $CO_2$-ის კონცენტრაციამ მიაღწია 270 მოლეკულას მილიონზე. და უცებ, მხოლოდ ერთი საუკუნის მანძილზე, ეს მაჩვენებელი მკვეთრად გაიზარდა – 379-მდე! თუ არა ნახშირწყალბადიანი სათბობის დაწვით, სხვაგვარად რით შეიძლება ამის ახსნა? თუ მდგომარეობა არ შეიცვლება, 50 წლის შემდეგ ტემპერატურა კიდევ 2 გრადუსით მოიმატებს და საუკუნის დამლევამდე დედამიწაზე არ დარჩება არც ერთი მყინვარი, მრავალი სანაპირო ზონა წყლით დაიფარება.

**– ამბობენ, რომ გლობალური დათბობა რუსეთისთვის ძალზე ხელსაყრელი იქნება. გაიხსნება ჩრდილოეთის საზღვაო გზა, მიწები ნაყოფიერი გახდება, ჰავა კი – რბილი.**

– უკვე ახლა არქტიკის 40 პროცენტი განთავისუფლდა ყინულისგან. და XXI საუკუნის შუა წლებისათვის, რაც არ უნდა მოვიმოქმედოთ ახლა, ყინული იქ, შესაძლოა, საერთოდ აღარ დარჩეს. მაგრამ რუსეთს აქვს მეორე პრობლემაც. თქვენი ქვეყნის ტერიტორიის დიდი ნაწილი მდებარეობს მარადიული გამყინვარების ზონაში. დათბობის კვალობაზე, მისი საზღვრები ნელ-ნელა ინაცვლებს ჩრდილოეთისკენ. ყოველივე ამის შემდეგ შეიძლება მოხდეს საშინელი წყალდიდობები, შენობათა საძირკვლების ნგრევა. ეს უმძიმეს დარტყმას აგემებს თქვენს ეკონომიკას.

## $CO_2$ მიწისქვეშ ჩავტუმბოთ

**– ამ შეიძლება კიდევ როგორმე ავიცილოთ თავიდან გლობალური დათბობა, სამრეწველო გამონაფრქვევების შეუზღუდავად?**



– რა თქმა უნდა, შეიძლება ენერგიის ახალი წყაროების მეშვეობით. ყველაზე პერსპექტიული მიმართულებაა მართვადი თერმობირთვული სინთეზი. პრინციპში, ეს არის იმ პროცესების იმიტაცია, რომლებიც მზეზე მიმდინარეობს: წყალბადის ატომების მსუბუქი ბირთვები შერწყმისას უზარმაზარ ენერგიას გამოყოფენ.

**– არსებობს ფანტასტიკური პროექტები, რომლებმაც უნდა შეამცირონ დედამიწაზე შემოღწეული ულტრაიისფერი სხივების რაოდენობა. მაგალითად, შეიძლება კოსმოსურ ორბიტაზე დავამონტაჟოთ ეგრეთ წოდებული „კოსმოსური ფარი“ მილიარდობით უწვრილესი ლითონის ფირფიტას სახით. ან სტრატოსფეროში გავუშვათ ჰელიუმით სავსე ჰაერის მილიონობით ბურთულა. როგორც ამბობენ, მოჭარბებულ ენერგიას ისინი შთანთქავენ, შემდეგ კი გამოაფრქვევენ კოსმოსში. რამდენად სერიოზულია ეს?**

– პრობლემას ფხიზელი თვალით უნდა შევხედოთ. უფრო რაციონალურად მესახება სამრეწველო გამონაფრქვევების უტილიზაციის იდეა. თუ ჩვენ შეგვიძლია ნავთობის და გაზის მოპოვება მიწის წიაღიდან, რატომ არ შეიძლება ვისწავლოთ გამოთავისუფლებულ ღრუში სათბობის წვის პროდუქტების ჩატუმბვა? ეს ტექნოლოგია ჯერჯერობით არ არის ათვისებული, მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე დაიხარჯა მილიარდამდე დოლარი მისი შემუშავებისთვის. უნდა გვქონდეს იმის ასპროცენტიანი გარანტია, რომ მიწის ქვეშ გადატუმბული ნახშირორჟანგა გაზი აღარ ამოაღწევს ზედაპირზე.

**– ნუთუ, ამერიკელებისთვის ეს უფრო ხელსაყრელია, ვიდრე კიოტოს ოქმის რატიფიკაცია?**

– ვფიქრობ, ამერიკის შეერთებული შტატები იმიტომ გამოვიდა კიოტოს ოქმიდან, რომ გამოთვალა: მისი მრეწველობისთვის ეს ხელსაყრელი არ იყო. ამერიკის შეერთებული შტატების წილად მოდის მთელი მსოფლიოს მასშტაბით გამოფრქვეული სათბურის გაზის 20 პროცენტი, მაგრამ ამერიკელები ამჯობინებენ შეინარჩუნონ მრეწველობის ტემპი, ფული დახარჯონ ენერგიის ახალი წყაროების ძებნისთვის. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ამერიკა თუ არ მოაწერს ხელს კიოტოს ოქმს, ეს მას გაცილებით ძვირი დაუჯდება, რადგან რისკი გამუდმებით იზრდება.

დიახ, ისინი ამუშავებენ ახალ ტექნოლოგიებს, მაგრამ ამ გლობალურ პრობლემას ამერიკელები მარტო ვერ გადაჭრიან. ამჟამად ჩინეთისა და ინდოეთის მოსახლეობა 2,4 მილიარდს აღწევს. ჩინეთის ეკონომიკა თავბრუდამხვევი ტემპით ვითარდება. მაშასადამე, უკვე ახლა უნდა შევიმუშაოთ ისეთი პროცედურა, რომელიც მომავალში მოგვცემს საშუალებას გავაკონტროლოთ ჩინეთისა და ინდოეთის სამრეწველო გამონაფრქვევები. ამისთვის კი აუცილებელია საერთაშორისო შეთანხმებების დადება.

## კონტრმოსაზრება

სერ დევიდ კინგის მონაწილეობა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ორგანიზებულ სემინარში, რომელიც გლობალური დათბობის პრობლემებს მიეძღვნა, სკანდალით დასრულდა. ტონი ბლერის მრჩეველმა მეცნიერების საკითხებში, რომელიც ბრიტანეთის დელეგაციებს ხელმძღვანელობდა, ჯერ უარი თქვა გაეცა პასუხი რუსი აკადემიკოსების მიერ დასმულ კითხვებზე, შემდეგ კი ულტიმატუმის ფორმით მოითხოვა სემინარის პროგრამის შეცვლა. მეცნიერი გააღიზიანა იმან, რომ გამომსვლელთა შორის იყო მისი მრავალი ოპონენტი, კიოტოს ოქმის მოწინააღმდეგე. „ეს დოკუმენტი დამღუპველია არა მარტო ჩვენთვის, არამედ მთელი მომდევნო თაობებისთვისაც, – განაცხადა სემინარის ხელმძღვანელმა აკადემიკოსმა იური იზრაელმა, – ჩვენ უბრალოდ გვთავაზობენ ვირწმუნოთ მისი სამეცნიერო დასაბუთებულობისა ისე, რომ არანაირი არგუმენტი არ მოაქვთ“. სხვა მეცნიერთა აზრით, გლობალური დათბობის თეორია სულ უფრო მეტად სცილდება მეცნიერების ჩარჩოებს და იძენს რაღაც მისტიკური დოგმის სახეს. ეს ეხება როგორც მსოფლიო ოკეანის დონის ამაღლებას, მალარიის გავრცელებას, ისე ტემპერატურის სწრაფ მომატებას. თუ რუსეთი იკისრებს კიოტოს ოქმით ნაკისრ ვალდებულებებს (სამრეწველო გამონაფრქვევების შეზღუდვა), ფიქრიც კი ზედმეტი იქნება ეკონომიკური აყვავებისა და მთლიანი შიდაპროდუქტის გაორმაგების შესახებ.

САЙТ ИЗДАТЕЛЬСКОГО ДОМА
АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ



„მამა“ იოანეს სახლი, რომელსაც სამი მეტრი სიმაღლის გალავანი აქვს შემორტყმული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რას ფლობენ სექტები

**ნოვოსიბირსკელ ნატალია ივანოვას, როგორც იტყვიან, მზე და მთვარ ამოსდიოდა თავის შვილებზე, რომლებსაც უმამოდ ზრდიდა. მაგრამ უცებ გამოჩნდნენ მოსიყვარულე ადამიანები, რომლებიც მზად იყვნე დახმარებოდნენ საქმით. ვაჟს სასწრაფოდ შეურჩიეს საცოლე. გაჩნ დნენ შვილიშვილები. რა ბედნიერებაა! „მაგრამ რამდენიმე წლის შემდე შევამჩნიე, რომ ჩემი ვაჟი გამირბოდა, – თქვა ნატალია ივანოვამ. – დაიწყო ნამდვილი კოშმარი! ერთხელ კი ჩემს შვილსა და რძალს წა ვასწარი მაშინ, როცა მთლად დედიშობილები იდგნენ ბავშვების წი ნაშე. ისინი მოზარდებს სექსს ასწავლიდნენ. რძალი სარეცელს იყოფდ სექტის ახალ წევრებთან, ცდილობდა „ჭეშმარიტების გზაზე“ დაეყე ნებინა ისინი. თავის წიგნებში სექტა მკითხველებს მოუწოდებდა აღ ვირახსნილი სექსის, თვითდაკმაყოფილებისაკენ, ქადაგებდა, რომ აღარ არსებობს სიმრუშე და სიძვა. თითქოს შხამი შემესვას... „მალე ნატა ლიას ვაჟი და მისი „ქურუმი“ მეუღლე საცხოვრებლად სხვა ქალაქში გადაბრძანდნენ.**

**რუსეთის რელიგიათმცოდნეობის კვლევის ცენტრის მონაცემებით, 800 ათასამდე რუსეთელი არის ტოტალიტარული სექტებისა და კულტები წევრი, რომლებიც ქვეყანაში ასობითაა. ადამიანები ჭკუიდან იშლე ბიან, კარგავენ სახლ-კარს. მაგრამ სექტები ხარბად წოვენ არა მარტო მათ სისხლს, არამედ ფულსაც ამ ადამიანების ჯიბეებიდან, შოულო ბენ რა უზარმაზარ სახსრებს. სექტების ხელმძღვანელები ჩინებულ ბიზნეს ეწევიან. „არგუმენტი ი ფაქტის“ მიერ განხორციელებული სპეციალური გამოძიება ეძღვნება იმას, თუ რა თანხებს შოულობენ სექტები და რა ქონებას ფლობენ ისინი.**

## „ოჯახი“

**ერთ-ერთი ყველაზე ოდიოზური სექტაა. ქალბატონ ნატალიას შვილებიც, რომლებზეც ზემოთ გიამბეთ, სწორედ ამ სექტის მსხვერპლნი გახდნენ.** სექტის მოძღვარი ამერიკე-



ლი დევიდ ბერგი მოითხოვდა, რომ ქალებს ლოგინში შეეტყუებინათ მამაკაცები და ასეთი გზით დაეყოლიებინათ ისინი სექტაში გაწევრიანებაზე. თუ რომელიმე მამაკაცი გაბედავდა და უარს იტყოდა, მაშინ მოძღვარი მოითხოვდა მათგან ფულის აღებას. ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ სექტის წევრებს ასამართლებდნენ საკუთარი ბავშვების გახრწნისათვის. რუსეთში „ოჯახს“ 2-3 ათასი მიმდევარი ჰყავს.

სექტამ ფესვები განსაკუთრებით გაიდგა ციმბირში, რაშიც დიდი „დამსახურება“ მიუძღვის ამერიკულ „Project Aid Siberia“ ჰუმანიტარულ პროგრამას. „1992 წლის შემდეგ, ამ პროგრამის მეშვეობით რუსეთში შემოიტანეს მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების უამრავი სურსათი და წამლები, რომელთა ნაწილს არიგებდა მოსახლეობაში „ოჯახი“, – განაცხადა ნოვოსიბირსკის ალექსანდრე ნეველის ტაძრის დეკანოზმა, რელიგიური ორგანი-

ზაციების საკითხთა ექსპერტმა ალექსანდრე ნოვოპაშინმა.

## იელოვას მოწმეები

**ეს „იმპერია“ (თითქმის 140 ათასი წევრი) სახსრებს შოულობს პროპაგანდისტული ჟურნალების გავრცელების გზით.** სექტის წევრები ეკლესიებში ყიდულობენ მთელ ტირაჟს – ნომერში იხდიან 40-60 რუბლს – ეს არის მათი ნებაყოფლობითი შესაწირი, რომელსაც გაიღებენ საერთო საქმისათვის – და ჟურნალებს არიგებენ ხალხში. ამის წყალობით „იელოვას მოწმეები“ არიდებენ თავს გადასახადების გადახდას, რადგან შესაწირი თანხები გადასახადით არ იბეგრება.

„ლარისა ლაუახლოვდა „იელოვას მოწმეებს“ რომელთაგან შეიტყო, რომ მალე დადგებოდა „ცოდვების მონანიების ჟამი“ (განკითხვის დღე) და მისი შვილები დაიღუპებოდნენ მშობლების თვალწინ, – თქვა სოციალური და სასამართლო ფსიქიატრიის მთავარი სამეცნიერო ცენტრის პროფესორმა ფიოდორ კონდრატიევმა. – მაშინ მან გადაწყვიტა თავი ნამოეხრჩო თავის ვაჟთან ერთად

 იხ. მე-12 გვ.



# ყურძნის წიპწის საიდუმლო

ვინ იფიქრებდა, რომ ისეთ ცნობილ პროდუქტებთან ერთად, როგორიც არის ბალნეოტალასო და თერმოთერაპია, დამსახურებული პოპულარობით ისარგებლებდა ორგანიზმის გაჯანმრთელების მეთოდი, რომელიც ღვინოთერაპიის სახელს მიიღებდა. თითქოს თვით ამ სიტყვაში იმალება რაღაც დამანგრეველი ნეგატივი: ღვინით მკურნალობა, ისიც ...ხელი სასმელებით, ამასთან, სასურველი რაოდენობით, არავინ არავის ხელს არ უშლის. საქმე ყურძენს ეხება.

### პოლიფენოლები თავისუფალი რადიკალების წინააღმდეგ

XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დამდეგს ყურძნით მკურნალობა განსაკუთრებით ...ართოდ იყო გავრცელებული შვეიცარიაში, გერმანიასა და იტალიაში. საფრანგეთში, ორ ომს შორის პერიოდში, შესაბამისი ფედერაციაც ...ი მოქმედებდა და დაარსდა უვა...იუმი – პავილიონი, სადაც ღვინის კენკროვნებს აჭაშნიკებდნენ. ...ეთი ყურადღება ამ საოცარი ნაყოფისადმი შემთხვევითი როდია. ყურძნისათვის დამახასიათებელია ის, რომ წმენდს ორგანიზმს, ამასთან აქვს უნარი – გამოყოს ტოქსინები, ან, როგორც ამბობენ, თავისუფალი რადიკალები. მტვერი, სიგარეტის კვამლი, ხელოვნური ...ქი, სტრესები, წამლის მეტისმეტი დოზები ხელს უწყობს მავნე ნივთიერებათა დაგროვებას. ინტოქსიკაცია იწვევს უჯრედების კვდომას, რაც თავის მხრივ ნაადრევი ...ბერის, კანის ჭკნობის, იმუნური სისტემის შესუსტების ნიშანია.

ადამიანის ორგანიზმი მანქანის მსგავსია, როდესაც მანქანას ინტენსიურად უვლიან, ისიც დიდხანს ემსახურება ადამიანს, მაგრამ თუ მის მიმართ ყურადღებას არ იჩენენ, მაშინ ჟანგით იფარება. ნებისმიერი მექანიზმი საჭიროებს დაზეთვას, გაწმენდასა და მოფრთხილებას. იგი ასევე მოითხოვს პრეპარატებს, რომლებსაც შეუძლიათ შეაკავონ შეუქცევი ასაკობრივი პროცესები. ასეთ ეფექტიან საშუალებად დღეს მიჩნეულია ანთოიოქსიდანტები. სწორედ ერთ-ერთ მათგანს შეიცავს ყურძნის წიპწა.

ყურძნის წიპწა ნამდვილი პაწია საგანძურია. იგი შეიცავს პოლიფენოლებს, ანუ პროსიანიდოლურ ოლიგომერებს, რომლებიც თავისუფალ რადიკალებს ებრძვიან უფრო აქტიურად, ვიდრე C და E ვიტამინები. ეს ახალგაზრდობის ჭეშმარიტი ჰორმონია, რომელიც კანს თავიდან არიდებს გაუწყლოებას. აუმჯობესებს და ამაგრებს სისხლძარღვებს. რა თქმა უნდა, პროსიანიტოლური ოლიგომერები პანაცია როდია, არამედ უფრო შეკავების ფაქტორია, რომელიც კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს ორგანიზმზე.

### ფრანგული პარადოქსი

ამრიგად, ყურძნის წიპწის შემცველობას უნარი შესწევს შეანელოს დაბერება – ასეთ დასკვნამდე მივიდა ბორდოს უნივერსიტეტის ბუნებრივ ნივთიერებათა ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ფარმაცევტიკის ფაკულტეტის პროფესორი ჟოზეფ ვერკოტორენი. აღმოჩენა, რომელიც მოხდა საფრანგეთში – „წითელი ოქროს" ქვეყანაში – წარმატებული ექსპერიმენტით დაგვირგვინდა. ლე სურსსის დე კოდალის ოტელის მე-4 ლუქსში, რომელიც სმიტ ო ლაფიტის მამულის თვალწარმტაც მხარეში სურნელოვან ვენახებს შორის მდებარეობს. შეიქმნა SPA – ღვინოთერაპიის ცენტრი „კოდალი". ამ მხარეში ნიადაგ უხვ მოსავალს იწევენ, ხოლო ყურძნის ხარისხი განუზომლად მაღალია. ალბათ, სწორედ აქ უნდა გამართულიყო მატილდა ტომასის, სმიტ ოს ლაფიტების მფლობელთა ქალიშვილის შეხვედრა ჟოზეფ ვერკოტორენთან. პროფესორმა მეცნიერულად დაუსაბუთა ცენტრის მომავალ დამფუძნებლებს, რომ პოლიფენოლებს აქვთ ფარმაკოლოგიური თვისებები. კერძოდ, ისინი ამაღლებენ სისხლძარღვების წინააღმდეგობის გაწევის უნარს, ოპტიმალურს ხდიან სისხლის მიმოქცევას, აფერხებენ ელასტინის ბოჭკოების რღვევას, ინარჩუნებენ კოლაგენის საჭირო რაოდენობას კანში.

დამაჯერებელ მოსაზრებათა მიუხედავად მატილდა ტომასს დასჭირდა მდიდარი წარმოსახვა, შთაგონება და ერთგვარი ავანტიურობაც კი, რათა ესოდენ რისკიანი ნაბიჯი გადაედგა. შემდგომ Wine-SPA



უნიკალურ პროექტს ამერიკელებმა ფრანგული პარადოქსი უწოდეს. სწორედ ფრანგებმა მოახერხეს, რომ ლოგიკურ დასასრულამდე მიეყვანათ ღვინოთერაპიის მეშვეობით ორგანიზმის გაჯანსაღების იდეა.

### კოდალის წყაროები

ღვინოთერაპიის ცენტრში სამკურნალო მიზნით წყალს იყენებენ. იგი მოაქვთ 540 მეტრის სიღმეში მოჩუხჩუხე ცხელი წყაროებიდან. ფტორითა და რკინით გამდიდრებულ ამ წყალს ღვინოსა და ყურძენთან ერთად სასწაულმოქმედი ძალა აქვს.

იხ. მე-13 გვ.

**◎ ყველაფერი ყველაზე**

## გიჟდებიან ჩებურაშკაზე

ტოკიოს ტელევიზია 50 ნახევარსაათიანი სერიის გადასაღებად ემზადება რუსეთში პოპულარულ „ჩებურაშკაზე" მულტფილმების მოტივების მიხედვით. პროექტის მხატვრული ხელმძღვანელი იქნება მხატვარი ლეონიდ შვარცმანი, რომელმაც მულტიპლიკაციური გმირის ორიგინალური გამოსახულება დახატა. იაპონელი პროდიუსერების სიტყვებით, „ჩებურაშკა" ძალიან შეუყვარდათ იაპონიის მცხოვრებლებს, ძირითადად 20-30 წლის ქალიშვილებსა და ქალებს. „ჩებურაშკა" მარტო იმიტომ კი არ უყვართ, რომ სიმპათიურია. ადამიანებს მულტფილმების სიუჟეტები მოწონთ".

ეხლა კია, ახალი სერიალის პროდიუსერებმა ჯერ ზუსტად არც იციან, სახელდობრ რა ამბები გადახდება „ჩებურაშკასა" და მის მეგობრებს – ნიანგ გენასა და ღედაბერ შაპოკლიაკს, რომლებიც იაპონურად ალაპარაკდებიან. გამორიცხული არაა მულტფილმში ისეთი ახალი პერსონაჟების გამოჩენა, როგორიც იაპონელი, ან ამერიკელია. მიით მიცუკოს თქმით, პირველად მულტფილმი „ჩებურაშკა" და ნიანგი გენა" იაპონიაში 2001 წელს ნახეს და მას მერე სულ 700 ათასმა კაცმა უყურა.



**◎ სიკვდილი მაინც მოვა!**

# გარდაუვალობის კანონი

მექსიკელებიც ასევე საკმაოდ თავისებურად ეკიდებიან გარდაცვლილთა ხსოვნას. მათ აქვთ სპეციალური სულის მოსახსენიებელი დღე – მიცვალებულთა დღე. იგი უფრო საზეიმოა, ვიდრე სამგლოვიარო. რამდენადაც ეს დღესასწაული თანამედროვე მექსიკელებმა აღმოიღეს ინდიელებისაგან, რომლებიც სიკვდილს ფილოსოფიურად ეკიდებოდნენ და მიაჩნდათ იგი ადამიანის ერთ-ერთ ბუნებრივ მდგომარეობად, მასში წარმართობის ტრადიციები შერეულია კათოლიკურ მოვლენებთან. ამ დღეს ყველგან იყიდება შოკოლადის ან შაქრისაგან დამზადებული ტკბილი თავის ქალები. მასზე დაწებებულ ქაღალდებზე წარწერილია სხვადასხვა სახელი. შეგიძლიათ ნებისმიერი აირჩიოთ. განსაკუთრებული რეცეპტით აცხობენ პურს, რომელსაც ასევე „მიცვალებულთა პურს" უწოდებენ. ყველგან ჰკიდია სხვადასხვა ზომის თოჯინა-ჩონჩხები. ამ დღისათვის, იგი კი ნოემბერში აღინიშნება, გამოჰყავთ ხასხასა ყვითელი ხავერდას ყვავილები, რომელსაც მექსიკაში მკვდრის ყვავილს უწოდებენ. მაგრამ დღესასწაულის მთავარი სიმბოლოა საკურთხეველი, რომელსაც ჩვეულების თანახმად მექსიკელები შინ აწყობენ მიცვალებულთა ხსოვნის აღსანიშნავად, საკურთხეველი – ეს არის ლამაზად გაწყობილი ტაბლა, რომელზეც აწყვია ნუგბარი საჭმელები, სასმელები, ყვავილები და სანთლები. ტაბლას თავზე განალაგებენ ხატებსა და გარდაცვლილ ნათესავთა სურათებს. მათი ვარაუდით, გარდაცვლილთა სულები ეწვევიან ტაბლას, რათა მოინახულონ ოჯახები. მათი „სტუმრობა" დიდხანს არ გრძელდება, და მთელი ამ ხნის განმავლობაში ზარები რეკენ. ცოცხლებთან მიცვალებულთა წამიერი „შეხვედრები" განმარტავს იმ სადღესასწაულო განწყობილებას, რომელსაც მექსიკელები „მიცვალებულთა დღეს" განიცდიან.



ვენეციაში მიცვალებულს უკანასკნელ გზაზე ნავით მიაცილებენ.

ბევრი აფრიკელი ხალხი როგორც დაკრძალვის ცერემონიებს, ასევე გარდაცვლილთა ხსენების დღეებს აღნიშნავენ როგორც ზეიმს, რომელიც უფრო სახალხო სეირნობას ჰგავს.

ძველი აფრიკული ტრადიციების მიხედვით, განსვენებულთან გამოთხოვება მიმდინარეობს მაჟორული მელოდიების თანხლებით. რადგანაც ღირსეულ ადამიანს უკანასკნელ გზაზე მიაცილებენ, ამიტომ ეს გამოთხოვება ლამაზი და ბრწყინვალე უნდა იყოს – მუსიკით, სიმღერით, ცეკვებით, კარგი სერობით. შავ კონტინენტზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ არა მარტო გაფორმებას, არამედ კუბოს ფორმასაც, რადგან მიცვალებული იმ ქვეყნად „საცნობი" უნდა იყოს როგორც სოციალური მნიშვნელობით, ისე აგრეთვე პროფესიული თვალსაზრისით. მაგალითად, მებადურისთვის ამზადებენ თევზის მსგავს კუბოს, გლეხისთვის – რაიმე ნაყოფის, ცხოველის ან შინაური ფრინველის, ვაჭრისთვის – სავაჭრო ფარდულის „მაკეტის" მსგავსს და ა.შ.

საინტერესოა, რომ აფრიკული დაკრძალვის ტრადიციებმა გარკვეული დროის შემდეგ გამოხმაურება ჰპოვა ამერიკის კონტინენტზეც. ქალაქ ახალ ორლეანში – ჯაზის სამშობლოში არც ერთი დაკრძალვა არ ტარდება უორკესტროდ, რომელიც სრულებითაც არ ჰგავს სამგლოვიაროს. ეს ჩვეულება ქალაქში დაიბადა კრეოლებისა და მუქკანიანების წყალობით, რომელთათვის მსგავსი დაკრძალვის ცერემონიალები აბსოლუტურად ბუნებრივი იყო. იმ მომენტამდე, ვიდრე ცხედარი მიწისთვის არ მიუბარებიათ, მუსიკოსები მიცვალებულისთვის პატივის მისაგებად მელოდიებს გაბმულად და ნელი ტემპით ასრულებენ. მაგრამ, როგორც კი საფლავს მიწით ამოავსებენ, აქ ორკესტრი უკვე ტონალობას ცვლის – გაჰყვირიან საყვირები, ბრახუნობენ დოლები, მუსიკოსები კი თავდაუზოგავად „აჭყვირებენ" თავიანთ საკრავებს. როგორი უცნაურიც უნდა იყოს, ისინი თავიანთ მიზნებს აღწევენ – ამხიარულებენ არა მარტო მიცვალებულის ნათესავებს, არამედ აქ შეკრებილ უსაქმოდ მოყიალეებსაც.

დასასრული. დასაწყისი
იხ. „სრ" № 183-186.

## ძლიერი გაყინვა

ზედმეტი გაცივებით გამოწვეული ანაბიოზის მდგომარეობის თანამედროვე გამოკვლევებმა რაციონალური ამერიკელები გაბედულ აზრამდე მიიყვანა. თუ სულ მთლად გაყინულ ადამიანს 12 საათის შემდეგ სიცოცხლე დაუბრუნდა, ხოლო ჰიმალაებში ნაპოვნ ტრიტორს – 2,5 ათასი წლის მერე, დაისმის კითხვა: ხომ არ შეიძლება სიკვდილის დამარცხება, თუ ამის მსურველებს რამდენიმე ასეული წლით „გავყინავთ"? შესაძლებელია, თუ ამ დროის მანძილზე უსაფრთხო „გალღობის" საშუალებას გამოიგონებენ.

„გაყინვა" პირველმა გაბედა ამერიკელმა ფსიქოლოგმა, 73 წლის ჯეიმს ბედფორდმა. მის სხეულს გამოაცალეს სისხლი, რომელიც სპეციალური ხსნარით შეცვალეს, და მოათავსეს კაფსულში. ამ უკანასკნელს კი თხევადი აზოტით ავსებენ. საგანგებო კრიონიკულ ცენტრებში, გამჭვირვალე კაფსულებში მოთავსებული ასეულობით ადამიანი ამერიკის შეერთებული შტატებიდან და იაპონიიდან მომავალს ელოდება, თუ მეცნიერება შეძლებს „აღუქოს" მათ ახალი სიცოცხლე.

პროფესორი კიდევ უფრო შორს წავიდა: შეიმუშავა ტექნოლოგია. მისი მეშვეობით შესაძლებელია მყისვე გაიყინოს „კლიენტი", რომლის სიცოცხლის საათები დათვლილია. ორმოცმა მდიდარმა ფრანგმა დაუყოვნებლივ ხელიდან არ გაუშვა ასეთი შესაძლებლობა. თითოეული მათგანი მუდმივად ატარებს ბარათს, რომელზეც წარწერილია: „ვისურვებდი, მოულოდნელი გარდაცვალების შემთხვევაში, ჩემი სხეული დაუყოვნებლივ გაყინონ და შეინახონ უმდაბლეს ტემპერატურაზე".

## დაკრძალვები „უმაღლეს დონეზე"

სურვილი – დაკრძალვა მოეწყოს „უმაღლესი თანრიგით", რომელიც სამგლოვიარო რიტუალს აქცევს არა უბრალოდ პომპეზურ შოუდ, არამედ ისეთ წარმოდგენად, რაც ობივატელს შოკში აგდებს, თანდათანობით სულ უფრო აშკარა ხდება.

იხ. მე-12 გვ.



ნათესავებმა მიცვალებულის კუბო არ უნდა წაასვენონ.

**სიკვდილი მაინც მოვა!**

# გარდაუვალობის კანონი

(მეთერთმეტე გვერდიდან)

ევროპაში ერთ-ერთ უდიდეს ტაფექროს (ბერძნული სიტყვიდან thanatos – „სიკვდილი") გამოფენაზე, რომელიც წლეულს იტალიის ქალაქ მედინაში გაიმართა, ტრადიციული ექსპონატების გარდა, წარმოდგენილი იყო აგრეთვე ისეთი უცნაური საგნები, როგორიც არის კუბოს შიგნით დასადგმელი ვიდეოკამერები, მუსიკალური სტატუეტები, რომლებიც ლოცვებს ასრულებენ დროის გარკვეულ შუალედებში, თანაც ანათებენ. მოთხოვნილებაა აგრეთვე პიროტექნიკურ ურნებზე, რომლებშიც მოთავსებულია მიცვალებულის ფერფლი. მათ უშვებენ ჰაერში, სადაც ფეთქდებიან, წარმოიქმნება ლამაზი ფეიერვერკი, და მოციმციმე ცის ფონზე ფერფლს ქარს ატანენ. ერთი ამერიკული კომპანია უფრო შორს წავიდა – ორგანიზაციას უწევს ფერფლიანი კაფსულების კოსმოსურ სივრცეში გაშვებას.

## ეკოლოგიის საკეთილდღეოდ

„მწვანე" მოძრაობის მომხრენი ზრუნავენ გარემოს სისუფთავისთვის ყველაზე მწუხარე დღეებშიც კი, როდესაც ნათესაევებთან გამოთხოვების მომენტი ახლოვდება, ისინი უარს აცხადებენ ყოველივე ზედმეტობაზე, რაც თან ახლავს ტრადიციულ დაკრძალვის წესს. ისინი მძიმე მერქნისგან დამზადებულ მასიურ კუბოებს ამჯობინებენ, უფრო მსუბუქ ხის, მუყაოს, ბამბუკის ან სხვა ნებისმიერი ეკოლოგიურად სუფთა მასალებისგან დამზადებულ კუბოებს, რომლებიც სწრაფად იშლებიან, ხოლო საფლავის გათხრის ნაცვლად, ხეს რგავენ. პირველი ასეთი სასაფლაო ტყის ზონაში 90-იან წლებში დიდ ბრიტანეთში გაჩნდა. ახლა ინგლისში ასეთი სასაფლაო ასზე მეტია.



საფლავში ჩაშვებულ კუბოს მიწას პეშვით აყრიან.

მიცვალებულთა ფერფლი შეიძლება მოხმარდეს არა მარტო მიწის, არამედ წყალქვეშა ლანდშაფტების აღდგენას. ამერიკაში ახალი სარიტუალო მომსახურება მოიგონეს: ბეტონში შერეული ფერფლისგან აკეთებენ „ბუშტებს" და მათ ზღვის იმ რაიონებში ძირავენ, სადაც მარჯნის რიფებს მსხვრევა ემუქრებათ. „ბუშტებში" არის სპეციალური ფოსოები, რომლებზეც, დაკრძალვის წესის „ალტერნატიულ" გამომგონებელთა აზრით, ახალი მარჯნები „დასახლდებიან".

**თარგმნა ბ. დარსაძემ.**

# რას ფლობენ სექტები

(მეათე გვერდიდან)

მისი ასეთი მცდელობა, საბედნიეროდ, წარუმატებლად დასრულდა, თუმცა ქალი ფსიქიატრიულ კლინიკაში მოხვდა. ლარისა იქაც ცდილობდა ავადმყოფებში ექადაგა თავისი მოძღვრება. სამი წლის შემდეგ კი, როცა დედის სანახავად მოვიდა მისი ვაჟი, ლარისამ კვლავ სცადა ბიჭის დახრჩობა".

„იეღოვას მოწმე" კიდევ ერთი ქალი გაასამართლეს შვილიშვილის მკვლელობისათვის, რადგან მას მიაჩნდა, რომ ბავშვის სულში „დემონები ჩასახლდნენ".

## საიენტოლოგიური ეკლესია

რონ ჰაბარდი (5-7 ათასი წევრი) ადამიანებს ასწავლის თავიანთი ცნობიერების გაკონტროლებას და ამის წყალობით ცხოვრებაში წარმატების მიღწევას. მისი ძირითადი შემოსავლის წყაროა, ეგრეთ წოდებული, პიროვნების ზრდის კურსები.



პირველი საფეხურის კურსებზე მეცადინეობის ფასი 1,5-2 ათასი რუბლია, ამის შემდეგ კი სწავლის საფასური იმატებს. ადამიანებს მთელი ცხოვრებაც კი არ ეყოფა იმისთვის, რომ ყველა საფეხური განვლოს. მაგრამ ამით საქმე არ მთავრდება. „ზრდის" უკვე საწყის ეტაპებზე საჭიროა „ოდიტინგის" (რაღაც აღსარების მსგავსის) შეძენა, რომელიც 40 ათასი რუბლი ჯდება.

საიენტოლოგები ჩინოვნიკებს და ბიზნესმენებსაც „ასწავლიან" ადმინისტრაციულ მართვას (თითქმის იგივე მეცადინეობაა, ოღონდ ეს შეიცავს ბიზნესის თეორიის ელემენტებს). თებერვალში საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვისათვის დააკავეს ამურის ოლქის სკოვოროდინოს რაიონის ხელმძღვანელი ბორის შალიმოვი. როგორც ამურის ოლქის პროკურატურაში გვითხრეს, საიენტოლოგიურ კურსებზე ბიუჯეტიდან დაიხარჯა 646 ათასი რუბლი (მასწავლებლების, მედიკოსების ხელფასები) – მიმდინარეობს გამოძიება. საიენტოლოგებმა თვით სარეჟიმო საწარმოებშიც კი შეაღწიეს. „თავის დროზე, ურალის ოპტიკურ-მექანიკურ ქარხანაში მას დაუთმეს მთელი საამქრო და მისცეს საშვების გაცემის უფლება (ქარხანა აწარმოებს სანავიგაციო ხელსაწყოებს სამხედრო თვითმფრინავებისათვის)", – თქვა რელიგიათმცოდნეობის კვლევის ცენტრის პრეზიდენტმა, პროფესორმა ალექსანდრე დვორკინმა. მოსკოვის ვენტილატორების ქარხნის „მოვენის" ყოფილმა დირექტორმა ალექსანდრე მირონოვმა კი (თავგამოდებულმა საიენტოლოგმა) კინაღამ გააკოტრა ქარხანა, როცა თანამშრომელთა სწავლებისათვის დაახლოებით 800 მილიონი რუბლი დახარჯა.

რუსეთში საიენტოლოგთა მთავარი ცენტრია ნიჟნი-ნოვგოროდი, სადაც მათ ეკუთვნით ჰოლდინგი „დედამიწელები", რომელშიც თხუთმეტამდე საწარმო შედის. ექსპერტთა შეფასებით, რონ ჰაბარდის რუსი მიმდევრები ყოველწლიურად დაახლოებით 50 მილიონ დოლარს შოულობენ.

## ღვთისმშობლის ეკლესია

**მას დაახლოებით 3 ათასი წევრი ჰყავს და ფლობს დიდ უძრავ ქონებას მოსკოვის ოლქში. ამ ეკლესიამ სახელი გაითქვა იმით, რომ მისი ადეპტები მართლმადიდებელი ბერების სახით ითხოვენ მოწყალებას მრევლისგან.**

2001 წელს მაგნიტოგორსკის მეტალურგიულმა კომბინატმა გადაწყვიტა ეკლესიისათვის გაეწია საქველმოქმედო დახმარება და გაგზავნა გადასახური მასალით დატვირთული ვაგონი „წმინდა ალექსის სავანის ასაშენებლად". სავანის „ხელმძღვანელმა" როსტისლავ კლეიმენოვმა („მამა" ნიკოლოზმა) ვაგონი, როგორც იტყვიან, „მარცხნივ" გაყიდა და ამ ფულით თავისთვის უცხოური ავტომობილი შეიძინა, – თქვა სექტის იურიდიული განყოფილების ყოფილმა უფროსმა ოლეგ ბოგომოლკინმა. – სისხლის სამართლის საქმე აღიძრა დიმიტროვის შინაგან საქმეთა განყოფილებაში".

თვით სავანე შენდება „ოსტანკინოს" საბჭოთა მეურნეობაში საღორის ბაზაზე და განკუთვნილია იმ ადამიანებისათვის, რომლებმაც უარი თქვეს თავიანთ ბინებზე ეკლესიის სასარგებლოდ. „გარემონტებული საღორის ერთ პატარა ოთახში ცხოვრებისათვის ჩემმა ვაჟმა, მისმა ფეხმძიმე ცოლმა და სამმა შვილმა 5 ათასი დოლარი გადაიხადეს. ეს ის ფულია, რომელიც მათ დარჩათ ბელორუსიაში ბინის გაყიდვის შემდეგ, – გვითხრა ევგენი პენკოვსკის დედამ. – იგი ჩაწერილი არ არის. პენსია არ ექნება, ბავშვებიც ვერ მიიღებენ განათლებას. მოძღვარმა მათ ექიმთან მისვლაც კი აუკრძალა". პენკოვსკი მარტო არ არის. იქ ცხოვრობს კიდევ რამდენიმე ადამიანი, რომლებმაც ასევე გაყიდეს თავიანთი ბინები და ეკლესიას საჩუქრად გადასცეს 31 ათასი დოლარი. „სექტის ხელმძღვანელები კი ამ ფულით სასახლეებს იშენებენ!" – თქვა შემდეგ ბოგომოლკინმა. – „მამა" იოანე ცხოვრობს პრესტიჟულ დაბა ვეშკიში აღმართულ უზარმაზარ სამსართულიან კოტეჯში, რომლის საერთო ფართობი 750 კვადრატული მეტრია. ეს სახლი სულ ცოტა 1 მილიონი დოლარი ღირს, იქ 30-ზე მეტი მოსამსახურეა. იოანეს სამი მანქანა ჰყავს: ორი „მერსედესი" და „ბე-ემ-ვე". სხვა „მამები" შედარებით მოკრძალებულად ცხოვრობენ: ორსართულიანი სახლები და თითო უცხოური მანქანა.

## მუნის სექტა

**ეს კორეული სექტა რუსეთში ცნობილია „გაერთიანების ეკლესიის" სახელით და მას 3-5 ათასი მიმდევარი ჰყავს. ამ სექტის ლოზუნგია „მშვიდობა მთელ მსოფლიოში".**

რუსეთში მუნის აღზევების პიკპერიოდი 90-იან წლებზე მოდის. „განათლების სამინისტროში მის ინტერესებს ლობირებდა მინისტრის მოადგილე ასმოლოვი, შინაგან საქმეთა სამინისტროში კი – სასჯელაღსრულების მთავარი სამმართველოს უფროსი დოლგიხი, – განაცხადა რუსეთში „გაერთიანების ეკლესიის" საბჭოს თავმჯდომარის ყოფილმა მოადგილემ ლევ სემიონოვმა, რომელიც ახლა ტვერში მართლმადიდებელი მღვდელია. – ყოველივე ამან სექტას მისცა საშუალება აქტიურად გადაებირებინა ახალგაზრდები სკოლებში, ინსტიტუტებში, ბავშვთა კოლონიებში. ეკლესიის მეთაურს სან მენ მუნს პრეზიდენტ გორბაჩოვთან ნახევარსაათიანი საუბრის პატივიც კი ხვდა წილად".

შუა 90-იან წლებში მუნიტებს დაგეგმილი ჰქონდათ რუსულ ბიზნესში დაებანდებინათ 500 ათასი დოლარი. მათ სურდათ ეყიდათ „რუსული ვიდეოს" კომპანია, აწარმოებდნენ



მოლაპარაკებას ვ. გუსინსკისთან მედიააქტივების შესყიდვაზე, აპირებდნენ დაეწყოთ ბიჟუტერიისა და საიუველირო ნაწარმის გამოშვება. მაგრამ იმდროინდელი არასტაბილურობის პირობებში ვერ შეძლეს რუსეთში მასშტაბური ბიზნესის წამოწყება. სამაგიეროდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში მუნის სექტას ეკუთვნის იარაღის ქარხანა, რომელშიც „ტომპსონის" ტიპის ავტომატებს აწარმოებენ და პლასტმასის პისტოლეტების მწარმოებელი „Char Arms" ქარხანა (ეს იდეალური იარაღია ტერორისტებისათვის, რადგან ლითონდეტექტორები ვერ რეაგირებენ პლასტმასზე). კორეაში მათ კუთვნილებაში შედის სამრეწველო გიგანტი „ტონგ ილი". მუნის მიმდევრები ყველგან მუშაობენ მიზერული გასამრჯელოს ფასად. რუსეთში კი ისინი მათხოვრობენ, აგრეთვე ყიდიან ღია ბარათებსა და სპორტულ მაისურებს. სექტის მრავალმა წევრმა მიანება თავი სწავლას, მუშაობას, მიატოვა ახლობლები და ნათესავები.

სპეციალისტთა გაანგარიშებით, სექტებმა რუსეთში სულ ცოტა 250 ათასი ოჯახი დაანგრიეს.

**P. S. ამ მასალების შეგროვებისას, ჩვენ არ გვსურდა მორწმუნეთა განაწყენება. უბრალოდ, ვცადეთ ადამიანებისთვის აგვეხილა თვალი ყოველივე იმაზე, რასაც სჩადიან სექტების ხელმძღვანელები.**

САЙТ ИЗДАТЕЛЬСКОГО ДОМА АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

**ყველაფერი ყველაფერზე**

## ეგზოტიკური პროექტების სამეული

**მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პრეზიდენტი, პრემიერი თუ სამხედრო მინისტრი ფიცი-მტკიცით ირწმუნება, რომ მშვიდობა სწყურია. ამ დროს მათი ათასობით მეცნიერი და კონსტრუქტორი ახალ იარაღს „სჭედავს".**

### 1. ასტეროიდული ბომბი

ამერიკელმა სწავლულებმა ფანტასტიკურ პროექტს წამოაყენებს – ასტეროიდული ბომბის შექმნას: ციურ სხეულზე „მიგლეჯილი" რამდენიმე უძლიერესი რაკეტული ძრავის დახმარებით მას საჭირო მიმართულებით ფრენას აიძულებენ, შესაფერ მომენტში კი – მოწინააღმდეგის ტერიტორიისკენ მიმართავენ. კონგრესის ერთ-ერთმა კომისიამ პროექტი ერთობ ძვირად მიიჩნია და ჩააგდო კიდეც.

### 2. დივერსანტი ხოჭოები

აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების კვლევითი სამმართველოს თანამშრომლები გენეტიკურად შეცვლილი მწერების გამოზრდას ვარაუდობენ, რომლებიც მტრის ტერიტორიაზე დააზიანებდნენ გზებს, აეროდრომების ასაფრენ-დასაფრენ ზოლებს, დაღრღნიდნენ საიარაღე ლითონს, საბრძოლო მასალას, მავთულებს, გააფუჭებდნენ საწვავს და შეხაზეთს.

მეცნიერთა ჯგუფმა უკვე დააპატენტა მიკროორგანიზმები, რომლებიც გემებისა და თვითმფრინავების დამფარავ საღებავში მოცულ პოლიურეთანს გახრწნის. პირველმა ცდებმა წარმატებით ჩაიარა. საავიაციო ბენზინი ხოჭების „დივერსიის" შემდეგ კისელის მსგავსი მასად იქცა.

### 3. ღრუბელი-ბომბი

ინგლისისა და აშშ-ის მკვლევარები გეოფიზიკური იარაღის სახით საწვიმარი ღრუბლების გა-



მოყენების შესაძლებლობის შესწავლას აგრძელებენ. თავიდან, ხელოვნურად შექმნილი ატმოსფერული პირობების მეშვეობით, ღრუბლებს ერთ გიგანტურ ღრუბლად „შეაქუჩებენ": მერე, საჭირო მომენტში, იოდური ვერცხლის შემცველი ჭურვებით დახვრეტენ. შედეგად, რამდენიმე კუბური კილომეტრი წყალი დაატყდება მოწინააღმდეგეს და ერთიანად მოშლის მის სამხედრო და სამოქალაქო კომუნიკაციებს.

მოვლენა

# უსაზღვრო და უკიდეგანო ბალანჩინი

...ევანდელი ფესტივალის ერთ-ერთი მთავარი მოვლენა გახდა პროგრამა „ბალანჩინის საუკუნე. 1904-...4“, რომლითაც კიდევ ერთხელ ...აგეთ პატივი მეოცე საუკუნის ...თ-ერთი უდიდესი ქორეოგრაფის ...ვნას. თამამად შეიძლება ით...ას, რომ რუსეთს ჯერ არ უნა...ს „ამდენი და ასეთი რაოდენო...“ ბალანჩინი. რუსეთ-ამერიკის ...ოექტმა, რომელმაც გააერთიანა ...ადამიანები, რომლებისთვისაც ...რად ფასობს ბალეტის ბრწყინ...ლე ინოვატორის შემოქმედება და ...კვიდრეობა, მისცა დასაბამი აგ...ოვე საინტერესო კამათს იმის ...სახებ, თუ რომელ ეროვნულ სკო...ას ეკუთვნოდა ეს გენიოსი ხე...ოვანი.

...ერთმანეთს ეკამათებოდნენ ოკე...ისგაღმელი სტუმრები. ერთი ვერ...ა ასეთია: ჯორჯ ბალანჩინი არის ...ული წარმოშობის ამერიკელი ...რეოგრაფი. ამერიკამ მისცა მას ...ლი და ძიების თავისუფლება, ბა...ნჩინიმ თავის შემოქმედებით ორ...ამში მიიზიდა ჯაზი და ელექტ...ნული მუსიკა, მუშაობდა ბროდ...ეიზე (17 დადგმა) და ჰოლივუდ..., ჩამოაყალიბა ამერიკული ბა...ეტი, სხვები ამ მოსაზრებას არ ...ანხმებოდნენ: ბალანჩინი არის ...სი ქორეოგრაფი, რომელიც ბე...ს უკუღმართობის გამო ცხოვ...რობდა და მუშაობდა ამერიკაში. ...ხომ თავის ბალეტს ქმნიდა ...მერიკის სახელმწიფოს მხარდა...ის გარეშე, ყველაფერი დაიწყო ...არა დასით, მხოლოდ რუსეთი...ან ჩატანილი კლასიკური ცოდ...ნა-განათლების საფუძველზე. საა...ქმყოფოშიც კი, სიკვდილამდე ...რე ხნით ადრე, ბალანჩინი ის...ენდა რუსულ მუსიკას, ითხოვდა, ...მ მისთვის მიეტანათ რუსული ...რძები და მგონი, რუსული არაყიც...

...ოტა არ იყოს და, ჩვენთვის ეს ...მათი ღიმილის მომგვრელია. ბა...ლანჩინი დაიბადა რუსეთში და აქვე ...ჩამოყალიბდა, როგორც ხელოვანი, ...მოხდა რევოლუციისა და პოე...ზიის საუკუნეების მიჯნაზე. იგი იყო საიმპერატორო ქორეოგრაფიული სასწავლებლის და პეტროგრადის კონსერვატორიის აღზრდილი. საბალეტო ხელოვნებას ეუფლებოდა პეტიპას, ფოკინის, ლოპუხოვის ბალეტებით (რომელთა შემოქმედებასაც ფესტივალის ფარგლებში მიეძღვნა საღამო), მის ამერიკულ დადგმებში გაწაფული თვალი ადვილად შენიშნავდა ამ ბალეტებიდან აღებულ სტილიზებულ ციტატებს.

„ჩვენ არავის არაფერი დავესესხეთ, ჩვენ გიბრუნებთ ყველაფერს. ბალანჩინი არის ჩვენი წვლილი მსოფლიო კულტურაში“, – დარწმუნებულია ხელოვნებამცოდნეობის დოქტორი იგორ სტუპნიკოვი. ამავე მოსაზრებას იზიარებენ სტაჟისმქონე პეტერბურგელი ბალეტომანები, რომლებსაც ახსოვთ „ნიუ-იორკ-სიტი ბალეს“ გასტროლები ლენინგრადის საქალაქო საბჭოს კულტურის სახლში ჯერ კიდევ იმ შორეულ დროს, როცა მას ეწოდებოდა მრეწვკოოპერაციის კულტურის სახლი. მარინეს თეატრის სცენა, რომელიც მაშინ კიროვის სახელს ატარებდა, ბალანჩინისათვის არ დაუთმიათ, რამაც ამერიკელების დიდი იმედის გაცრუება გამოიწვია. ახლა კი, მისმა სპექტაკლებმა მთელი ელვარებით გაიბრწყინეს სწორედ ამ სახელგანთქმული თეატრის სცენაზე.

ბალანჩინის პროგრამა დაიწყო ამავე სახელწოდების გამოფენის გახსნით სახელმწიფო ერმიტაჟში. მოსკოვსა და პეტერბურგის თეატრალურმა მუზეუმებმა, არქივებმა და ბიბლიოთეკებმა წარმოადგინეს ნამდვილი განძი: იმ სპექტაკლების აფიშები, ფოტოსურათები და ესკიზები, რომლებშიც მარინეს თეატრის ახალგაზრდა მოცეკვავე გიორგი ბალანჩივაძე მოგვევლინა საცეკვაო სცენების დამდგმელად. სათუთადაა შემონახული თვით ბალანჩივაძის კოსტიუმები: მასხარის, ნ. ჩერეპნინის „არმიდის პავილიონიდან“ და ბახუსის – ც. პუნის „მეფე კანდავლიდან“. ეს კოსტიუმები ერმიტაჟის დარბაზში, ასე ვთქვათ, „შეხვდნენ“ მსოფლიო ბალეტის იმ ვარსკვლავების კოსტიუმებს, რომლებიც ცეკვავდნენ მის დადგმებში – მ. ბარეშნიკოვის (ი. სტრავინსკის „ლალები“) და პ. მაკბრაიდის (პ. ჩაიკოვსკის მუსიკის მიხედვით შექმნილი „ბალეტ იმპერიალი“).

რუსი და ამერიკელი ცნობილი ისტორიკოსების, კრიტიკოსებისა და თეატრის მოღვაწეთა მონაწილეობით გამართული სამეცნიერო კონფერენციის წინ უჩვენეს ბალანჩინისადმი მიძღვნილი ორსაათიანი ფილმი სერიიდან „ამერიკელი ოსტატები“ (მაინც ამერიკელი?!). ფილმმა საშუალება მოგვცა ერთმანეთისთვის შეგვედარებინა ადრეული, დიაგილევის პერიოდის ბალანჩინი („აპოლონ“, „ძე შეცდომილი“) ამ ნამუშევრების მარინეს თეატრისეულ ვერსიებთან. ბალანჩინის ერთ-ერთმა საყვარელმა ბალერინამ მერილ ეშლიმ, რომელიც აღიზარდა მის მიერ შექმნილ სკოლაში და 16 წელი იმუშავა ბალანჩინის დასში, ღია გაკვეთილი გამართა. როგორც მარინეს თეატრის საბალეტო დასის გამგემ მახარ ვარგიევმა თქვა, „ამ გაკვეთილებში, მართალია, არ არის არაფერი ახალი, მაგრამ არის აქცენტები და ნიუანსები, რომლებსაც უთუოდ გავითვალისწინებთ ჩვენი მუშაობის დროს“.

სტუპნიკოვი იხსენებს მარინეს თეატრის პირველ გასტროლებს ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ჩაიტანეს ბიზეს „დო მაჟორის სიმფონია“. ბალანჩინისეული დადგმა მაყურებელმა იხილა რუსული რედაქციით უკვე მაშინ, როცა დიდი ქორეოგრაფი ცოცხალი აღარ იყო. სპექტაკლის შემდეგ გაიმართა მიღება მისი მეგობრის, ხელოვნებათმცოდნის და მეცენატის ლეონარდ კერსტანის სახლში. მასპინძელმა სიტყვა ასე დაიწყო: „ძალზე მოხარული იქნებოდა ჯორჯი“... და უცებ ველარ შეიკავა თავი, ატირდა.



თანდათანობით მიჩუმდა ლაპარაკი იმაზე, რომ რუსები ვერ იცეკვებენ ბალანჩინს. 1980-იანი წლების დამლევიდან მარინეს თეატრის სცენაზე დაიდგა ათობით სპექტაკლი, რომლებიც ასახავდნენ მისი შემოქმედების სხვადასხვა ეტაპს. სპექტაკლები დაიდგა ბალანჩინის სახელობის ნიუ-იორკის ფონდთან თანამშრომლობით. ყოველ ამ ეტაპს – კონსტრუქტივისტულს, „მაღალს“, ნეოკლასიკურს – პროგრამის ფარგლებში დაეთმო თითო საღამო. კიდევ ერთი საღამო დაეთმო ბალანჩინის ერთ-ერთი მემკვიდრის – უილიამ ფორსაიტის ქორეოგრაფიული ექსპერიმენტებს.

ფესტივალზე ხშირად გაიგონებდით ასეთ მოსაზრებას: ჩვენს სასწავლებლებში, ვაგანოვას სისტემით სწავლებასთან ერთად, უნდა შემოვიღოთ ბალანჩინის ტექნიკის საფუძვლების გაკვეთილები, მოვამზადოთ მოცეკვავეები მისი ქორეოგრაფიისათვის, რომელიც ასე ეხმიანება XXI საუკუნის დინამიკას.

ალბათ, ეს იქნება მორიგი თანამიმდევრული და ძალზე საჭირო ნაბიჯი რუსულ ბალეტში იმ დიდოსტატის დაბრუნებისათვის, რომელიც თავის თავზე ასე ამბობდა: სისხლით ქართველი ვარ, კულტურით – რუსი, ეროვნებით კი – პეტერბურგელი.

**არკადი სოსნოვი.**

ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА

---

ყველაფერი ყველაფერზე

## აშშ-ში დედის შეგინებებს მიხედეს

ლიახ, ძია სემის ქვეყანაში ყოფილა ასეთი ორგანო – ტელედა რადიომაუწყებლობაზე ზედამხედველობისა, რომელმაც კამპანია წამოიწყო ეთერში არანორმატიული ლექსიკის აღმოსაფხვრელად. ფედერალურმა კომუნიკაციების კომისიამ დაადგინა, რომ ტელეკომპანია ენ-ბი-სიმ კანონი დაარღვია, როცა ეთერში დაუბრკოლებლად გადასცა „ოქროს გლობუსის“ პრემიების დაჯილდოების ცერემონიაზე ჯგუფ U-2-ის ლიდერის, ბონოს მიერ წარმოთქმული უცენზურო სიტყვები.

კომისიამ გადაწყვიტა, რომ ამჯერად არ დააჯარიმებს ენ-ბი-სის, თუმცა დააჯარიმა დეტროიტის რადიოსადგური, რომელიც აგრეთვე გამოირჩა ეთერში არანორმატიული ლექსიკის ტრანსლაციით. ლაპარაკია სკანდალურად ცნობილ წამყვანზე ჰოვარდ სტერნზე. „ჩვენ უნდა გავაგებინოთ მაუწყებლებს, რომ ეთერში ასე ვულგარული ენის თავისუფალი ხმარება არ შერჩებათ“, – განაცხადა კომუნიკაციების კომისიის თავმჯდომარემ მაიკლ პაუელმა.

ამ წამყვანის კარიერას სკანდალების მთელი წყება ახლავს. ახლახან გამოქვეყნებული ანგარიშიდან ჩანს, რომ ფედერალური კომუნიკაციების კომისიის მიერ 1990 წლიდან (!) გამოწერილი ჯარიმების თითქმის ნახევარი მოდის იმ სადგურზე, სადაც სტერნი უძღვებოდა შოუს.

## მადონა კვლავ გამოვა ლონდონში

მაისში საერთაშორისო ტურნეს ფარგლებში, ლონდონის საკონცერტო დარბაზში Eart's Court, მომღერალი მადონა 18 აგვისტოს გამართავს კონცერტს. რეპეტიციები უკვე დაიწყო. „ის მოუთმენლად ელის სცენაზე დაბრუნებას“, – თქვა მომღერლის წარმომადგენელმა.



ბილეთები 150 ფუნტ სტერლინგამდე ღირება. ტურნე 24 მაისს დაიწყო ლოს-ანჯელესში. მადონამ ორ თვეზე მეტი იმოგზაურა შეერთებულ შტატებში. ლონდონსა და პარიზში მისი გამოსვლები ჯერჯერობით მომღერლის სამშობლოს საზღვრებს გარეთ დაგეგმილი ერთადერთი კონცერტებია. ბოლო დროს იგი ბევრ დროს უთმობდა თავის სამწერლო კარიერას – ორი საბავშვო წიგნი გამოუშვა: „ინგლისური ვარდები“ და „მისტერ პიბოდის ვაშლები“.

შარშან მადონამ ერთი კონცერტი გამართა ლონდონში, ოქსფორდ-სტრიტზე მდებარე მუსიკალურ მაღაზიაში, 750 მაყურებლის თანდასწრებით. ეს შოუ ორგანიზებული იყო მისი ალბომის American Life-ს რეკლამისათვის.

---

# ყურძნის წიპწის საგანძური

(მეთერთმეტე გვერდიდან)

...ქ შემუშავებულია ძირითადი ...როგრამები, რომელთაგან თითო...ეული კონკრეტულ მიზნებს ისახავს. ...ერთ-ერთი მათგანი გათვალისწინე...ბულია დედებისა და სამი თვიდან ...ერთ წლამდე ასაკის ბავშვებისათვის. ...ე ხსნის სტრესს, უზრუნველყოფს ...სრულფასოვან დასვენებას, პირისა...ხისა და სხეულის კვალიფიციურ მოვ...ლას, წონის დაკლებას, მშობიარობის ...შემდეგ ფორმის აღდგენას. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პროგრამა „ყურძნით მკურნალობა“. მისი ამოცანაა: გაწმინდოს ორგანიზმი, გააახალგაზრდაოს კანი, გააუმჯობესოს პირისახის ფერი. ასეთი თერაპია საჭიროებს თავისებურ დიეტას: ყურძენი და მხოლოდ ყურძენი. საუზმეზე, სადილსა და ვახშამზე... ასე და ამრიგად, გარკვეული დროის განმავლობაში – რამდენიმე დღიდან კვირამდე. რა თქმა უნდა, ასეთი მკურნალობა შესაძლებელია მხოლოდ ექიმთან კონსულტაციის შემდეგ. – SPA ცენტრში შემუშავებული პროგრამებისათვის მკაცრი შეზღუდვები არ არის. გამონაკლისია ყურძნით მკურნალობის პროგრამა. მისი გამოყენებისას უკუჩვენებაა მწვავე ინფექციური და ანთებითი დაავადებანი, კანის სნეულებანი.



გულუბრყვილობა იქნებოდა გვევარაუდა, რომ ყურძნის მოხმარება უთუოდ განაპირობებს თავისუფალი რადიკალების გამოყოფას. ერთი კილოგრამი პროსიანიდოლური ოლიგომერების მისაღებად აუცილებელია სულ ცოტა ერთი ტონა ყურძნის წიპწის გადამუშავება, ამისათვის კი საჭირო გახდება მთელი ზვრების „შემუსვრა“.

**მასაჟი და შეფუთვნა „სოვინიონი“**

წყლის პროცედურები კოდალის წყაროდან მოტანილი წყლის ბაზაზე წარმოებს. მათი დანიშნულებაა: შეამცირონ ცელულიტი, მოახდინონ დრენაჟი, განახორციელონ წყლის ფიზიოლოგიური მოსპობა, გაააქტიურონ სისხლის მიმოქცევა, გაწმინდონ ქსოვილები ყურძნის ექსტრატებისა და ბიოლოგიური ეთერ-ზეთების მეშვეობით.

მშრალი პროცედურები სხეულისათვის ითვალისწინებს ეთერზეთებისა და ყურძნის წიპწიპების გამოყენებას, რომელიც კვებით და შემამსუბუქებელ მოქმედებას ახდენს. მარტოოდენ სახელწოდებათა დასახელებით, ისევე, როგორც ერთი ჭიქა მჩქეფარე ღვინოს დალევის შემდეგ, თავი მსუბუქად გიბრუის: შეფუთვა **„მერლო“**, მასაჟი **„მათრობელა“** და **„სოვინიონი“**, წითელღვინიანი აბაზანა..., ეს სარეკლამო ოინები როდია, არამედ სასარგებლო და სასიამოვნო დასვენებაა. ორგინალური და ექსკლუზიური მეთოდები შექმნილია ბორდოს უნივერსიტეტის ფარმაცევტული ფაკულტეტის სპეციალისტებთან თანამშრომლობით. გარდა ამისა, ყველა პროცედურის საფუძველია „კოდალას“ კოსმეტიკური ხაზი.

„კოდალას“ კოსმეტიკა ცნობილია მრავალ ქვეყანაში, მათ შორის რუსეთშიც. მის ყველა შედგენილობაში შედის პროსიანიდოლური ოლიგომერების პოლიფენოლები, რომლებიც უზრუნველყოფენ კოლაგენისა და ელასტინის გამომუშავებას კანში და ამაგრებენ სისხლძარღვებს.

**მოამზადა ბორის დარსაძემ.**

ИЗДАТЕЛЬСКИЙ ДОМ ЖУРНАЛА ЗДОРОВЬЕ

საქართველოს რესპუბლიკ…
№ 189, კვირა, 15 აგვისტო 2004 წელ…

ბიბლიოთეკა

სიახლე

# ერთიან კომპიუტერულ ქსელში

ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტმა ბათუმის საოლქო საგადასახადო ინსპექციას „პენტიუმ-4“ მარკის 10 ახალი კომპიუტერი, ამდენივე მუდმივი დენის წყარო და 5 პრინტერი გადასცა. ტექნიკა დეპარტამენტის სპეციალისტებმა დაამონტაჟეს და საჭირო კომპიუტერულ პროგრამებსაც გაუკეთეს ინსტალირება.

ახლა ბათუმის საოლქო საგადასახადო ინსპექციაში 24 კომპიუტერი აქვთ, რომელთა დიდი ნაწილი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის საშუალებით ქვეყნის საგადასახადო სისტემის ერთიან კომპიუტერულ ქსელში ჩაერთო. ბათუმის ინსპექციაში დამონტაჟდა ასევე შიდა ლოკალური კომპიუტერული ქსელიც.

უკვე დაიწყო და მიმდინარეობს გადამხდელთა რეგისტრაციის მონაცემთა ბაზის ფორმირება, გადასახადების ადმინისტრირების კომპიუტერული სისტემის დასანერგად კი მიმდინარეობს გადამხდელთა ბარათებზე არსებული ნაშთების კომპიუტერულ მონაცემთა ბაზაში გადატანა.

საგადასახადო დეპარტამენტის სპეციალისტები შესაბამისი სამუშაოების განხორციელების პარალელურად საჭირო კონსულტაციებსა და ტრეინინგებს უტარებენ ბათუმის საოლქო საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლებს.

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი.**



# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის ვეტერინარული გაერთიანება აცხადებს ღია ტენდერს ბიოპრეპარატების, მედიკამენტების, რეაქტივებისა და ინსტრუმენტების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვა ხორციელდება შემდეგი პოზიციების მიხედვით:

I. ბიოპრეპარატები და მედიკამენტები:

ა) ცოფის საწინააღმდეგო (ძაღლის) ვაქცინა 25000 დოზა;

ბ) ჭირის საწინააღმდეგო (ძაღლის) ვაქცინა 3200 დოზა;

გ) ჭირის საწინააღმდეგო (ღორის) ვაქცინა 4000 დოზა;

დ) წითელი ქარის საწინააღმდეგო (ღორის) ვაქცინა 3000 დოზა;

ე) პასტერელოზის საწინააღმდეგო (ღორის) ვაქცინა 1500 დოზა;

ვ) სადეჰელმინთიზაციო პრეპარატები მრპ და ღორი 30800 აბი;

ზ) ექინოკოკოზი (ძაღლის) 20000 აბი;

თ) პიროპლაზმიდოზების საწინააღმდეგო პრეპარატი 3000 შეკვრა;

ი) კანქვეშა პარაზიტების საწინააღმდეგო პრეპარატები 6000 მლ;

კ) ტუბერკულინი 3200 დოზა;

ლ) თურქულის საწინააღმდეგო ვაქცინა ა, ო და აზია-1 16200 დოზა:

მ) ჯილეხის ვაქცინა 8300 დოზა;

ნ) ერთჯერადი შპრიცები (სხვადასხვა) 40000 ცალი;

ო) ქათმის ჭირის საწინააღმდეგო ვაქცინა – 21000 დოზა.

II. საკვები პროდუქტების გამოკვლევებისათვის საჭირო სხვადასხვა დასახელების რეაქტივები, დიაგნოსტიკუმი და ინსტრუმენტები.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2005 წლის 1 იანვრამდე. ტენდერში გამარჯვებულის მიერ ბიოპრეპარატების, მედიკამენტების, დიაგნოსტიკუმის, რეაქტივებისა და ინსტრუმენტების მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის მიერ მიმწოდებელზე გადაცემული შესაბამისი ტექნიკური დავალების საფუძველზე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2004 წლის 1 სექტემბრის 10 საათიდან, 2 სექტემბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №29/22, ქ. თბილისის ვეტერინარული გაერთიანება.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1. იურიდიული პირისთვის:**

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდადებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.2. ფიზიკური პირისთვის:**

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ინფორმაციას უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

ბ) ინფორმაციას ტენდერში მონაწილის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

გ) ცნობა ფინანსური მდგომარეობის შესახებ დამოწმებულს შესაბამისად უფლებამოსილი საგადასახადო სამსახურის მიერ.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2004 წლის 3 სექტემბრის 12 საათიდან 6 სექტემბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №29/22, ქ. თბილისის ვეტერინარული გაერთიანება. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

7. ტენდერის შედეგად შესაძლებელია პოზიციების მიხედვით რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისგან: რატი ანდღულაძე – სატენდერო კომისიის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი – 39-51-50 და გაგა ოსიაშვილი – სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 39-51-81, ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №29/22, ქ. თბილისის ვეტერინარული გაერთიანება.

**სატენდერო კომისია.**

# განცხადება

**საქართველოს კანონის „მშენებლობის ნებართვის შესახებ“ მე-4 და მე-5 მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად წარმოდგენილია:**

**შპს „მაგთიკომის“ საბაზო სადგურების მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაცია.**

**საპროექტო დოკუმენტაციის გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია ა. წ. 14 სექტემბრამდე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პრესცენტრში: თბილისი, კოსტავას №68ა, VI სართული და გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახურში: თბილისი, ფალიაშვილის №87, ტელ. 25-02-19.**

**საჯარო განხილვა შედგება 2004 წლის 14 სექტემბერს 12.00 საათზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში.**

**გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახური.**



## ორშაბათი, 16 აგვისტო

**1**

07.30 ალიონი 08.10 "ღამის მოამბე" გამეორება 09.00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 09.10 მულტსერიალი "სიმბა-ფეხბურთელი" 09.40 "იმღერე რამე" 10.10 სერიალი **"მორიგი მსხვერპლი"** 11.00 სტუმრად მსახიობთა სტუდიაში -ბენ აფლეკი 12.15 ტელესერიალი **"სოლედადი"** 13.00 სერიალი **"ფორსაიტების საგა"** 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ.სერიალი "მსოფლიოს ქალაქები"-ტოკიო 15.20 სერიალი **"ზაფხულის საიდუმლო"** 1-ლი ს. 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.10 სერიალის გაგრძელება 16.30 დოკ. ფილმი "ექსცენტრიკოსები" 17.05 მულტსერიალი "სიმბა-ფეხბურთელი" 17.30 მუს. არჩევნები 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი **"სენ – ტროპე"** 1-ლი ს. 19.00 "იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი **"სოლედადი"** 22.00 ღამის მატარებელი 00.00 ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" 00.20 მხ. ფილმი **"უსაფრთხოების ზომები"** (18)

**2**

19.00 მულტფილმი "პაპირუსის თავგადასავალი" 19.30 სერიალი **"ეშმაკუნა"** (U) 21.00 დოკ. სერიალი "მოგზაურობა" 21.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 22.00 მხ. ფილმი **"მოცეკვავე მანქანა"** (15)

**რუსთავი 2**

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 "ტელელიპუტები" 09.40 სერიალი **"შურისძიება"** 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.10 კურიერი 12.20 დისკავერი 13.20 მხ. ფილმი **"ის იწყებს გაბრაზებას"** 15.25 სერიალი **"სასწრაფო"** 16.30 სერიალი **"ალფი"** 17.05 სერიალი **"მაშველები"** 18.20 "ტელელიპუტები" 18.55 "დისკავერი" 19.45 სერიალი **"შურისძიება"** 22.00 სერიალი **"უკვდავი"** 23.00 სერიალი **"სოპრანოს კლანი"**. 00.00 მხ. ფილმი **"გაიცანით ჯო ბლეკი"**. მთ. რ-ში: ბრედ პიტი, ენტონი ჰოპკინსი (18).

**—**

18.00 მხ. ფილმი **"შიშისმომგვრელი ბაღები"** (U) 21.10 დოკ. ფილმი 22.30 მხ. ფილმი **"ლუსი ობრაკი"** (15)

**—**

07.30, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 02.05 ქრონიკა 07.45 ათენის ოლიმპიური თამაშები – მიმოხილვა 09.15, 01.35 ტვ-მარკეტი 09.45 ოლიმპიური თამაშები: პლაჟის ფეხბურთი, ძიუდო, ხელბურთი (კაცები) სლოვენია-ხორვატია 13.10 ძიუდო (გაგრძელება), ხელბურთი (გაგრძელება), მაგიდის ჩოგბურთი. 15.10 ძიუდო (გაგრძელება), მაგიდის ჩოგბურთი (გაგრძელება), ფრენბურთი (ქალები) იტალია-იაპონია, კალათბურთი (ქალები) ჩეხეთი-აშშ. 17.10 კალათბურთი (გაგრძელება), ძიუდო (ფინალები). 19.20 სერიალი **"კლონი"** 20.05 ოლიმპიური თამაშები: ცურვა, ფარიკაობა, კრივი, ძალოსნობა 22.20 ფრენბურთი (ქალები) რუსეთი-კუბა. 00.05 ოლიმპიური თამაშები – დღის მიმოხილვა 02.20 იმედის მელოდიები

**—**

09.00 "ფარული კამერა" 09.30 "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 10.00 სერიალი **"ველური მთვარე"** 11.10, 20.50 მინისერიალი **"შტრაუსების დინასტია"** 12.00, 15.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 12.10, 21.45 დეტ. სერიალი **"ქვეყნის კიდეზე"** 13.10 მხ. ფილმი **"მომაკვდინებელი იარაღი"** (U) (მ. გიბსონი) 15.10 სერიალი **"მარია ემილია"** 16.10 სერიალი **"დინოტოპია"** 17.10 მულტსერიალი "რედვოლი" 17.35 მულტსერიალი "მეხანძრე ძაღლები" 18.10 დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" 19.00 სერიალი **"ველური მთვარე"** 22.45 "ტელეპროცესი. ნოე ჟორდანია" 00.00 მხ. ფილმი **"ძველი სკოლა"** (18) (ლიუკ უილსონი)

**კავკასია**

12.00 ინდ. მხ. ფილმი 15.00 მხ. ფილმი 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მუსიკა 18.00 სერიალი **"მილედი"** 19.20, 21.00 სპექტრი 22.30 "საქმე და ეკონომიკა"

**202**

10.00 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი **"ჰამლეტი"** (მელ გიბსონი) (U) 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი **"თეთრი ოლეანდრი"** (მიშელ ფაიფერი) (U) 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი **"მუსკულები"** (გან.) 20.00 მხ. ფილმი **"ერთი შანსი ორზე"** (ბელმონდო) (12) 22.00 სერიალი **"მუსკულები"** 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის "კენო" 23.00 დებატები 00.00 მხ. ფილმი **"უკანასკნელი ბოისკაუტი"** (ბრის უილისი) (18)

**4 TV**

18.30 ქრონიკა 18.35 საბ. ეკრანი 19.00 მხ. ფილმი 20.30 ქრონიკა 21.00 სალმრთო ქადაგებ 21.20 "მოდელი" რეიჩელ რობერტსი 21.40 სერიალი **"ბედის ჯიბრზე"** 22.30 ქრონიკა 23.00 პოპ-მიქსი 23.35 მხ. ფილმი **"50 პირველი კოცნა"**

**VII არხი**

09.00 ანონსი 09.05 მელოდია 09.15 "აჩიკუდა" 09.35 ვიდეოკამერები 10.15 მელოდია 10.20 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 10.50 მელოდია 11.10 კომპიუტერული ტექნიკა 11.30 მელოდია 11.40 პრინტერები 11.55 დისნეი და მისი მეგობრები 12.15 მობილურები 12.35 მელოდია 12.45 ტელევიზორები 18.05 მელოდია 18.20 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 19.00 "აჩიკუდა" 19.20 პრინტერები 19.50 დოკ.ფ."რვაკუთხედი" 20.15 კომპიუტერული ტექნიკა 20.35 მელოდია 20.50 ტელევიზორები 21.05 მელოდია 21.20 მობილურები 21.50 მელოდია 22.30 "კინოკლუბი" **"ავტოფარეხის დღეები"**. ავსტრალია. კომედია. რეჟ: ალექს პროიასი. როლებში: კიკა გარი, მავი სტეინჰი. (18) 00.10 მელოდია 00.20 ვიდეოკამერები

## სამშაბათი, 17 აგვისტო

**1**

07.55 მოამბე 08.10 "ღამის მოამბე" გამეო… 09.00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მო… 09.10 მულტსერიალი "სიმბა-ფეხბურთე… 09.40 "იმღერე რამე" 10.10 სერიალი **"მორ… მსხვერპლი"** 11.00 სერიალი **"ფსიქფაქტო…** 12.15 ტელესერიალი **"სოლედადი"** 13… სერიალი **"ფორსაიტების საგა"** 14.00 მო… ოსურ ენაზე 14.05 ლერერის შოუ 15… სერიალი **"ზაფხულის საიდუმლო"** 16… მოამბე ინგლისურ ენაზე 16.10 სერია… გაგრძელება 16.30 დოკ. ფი… "ექსცენტრიკოსები" 17.05 მულტსერიალი "სი… ფეხბურთელი" 17.30 სერიალი **"ჩემი ყველ… ლამაზი არდადეგები"** 18.00 ვესტნიკი 18… სერიალი **"სენ – ტროპე"** 19.00 "იმღერე რ… 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი **"სო… ედადი"** 22.00 "ქიმერიონი" - რ. ესაძე 00… ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკ… 00.20 მუს. არჩევნები 00.55 მხ. ფილმი **"რბ… – ქვემეხის ბირთვი"** (15)

**2**

19.00 მულტფილმი "პაპირუსის თავგად… ალი" 19.30 სერიალი **"ეშმაკუნა"** (U) 21… დოკ. ფილმი "ჩემი სახლი" 21.15 მია… თქვენზე 22.00 მხ. ფილმი **"ელიზა"** (18)

**რუსთავი 2**

07.30 დილა მშვიდობისა 08… "ტელელიპუტები" 09.40 სერია… **"შურისძიება"** 11.00 სერიალი **"უკვდა…** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.45 კური… 12.20 "დისკავერი" 13.20 მხ. ფილმი **"დომი… პრინციპი"** 15.25 სერიალი **"სასწრა…** 16.30 სერიალი **"ალფი"** 17.05 სერია… **"მაშველები"** 18.20 "ტელელიპუტები" 18… "დისკავერი" 19.45 სერიალი **"შურისძიე…** 22.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერ… 23.00 სერიალი **"სოპრანოს კლანი"**. 00.00… ფილმი **"მეზობლები"**. მთ. რ-ში: ტერეზა რ… ლი, ჯეიმს რუსო (18).

**—**

18.00 მხ. ფილმი **"თეთრი შოგა"** (U) 20… დოკ. ფილმი 21.10 კონცერტი 22.20 მხ. ფი… **"სამურაი"** (18)

**—**

07.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22… 02.05 ქრონიკა 07.15 ოლიმპიური თამაშ… დღის მიმოხილვა 08.45, 02.30 ტვ-მარკ… 09.45 ოლიმპიური თამაშები: მშვილდოსნ… 1/16 (ქალები), ნიჩბოსნობა, ძიუდო (ფინალ… 13.10 მშვილდოსნობა (გაგრძელება), ძიუ… (გაგრძელება) 15.10 ძიუდო (გაგრძელ… კალათბურთი (კაცები) ლიტვა – პუე… რიკო. 17.10 კალათბურთი (გაგრძელ… ძიუდო (ფინალები). 19.20 სერიალი **"კლონ…** 20.05 ოლიმპიური თამაშები: ცურვა, ფარიკა… (ფინალები), ჰოკეი (კაცები), ფეხბურთი (კაც… 22.20 ფეხბურთი (გაგრძელება), კალათბურ… (კაცები) აშშ - საბერძნეთი. 01.00 ოლიმპი… თამაშები – დღის მიმოხილვა 03.45 იმე… მელოდიები

**—**

09.00 "ფარული კამერა" 09.30 "გეპატიჟე… ბარტ ვულფი" 10.00 სერიალი **"ველუ… მთვარე"** 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15… საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10, 20.50 მინის… იალი **"შტრაუსების დინასტია"** 12.10, 21… დეტ. სერიალი **"ქვეყნის კიდეზე"** 13.10… ფილმი **"მომაკვდინებელი იარაღი 2"** (U)… გიბსონი) 15.10 სერიალი **"მარია ემილია"** 16… 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზე… 16.10 სერიალი **"დინოტოპია"** 17.10 მულტს… იალი "რედვოლი" 17.35 მულტსერია… "მეხანძრე ძაღლები" 18.10 დოკ. სერია… "ექსტრემალური ამბები" 19.00 სერიალი "… **ლური მთვარე"** 22.45 "ტელეპროცესი. … ჟორდანია" 00.00 მხ. ფილმი **"უცოდველ… ზარები"** (18) (ჩაკ ნორისი)

**კავკასია**

13.00 მუსიკა 16.00 "საქმე და ეკონომ… 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმა… პროგრამა "დღეს" 17.15 სერიალი **"მილე…** 19.20, 21.00 სპექტრი 00.30 მუსიკა

**202**

10.00 დებატები 202-ზე (განმ). 11… მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი **"ერთი შა… ორზე"** (12) 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფი… **"ევოლუცია"** (ჯულიანა მური) (12) 17.00… ფილმი 19.00 სერიალი **"მუსკულები"** (გ… 20.00 მხ. ფილმი **"საავადმყოფ… ახალგაზრდობა და სიყვარული"** (შონ ი… (15) 22.00 სერიალი **"მუსკულები"** 22.20… ქავთარაძის ანეგდოტები 22.30 შიშველი სი… რთლე 22.40 ი. სალინაძის "კენო" 23… დებატები 00.00 მხ. ფილმი **"ვარსკლავუ… დესანტი-2"** (18)

**4 TV**

18.30 ქრონიკა 18.35 საბ. ეკრანი 19.00… ფილმი 20.30 ქრონიკა 21.00 პოლიცი… ისტორიები 21.40 სერიალი **"ბედის ჯიბრ…** 22.30 ქრონიკა 23.00 მხ. ფილმი **"პელიბ…** 01.00 მუსიკა

**VII არხი**

09.05 მელოდია 09.15 "აჩიკუდა" 09… "ბედნიერი ერი" (განმეორებით) 09… საყოფაცხოვრებო ტექნიკა 10.05 მელო… 10.15 მობილურები 10.35 მელოდია 10… ვიდეოკამერები 11.05 დისნეი და მისი მეგობ… 11.25 კომპიუტერული ტექნიკა 11.45 მელო… ია 12.00 პრინტერები 12.15 მელოდია 12… ტელევიზორები 12.40 მელოდია 18.05… ლოდია 18.20 ვიდეოკამერები 19.00… იკუდა" 19.20 პრინტერები 19… დოკ.ფ."რვაკუთხედი" 20.05 საყოფაცხოვრ… ტექნიკა 20.25 მელოდია 20.45 მობილურ… 21.05 მელოდია 21.30 ტელევიზორები 21… მელოდია 22.10 "კინოკლუბი" **"წინასწარ… ტყუელება"**. ა.შ.შ. მისტიკა. რეჟ: გრეგ… უაიდენი. როლებში: კრისტოფერ უოკენი, ე… კოტეასი. (18) 23.45 მელოდია 00.10 კომპი… ერული ტექნიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოთხშაბათი, 18 აგვისტო

1 არხი

55 მოამბე 08.10 "ღამის მოამბე" გამეორება 00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 10 მულტსერიალი "სიმბა-ფეხბურთელი" 40 იმღერე რამე 10.10 სერიალი "მორიგი ...ვერპლი" 11.00 "ქიმერიონი" 12.15 ტე... სერიალი "სოლედადი" 13.00 სერიალი ...ორსაიტების საგა" 14.00 მოამბე ოსურ ... 14.15 დოკ. ფილმი "დიდი ნახტომი" მე... 15.20 სერიალი "ზაფხულის სა...უმლო" 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე ...05 სერიალის გაგრძელება 16.30 დოკ. ...ილმი "ექსცენტრიკოსები" 17.00 მულტსერ... "სიმბა ფეხბურთელი" 17.25 "მუსიკალუ... არჩევნები" 18.00 ვესტნიკი 18.20 სერ... "სენ – ტროპე" 19.05 "იმღერე რამე" ...40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი "სოლ...ედადი" 22.00 "მიამბეთ თქვენზე"-თამაზ ...კელი 00.00 ვიდეოფილმი "საქართველო ...20 საუკუნე" 00.20 მხ. ფილმი "ლამაზი ...ნი" (15)

2 არხი

...00 მულტფილმი "პაპირუსის თავგადასავ..." 19.30 სერიალი "ეშმაკუნა"(U) 21.00 ... სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" 22.00 ... ფილმები "წინააღმდეგობა" (15)

რუსთავი 2

...30 დილა მშვიდობისა 08.00 ...ტელელიპუცები" 09.40 სერიალი ...ურისძიება" 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩა...ლთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, ...10 კურიერი 12.20 "დისკავერი" 13.20 მხ. ...ლმი "მამა სერგი" 15.25 სერიალი "სასწ...ფო" 16.30 სერიალი "ალფი" 17.05 სერ... "მაშველები" 18.20 "ტელელიპუცები" ...55 "დისკავერი" 19.45 სერიალი ...ურისძიება" 22.00 სერიალი "უკვდავი" ...00 სერიალი "სოპრანოს კლანი". 00.00 ... ფილმი "ქვის რომანი". მთ. რ-ში: მაიკლ ...ლასი, კეტლინ ტერნერი (15).

...00 მხ. ფილმი "ბილი ელიოტი" (U) 20.10 ... ფილმი 21.10 კონცერტი 20.20 მხ. ფილმი "...არტოსული ვარსკვლავის შტატი" (18)

...30, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, ...05 ქრონიკა 07.45 ოლიმპიური თამაშები - ... მიმოხილვა 09.15, 01.35 ტვ-მარკეტი ...45 ოლიმპიური თამაშები: მშვილდოსნობა ...ები), პლაჟის ფრენბურთი, ძიუდო, ...თბურთი (ქალები) იაპონია-ავსტრალია ...10 ძიუდო (გაგრძელება), კალათბურთი ...რძელება) 15.10 ძიუდო (გაგრძელება), ...ურთი (კაცები) საფრანგეთი-უნგრეთი. ... მშვილდოსნობა (ქალები), ძიუდო ...ლები) 19.20 სერიალი "კლონი" 20.05 ...მპიური თამაშები: ცურვა, ფარიკაობა ...ლები), ძალოსნობა 22.20 ხელბურთი ...ები) გერმანია-ბრაზილია, ფრენბურთი ...ები) ბრაზილია-იტალია 00.05 ოლიმპიუ... თამაშები – დღის მიმოხილვა 02.20 იმედის ...ლოდიები

...00 "ფარული კამერა" 09.30 "გეპატიჟებათ ...რტ ვულფი" 10.00 სერიალი "ველური ...ვარე" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 ...ფ. გამოშვება "მზერა" 11.10 მინისერიალი "...ვრაუსების დინასტია" 12.10, 21.45 სერ... "ქვეყნის კიდეზე" 13.10 მხ. ფილმი "...ომაკვდინებელი იარაღი 3" (U) (მ. გიბსონი) ...10 სერიალი "მარია ემილია" 16.00, 17.00, ...00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 16.10 ...ალი "დინოტოპია" 17.10 მულტსერიალი "...დვოლი" 17.35 მულტსერიალი "მეხანძრე ...ლები" 18.10 დოკ. სერიალი "ექსტრემალური ...ბი" 20.50 მინისერიალი "ფანტაზიების ...ნძული" 22.45 "ტელეპროცესი. ნოე ჟორდ...ა" 00.00 მხ. ფილმი "შურისძიება" (18) (...ვენ სიგალი)

კავკასია

...00 მუსიკა 17.00, 19.00, 20.30, 00.00 ...ფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 სერ... "მილედი" 19.20, 21.00 სპექტრი 00.30 ...კა

202

...00 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი "საავადმ...ო, ახალგაზრდობა და სიყვარული" (... იანგი) (15) 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი "...არო" (ედი მერფი) (12) 17.00 მულტფილმი ...00 სერიალი "მუსკულები" (გან.) 20.00 მხ. ...ლმი "სასიკვდილო იარაღი-3" (12) 22.00 ...ალი "მუსკულები" 22.20 ნიკა ქავთარაძის ...დოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ...ლინაძის "კენო" 22.45 დებატები 202-ზე ...00 მხ. ფილმი "შავი წვიმა" (მაიკლ ...ლასი) (18)

4TV

...30 ქრონიკა 18.35 საბ. ეკრანი 19.00 მხ. ...ლმი 20.30 ქრონიკა 21.00 საღმრთო ქადაგება ...10 მუსიკა 21.20 კინოლოგია (სპანიელი) ...40 სერიალი "ბედის ჯიბრზე" 22.30 ...ნიკა 23.00 მხ. ფილმი "ჩინგიზ-ხანი" ...00 მუსიკა

VII არხი

...05 მელოდია 09.15 "აჩიკუდა" 09.35 ...ოფაცხოვრებო ტექნიკა 10.05 მელოდია ...20 მობილურები 10.40 დისნეი და მისი ...ბრები 11.10 ტელევიზორები 11.20 მე...ოდია 11.40 პრინტერები 11.55 მელოდია ...05 ვიდეოკამერები 12.25 მელოდია 12.30 ...პიუტერული ტექნიკა 18.05 მელოდია ...30 კომპიუტერული ტექნიკა 19.00 "აჩ...უდა" 19.20 მობილურები 19.50 ...ფ."რვაკუთხედი" 20.30 საყოფაცხოვრებო ...ნიკა 21.00 მელოდია 21.20 პრინტერები ...35 მელოდია 22.10 ტელევიზორები 22.45 ...ოკლუბი" "გამანადგურებელი". კომედ... რეჟისორი: დეიზი ფონ შერლერი. ...ლებში: მარისა ტომეი, კრისტინ ბარანსკი. ... 00.10 მელოდია 00.20 მელოდია 00.30 ...ეოკამერები

## ხუთშაბათი, 19 აგვისტო

1 არხი

07.55 მოამბე 08.10 "ღამის მოამბე" გამეორება 09.00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 09.10 მულტსერიალი "სიმბა-ფეხბურთელი" 09.40 იმღერე რამე 10.10 სერიალი "მორიგი მსხვერპლი" 11.00 "მიამბეთ თქვენზე" 12.15 ტელესერიალი "სოლედადი" 13.00 სერიალი "ფორსაიტების საგა" 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ. ფილმი "ჟოზეფ მარია ჟუჟელი" 15.20 სერიალი "ზაფხულის საიდუმლო" 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 სერიალის გაგრძელება 16.30 დოკ. ფილმი "ექსცენტრიკოსები" 17.00 მულტსერიალი "დაკარგული სამყარო" 1-ლი ს. 17.35 სერიალი "ჩემი ყველაზე ლამაზი არდადეგები" 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი "სენ-ტროპე" 19.00 "იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი "სოლედადი" 22.00 ღამის მატარებელი 00.00 ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" 00.20 "მუსიკალური არჩევნები" 00.55 მხ. ფილმი "მელოდია სარდაფიდან" (12)

2 არხი

19.00 მულტფილმი "პაპირუსის თავგადასავალი" 19.30 სერიალი "ეშმაკუნა" (U) 21.00 დოკ. ფილმი "დიდი ნახტომი" 22.00 მხ. ფილმი "ეარ ამერიკა" (15)

რუსთავი 2

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 "ტელელიპუცები" 09.40 სერიალი "შურისძიება" 11.00 სერიალი "უკვდავი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.10 კურიერი 12.20 "დისკავერი" 13.20 მხ. ფილმი "ხადსაკერის მემკვიდრე" 15.25 სერიალი "სასწრაფო" 16.30 სერიალი "ალფი" 17.05 სერიალი "მაშველები" 18.20 "ტელელიპუცები" 18.55 "დისკავერი" 19.45 სერიალი "შურისძიება" 22.00 სერიალი "უკვდავი" 23.00 სერიალი "სოპრანოს კლანი". 00.00 მხ. ფილმი "მონსტრი". მთ. რ-ში: შარლიზ ტერონი, კრისტინა რიჩი (18).

18.00 მხ. ფილმი "იესო" (U) 20.10 დოკ. ფილმი 21.10 კონცერტი 22.00 მხ. ფილმი "პარი – ანგელის გული" (18)

07.30, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 02.05 ქრონიკა 07.45 ოლიმპიური თამაშები - დღის მიმოხილვა 09.15, 01.35 ტვ-მარკეტი 09.45 ოლიმპიური თამაშები: პლაჟის ფრენბურთი, ძიუდო, წყალბურთი (კაცები), კალათბურთი (ქალები) იტალია-ესპანეთი. 13.10 ძიუდო (გაგრძელება), კალათბურთი (გაგრძელება), კრივი. 15.10 ძიუდო (გაგრძელება), კრივი (გაგრძელება), კალათბურთი (კაცები) აშშ-ავსტრალია 17.10 კალათბურთი (გაგრძელება), ძიუდო (ფინალები), ჩოგბურთი (კაცები) (ქალები) 19.20 სერიალი "კლონი" 20.05 ჩოგბურთი (გაგრძელება), კრივი, ცურვა, ფარიკაობა, ძალოსნობა. 22.20 ჩოგბურთი (გაგრძელება), კრივი, ფარიკაობა, ძალოსნობა. 00.05 ოლიმპიური თამაშები – დღის მიმოხილვა 02.20 იმედის მელოდიები

09.00 "ფარული კამერა" 09.30 "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 10.00 სერიალი "ველური მთვარე" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10, 20.50 მინისერიალი "ფანტაზიების კუნძული" 12.10, 21.45 სერიალი "ქვეყნის კიდეზე" 13.10 მხ. ფილმი "მომაკვდინებელი იარაღი 4" (U) (მ. გიბსონი) 15.10 სერიალი "მარია ემილია" 16.00, 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 16.10 სერიალი "დინოტოპია" 17.10 მულტსერიალი "რედვოლი" 17.35 მულტსერიალი "მეხანძრე ძაღლები" 18.10 დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" 19.00 სერიალი "ველური მთვარე" 22.45 "ტელეპროცესი. ნოე ჟორდანია" 00.00 მხ. ფილმი "ფროლაინ სმილას თოვლიანი გრძნობები" (18) (ჯულია ორმონდი)

კავკასია

13.00 მუსიკა 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 სერიალი "მილედი" 19.20, 21.00 სპექტრი 00.30 მუსიკა

202

10.00 დებატები 202-ზე 11.30 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი "სასიკვდილო იარაღი-3" (12) 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი "უკანასკნელი გმირი" (ა. შვარცენეგერი) (12) 17.00 მულტფილმი 19.00 სერიალი "მუსკულები" (გან.) 20.00 მხ. ფილმი "დიდი გასეირნება" (U) 22.00 სერიალი "მუსკულები" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის "კენო" 23.00 დებატები 00.00 მხ. ფილმი "ნიუ – იორკის ბანდები" (18)

4TV

18.30 ქრონიკა 18.35 საბ. ეკრანი 19.00 მხ. ფილმი 20.30 ქრონიკა 21.00 "ჰოლივუდის ისტორია" (შერონ სტოუნი) 21.40 სერიალი "ბედის ჯიბრზე" 22.30 ქრონიკა 23.00 "სტუმრად" 23.20 მხ. ფილმი "მალხოლანდის კლდე" 01.00 მუსიკა

VII არხი

09.05 მელოდია 09.15 "აჩიკუდა" 09.35 მობილურები 09.50 მელოდია 10.00 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 10.25 მელოდია 10.40 ვიდეოკამერები 11.15 დისნეი და მისი მეგობრები 11.35 ტელევიზორები 11.45 მელოდია 11.55 კომპიუტერული ტექნიკა 12.25 მელოდია 12.35 პრინტერები 18.05 მელოდია 18.20 მობილურები 19.00 "აჩიკუდა" 19.50 დოკ.ფ."რვაკუთხედი" 20.20 კომპიუტერული ტექნიკა 20.35 მელოდია 20.55 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 21.25 მელოდია 21.45 ტელევიზორები 21.55 მელოდია 22.15 პრინტერები 22.30 "კინოკლუბი"-ობობების შეტევა". ფანტასტიკა. რეჟ: ელორი ელკაემი. როლებში: დევიდ არკეტი, კერი ვუხრერი. (18) 00.10 ვიდეოკამერები

---

**კოლეგები**

# ოჯახი

იყო და არა იყო რა...

საბჭოთა საქართველოში, არც ისე დიდი ხნის წინათ, იყო ერთი, მართლაც, მთავარი გაზეთი — „კომუნისტი". წარმოიდგინეთ, მისი ერთჯერადი ტირაჟი ზოგჯერ 800 ათასსაც კი აღწევდა, ანუ, ფაქტობრივად, ყველა ქართულ ოჯახში შედიოდა.

„კომუნისტი", რესპუბლიკის კომპარტიას რომ ედგა გვერდში, ამავე დროს, არც ქართულ მწერლობას, ხელოვნებას, კულტურას, სპორტს აკლებდა ყურადღებას — ოპერატიულად აშუქებდა მიღწევებს, არ ივიწყებდა პრობლემებს, ქართული ინტელიგენციის უთვალსაჩინოესი წარმომადგენლები ამ რედაქციის ხშირი სტუმრები იყვნენ...

მე რომ „კომუნისტში" მიმიღეს კორესპონდენტად (1978 წელს), იგი ჯერ კიდევ იყო „გაძეძგილი" ქართული ჟურნალისტიკის „ვეშაპებით", შესანიშნავი, გულისხმიერი ადამიანებით.

მათგან, სამწუხაროდ, ბევრი გამოგვაკლდა, შაგრენის ტყავივით დავპატარავდით, მაგრამ ბევრნი მაინც შემოვრჩით, როგორც უკვე დღეს ამბობენ, „კომუნისტის" სამართალმემკვიდრეს — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას" და, რაც შეგვიძლია, ვემსახურებით საქვეყნო საქმეს...

ჩვენს შორისაა პროფესიონალიზმითა და საქმის სიყვარულით ჭეშმარიტად გამორჩეული, ერთმანეთს შებერებული წყვილი — ქალბატონი **მარგო ლეკიშვილი** და ბატონი **გიზო ყიფიანი** — მთელი რედაქციის პატივცემული ადამიანები, გასული საუკუნის 50-იან წლებში, სწორედ გაზეთ „კომუნისტში" რომ გაიცნეს ერთმანეთი, შექმნეს ოჯახი, დაზარდეს შვილები და დღეს შვილიშვილებით ხარობენ.

სხვათა შორის, თავიდან, ორივემ კორექტორობით დაიწყო (თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ქალბატონი მარგო 1954 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, „კომუნისტში" შტატგარეშე კორესპონდენტად მუშაობდა).

„მაგრამ, მე და გიზომ, ოჯახი რომ შევქმენით და შვილები შეგვეძინა, — იგონებს ქალბატონი მარგო, — ველარ მოვახერხე ქალაქის ერთი თავიდან მეორეში ინფორმაციებისთვის სირბილი, ყოველდღიური გაწამაწია და, ვითომ, უფრო „მყუდრო" საქმე — კორექტორობა დავიწყე. მას შემდეგ შევრჩი და შევრჩი...

„თავისი საბედო რომ რედაქციაში მივიდა, ბატონი გიზო უკვე პასუხისმგებელი მდივნის მოადგილე იყო.

„ოჯახური მდგომარეობის გამო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლის გაგრძელება ველარ შევძელი და, კეთილი ხალხის დახმარებით, „კომუნისტში" დავიწყე მუშაობა კორექტორად, მერე კონტროლიორ-კორექტორი ვიყავი. 1952 წელს პასუხისმგებელი მდივნის მოადგილედ დამაწინაურეს და ბოლომდე შევრჩი ამ ადგილს". — ხშირად უამბნია თავის გზის დასაწყისის შესახებ ბატონ გიზოს.

კორექტურა რომ გაზეთის ახალი ნომრის მზადების პროცესში დიდად საპასუხისმგებლო საქმიანობაა, ეს ყველა წიგნიერ ადამიანს მოეხსენება. აი, რედაქციის სამდივნოს მუშაობის სპეციფიკა კი, შეიძლება, ბევრმა არ იცოდეს. კორექტურა თუ ტექნიკური პროგრესის პირობებშიც, ასე ვთქვათ, მაინც, „კონსერვატიულ" სფეროდ დარჩა, კომპიუტერის ეპოქამ და ათასნაირმა საბეჭდმა მანქანებმა, აღარც ლინოტიპი დაგვიტოვეს, აღარც როტაცია — „გუტენბერგის გენიოსური გამოგონება" (კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვებია) და სამდივნოს მუშაობის სტილიც შეიცვალა.



ისევ გიზო ყიფიანს მოვუსმინოთ:

„დღევანდელ პირობებში სამდივნოს მუშაობა შედარებით გაადვილებულია. ცხონებული ვაჟა ჯალაღანია — შესანიშნავი პიროვნება და „კომუნისტის" პასუხისმგებელი მდივანი — შეიძლება ითქვას, მთელი დღე მაკეტის კეთებას უნდებოდა. კარგ მაკეტს, რომელზედაც უკვე ჩანდა მომავალი ნომრის სახე, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბატონი დავით მჭედლიშვილი — „კომუნისტის" ცნობილი რედაქტორი. ჩვენც — მოადგილეებიც — ცხადია, ვეშველებოდით ბატონ ვაჟა ჯალაღანიას, თან სტამბასთან გვქონდა ყოველწამიერი კავშირი. ნეტა იცოდეთ, რა დღეში იყო რედაქცია, განსაკუთრებით, ნომრის მორიგეები და სამდივნო მოსკოვიდან ოფიციალური მასალების მოლოდინში. ის სულძაღლიანი ხრუშჩოვი ხომ, ძირითადად, ზეპირად ქაქანებდა, მოხსენების ტექსტს თითქმის არ კითხულობდა: ჰოდა წარმოიდგინეთ, სანამ მისი თანაშემწეები ამ ბუტბუტს დაალაგებდნენ, შემდეგ საკდესს გადასცემდნენ, საკდესი რომ მიიღებდა, მერე რესპუბლიკის სააგენტოებს (მათ შორის საქდესსაც) გადასცემდა, საქდესში რომ რუსულ ტექსტს თარგმნიდნენ და გადმოგვცემდნენ... აბა, წარმოიდგინეთ, რა ხდებოდა: ლოდინი, ლოდინი დაუსრულებელი... ფეხდგომელა ყვინთვა... ხშირად ყოფილა, თავზე დაგვთენებია და ნომრის მორიგეები კარებში ვხვდებოდით სამსახურში მოსულ თანამშრომლებს.

ამ, ასე ვთქვათ, განსაკუთრებულ ნომრებზე ათმაგი ყურადღების დაძაბვა სჭირდებოდათ კორექტორებს. უნებლიე შეცდომასაც არავინ გაპატიებდა. გახმაურებული ფაქტია: ერთხელ, ბრეჟნევის მაგივრად, შეცდომით ბრეჟნევი დაიბეჭდა და კორექტორი და გვერდის მორიგე ძლივს გადაურჩნენ მოხსნას. ეეეე.... რა ენერგია წავიდა, რა უძილო ღამეები ვხარჯეთ... ვიღას სჭირდება დღეს ან ხრუშჩოვის, ან ბრეჟნევის მოხსენებები?!"

და, თითქმის, 60 წელი ემსახურა ამ საქმეს ბატონი გიზო, ხოლო 50 წელი — მისი თანამეცხედრე, ჭირისა და ლხინის თანაზიარი ქალბატონი მარგო.

რითი მოიპოვეს ამ ადამიანებმა რედაქციის თანამშრომლების — თაობებისა და თაობების გულწრფელი პატივისცემა?

ჩემი დაკვირვებით, ეს არის გამძაფრებული პასუხისმგებლობის გრძნობა და ერთგულება დაკისრებული საქმისადმი. ის კი არა, ჩვენი დავიდიდი არ მიწყენს და, ხშირად, პედანტსაც კი ეძახიან ზედმეტი მკირკიტულაობისა გამო. იქნებ ეს სწორედ იმ უმკაცრესი ცენზურის წლებში შეძენილი თვისებაა? ცეკას ორგანოს, გამადიდებელი შუშით რომ კითხულობდნენ, მაშინდელი შიშია? შეიძლება. ისე, მე თუ მკითხავთ, საგაზეთო საქმე ნამდვილად მოითხოვს დიდ ყურადღებას, თორემ მერე, როგორც იტყვიან, ნაჯახითაც ველარ ამოშლი კორექტურას.

აი, ასე მოვიდნენ დღემდე ორნი. არც გაჭირვება დაკლებიათ, კარგი დღეებიც ბევრი ახსოვთ... კარგი შვილები დაზარდეს, კარგ შვილიშვილებს შეპხარიან, და, ბოლოს და ბოლოს, მეტი რა უნდა ადამიანს? ხელისუფლებამაც დააფასა მათი შრომა. კულტურის დამსახურებული მუშაკების წოდებაც ალალია მათზე და ღირსების ორდენებიც.

...მერე რა, რომ წლები ასე გაიპარა. ეხეც ხიმდიდრეა, მით უმეტეს თუ უკან მოხედვისა არ გეშინია.

**ვილენ მარდალეიშვილი.**

**თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 189, კვირა, 15 აგვისტო, 2004 წელი

## ალბომი

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ბიქტორ კვარაცხელია ოჯახის წევრებთან ერთად. 1966 წელი.
მოგვაწოდა ბრამიტონ კვარაცხელიამ.

## ცოტაც გავიღიმოთ...



მიხო მანქანით მიდის. გვერდით ცოლი უზის, უკან — პატარა ნიკა.

აგვიანდება და სიჩქარეს უმატებს. მოსახვევში ავტოინსპექტორი დგას.

— ოღონდ არ გამაჩერებდეს, — ხმამაღლა ნატრობს მიხო.

გააჩერეს.

— ოჰ, მოდის ეს ვირი ესა!

ავტოინსპექტორი წარუდგება და საბუთებს თხოვს.

მიხო რაც შეიძლება თავაზიანად ულიმის და მართვის მოწმობას აწვდის.

ამ დროს ნიკა უკნიდან ეჯაჯგურება და ეკითხება: — მამი, ვირი მოდისო, რომ თქვი, სად არის?

* * *

საერთო ენის სწრაფად პოვნის შესაძლებლობა კოცნის ტექნიკაზეა დამოკიდებული.

* * *

პროგრესი, მეგობრებო, — ამბობს ივან ივანიჩი, — კილომეტრიანი, უფრო მეტი — ასკილომეტრიანი და, ხშირად, ათასკილომეტრიანი ნაბიჯებით მოალაჯებს პლანეტაზე და, ნახეთ, ერთი, რა უქნა ბელარუსს: მან ამ ქვეყანას, უბრალოდ... გადააბიჯა...

* * *

მთვრალი კუ უდაბნოში მიხოხავს. გზად აქლემი შემოეყრება.

— ქემელ, თუ ძმა ხარ, მითხარი, თქვენთან რა, გზები მოყინულია?

— არა, ეს რამ გაფიქრებინა? — ეკითხება გაკვირვებული აქლემი.

— რა ვიცი, აბა, ეს ქვიშა რად მოაყარეს ასფალტზე?

## ლარის კურსი

14 აგვისტოდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. | 1 | 3.3275 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1.8325 ლარი |
| ევრო | 1 | 2.2340 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0626 ლარი. |

## ვაიმე, ენავ!

### „რა უთქვამს, რა მოუჩმახავს...“

ანუ ეკრანული ქართულის „მარგალიტები“

**დაიწყო** ოლიმპიური თამაშები. მათ კვალდაკვალ — ერთხანს! — ჩვენი შენიშვნებით სპორტული შეჯიბრებების რეპორტაჟებს შევეხებით.

● ამ შედეგიანი **შეტევის ავტორი**... (ადრეც ვწერდით — არ შეიძლება ყველაფრის ავტორობა... შეტევის წამომწყები, შეტევის დამაგვირგვინებელი, შეტევის განმახორციელებელი...).

● ბურთის ისე გათამაშება, როგორც **მათ აწყობდათ** (როგორც მათ ხელს აძლევდათ!).

● **საქმე იმაშია**, რომ ის აპირებს გამოვიდეს შვიდ სახეობაში (**საქმე ის არის!**).

● მსოფლიო რეკორდები, **რომლებიც მე უკვე გითხარით** (არ ვარგა „რეკორდები გითხარით“: რეკორდები, რომლებზეც უკვე გაცნობეთ).

● ზურგზე ცურვა და თავისუფალი სტილი („**ზურგზე ცურვა**“ დიდი ცოდვა არაა, მაგრამ თუ არ ვცდებით, კარგა ხანია „გულაღმა ცურვას“ ხმარობენ).



მეუღლე ია (ვიოლეტა) ჩიჩუა, შვილი ეკო (ელენე) ჩხაიძე, ძმები გივი, გოგი ჩხაიძეები, ძმისწულები მაკა, ხათუნა, ნიკა, თამუნა ჩხაიძეები ოჯახებით, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან

ზურაბ ერმალოს ძე ჩხაიძის

გარდაცვალებას.

პანაშვიდები 17, 18 VIII, 17 საათზე, დაკრძალვა 19 VIII, 15 საათზე. მისამართი ი. ჭავჭავაძის გამზ. №11ა.

---

სს „მრეწვერკინიგზის“ კოლექტივი სამძიმარს უცხადებს სააქციო საზოგადოების აქციონერს (ყოფილ გენერალურ დირექტორს) ჯუმბერ შენგელიას ძმის

ვაჟა შენგელიას

გარდაცვალების გამო.

---

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ვერეს“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ ამავე ორგანიზაციის თანამშრომელს, მალხაზ სარჯველაძეს დედის

მაგული კუჭუხიძე-სარჯველაძის

გარდაცვალების გამო.

## ხსოვნა

### თორნიკე ყიფიანი



გარდაიცვალა უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი **თორნიკე ტერენტის ძე ყიფიანი.** იგი დაიბადა 1921 წ. ქალაქ ქუთაისში. 1940 წლიდან 1946 წლამდე მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. იყო დიდი სამამულო ომისა და შრომის ვეტერანი.

1952 წელს დაამთავრა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი და ამავე წლიდან დაიწყო პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობა და დღემდე მუშაობდა „სამშენებლო მანქანებისა და მექანიკური მოწყობილობის“ კათედრაზე. 2001 წლიდან ამავე კათედრის პროფესორ-კონსულტანტია.

1964-1967 წლებში თ. ყიფიანი ხელმძღვანელობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქუთაისის დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტს. პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ეწეოდა აქტიურ სამეცნიერო მუშაობას, გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომი, მათ შორის ორი სახელმძღვანელო.

თ. ყიფიანი იყო აქტიური საზოგადო მოღვაწე. ორჯერ არჩეული იქნა ინსტიტუტის გაერთიანებული პროფკომის თავმჯდომარედ, იყო ვეტერანთა საბჭოს წევრი. 1964 წელს აირჩიეს ქ. ქუთაისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

წარსულში ცნობილი სპორტსმენი, იგი წლების მანძილზე იყო საქართველოს ფრენბურთელთა ნაკრების წამყვანი მოთამაშე, არჩეულ იქნა საბჭოთა კავშირის ფრენბურთის ფედერაციისა და საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრად.

1984 წელს თ. ყიფიანს მიენიჭა საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება, ხოლო 2003 წელს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით იგი დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

გულისხმიერი აღმზრდელისა და ღირსეული ქართული ოჯახის თავკაცის ხსოვნა სამარადისოა მის თანამელროვეთა შორის.

ნათელი დაადგეს მის სულს!

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი;
სატრანსპორტო ფაკულტეტის დეკანატი;
სამშენებლო მანქანებისა და მექანიკური მოწყობილობის კათედრა.**

### გიორგი მახვილაძე



ქართულმა გეოლოგიურმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა ღვაწლმოსილი გეოლოგი **გიორგი (ზიპო) ნიკოლოზის ძე მახვილაძე.**

ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1957 წლიდან იწყება მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა „საქგეოლოგიის“ სისტემაში. მან განვლო ხანგრძლივი გზა უფროსი ტექნიკოსიდან გეოლოგიური პარტიის უფროსამდე. მისი საქმიანობის სფერო მოიცავდა გეოლოგიური დარგის მრავალ მიმართულებას, მას დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს მინერალური ნედლეულის ბაზის განვითარების საქმეში. მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით შესწავლილია და დაძიებულია სვანეთისა და კახეთის სპილენძ-პოლიმეტალური საბადოები და მადანგამოვლინებები.

კავკასიის ფერადი ქვების ექსპედიციაში მოღვაწეობის პერიოდში მან აღმოაჩინა და დაიძია ხორითის გამარმარილოებული კირქვის და მარმარილოს ონიქსის საბადო.

მთელი თავისი საქმიანობის პერიოდში გიორგი მახვილაძემ გამოავლინა მისაბაძი ადამიანური თვისებები, აღზარდა მრავალი გეოლოგი. კოლეგებთან განსაკუთრებული ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა. იყო თბილისის კოლორიტი — მას სიყვარულით ზიპოს ეძახდნენ.

მისმა გარდაცვალებამ დიდი ტკივილი მიაყენა მეგობრებს, კოლეგებს და ახლობლებს, რომელთა გულებში დიდხანს დარჩება ზიპოს ნათელი ხსოვნა.

**გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტი; საქართველოს გეოლოგიური საზოგადოება; საქართველოს გეოლოგთა კავშირი; გეოლოგიის, გეოდეზიის და კარტოგრაფიის მუშაკთა პროფესიული კავშირი; გოგის (ზიპოს) მეგობრები.**

---

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
გამომცემელი შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
ნომრის მორიგე რედაქტორი
ოთარ ხუციშვილი.

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika